

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი**

**თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და  
სამართლის ინსტიტუტი**

**თემურ ცქიტიშვილი**

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ  
ნარკოტიკულ სამართალდარღვევათა დასჯადობაზე  
მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი**

**თბილისი 2019**

უაკ (UDC)

რედაქტორი: ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი, პროფესორი

© თ. ცქიტიშვილი, 2019

ISBN

## **რედაქტორის წინასიტყვაობა**

თანამედროვე მსოფლიოს ნარკოპოლიტიკა ნარკოტიკების მომხმარებელთან მიმართებაში ძირეული გარდაქმნის ეტაპზეა. მრავალი სახელმწიფო ნარკოპოლიტიკის პარადიგმას ცვლის, რადგან სპეციალისტების აზრით, საკუთარი მოხმარებისათვის ნარკოტიკების ფლობის და მოხმარების კრიმინალიზაციამ უთვალავი ადამიანის სიცოცხლე გაანადგურა და ამ მიმართულებით ნარკოპოლიტიკის ახლებურად გააზრებაა აუცილებელი. ზუსტად ეს ტენდენციაა ასახული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალ გადაწყვეტილებებში ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის ახლებური გადაწყვეტა, რამაც ნარკოტიკების მომხმარებლის მიმართ ჰუმანურ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას დაუდო საფუძველი, ქართულ საზოგადოებაში ცხარე დისკუსიის საგანი გახდა. ნაშრომის ავტორი ეხმიანება ამ დისკუსიას და მისთვის ჩვეული მეცნიერული სიღრმით განიხილავს საკითხს საკონსტიტუციოსამართლებრივ და სისხლისსამართლებრივ წრილში. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების არგუმენტაციაზე ჩემი ამ საკითხისადმი ავტორის შეხედულებისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომის მიუხედავად მიმაჩნია, რომ ეს ნაშრომი გაამდიდრებს ქართულ იურიდიულ მეცნიერებას და ავტორის მიერ დანახული მრავალი პრობლემა ნაყოფიერი მეცნიერული აზრთა გაცვლა-გამოცვლის წყაროდ იქცევა.

**ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი**

თბილისი, 2019 წლის მაისი

## წინათქმა

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია მიმოხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებებისა, რომელთა მიხედვითაც, სასამართლომ რიგ შემთხვევებში არაკონსტიტუციურად სცნო ის სასჯელი, რომელიც განსაზღვრული ქმედებებისთვის იყო გათვალისწინებული. მოცემულ ტექსტში ასევე განხილულია მარისუანის დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რამაც გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა ნარკოტიკულ დანაშაულთა დასჯადობის პოლიტიკაში.

გადაწყვეტილებათა გაანალიზების დროს გამოყენებული იქნა როგორც ქართულენოვანი, ისე გერმანულენოვანი წყაროები. მოცემული მიმოხილვა, შეიძლება ითქვას, პირველ ქართულენოვან გამოცემას წარმოადგენს, სადაც თემატურად არის გაანალიზებული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლის მომზადებასაც იმ თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ქართული სისხლის სამართალი ნაკლებად არის დამუშავებული, რაზეც მიუთითებს აღნიშნულ თემაზე ქართულენოვანი ლიტერატურის სიმწირეც.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ერთწლიანი გრანტის ფარგლებში, რის გამოც ფინანსური მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოთქმული კონსტრუქციული შენიშვნებისთვის მსურს მადლიერება გამოვხატო აგრეთვე პროფ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისის მიმართ.

**თემურ ცქიტიშვილი**  
თბილისი, 2019 წლის გაზაფხული

## სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა.....	3
წინათქმა.....	4

## თავი I

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება როგორც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაში ძირეული ცვლილებების კატალიზატორი .....	13
1. კონსტიტუციური სარჩელის საბანი .....	13
2. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ბამოტანამდე განხორციელებული ცვლილება საქართველოს სსკ-ში.....	15
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია .....	15
3.1. ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვა როგორც სასჯელის კონსტიტუციურობის, პროპორციულობის აუცილებელი პირობა .....	15
3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელის პროპორციულობაზე .....	17
3.2.1. არაჰუმანური, სასტიკი, ადამიანის ღირსების შემლახველი სასჯელის გაგება .....	17
3.2.2. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მნიშვნელობა სასჯელის პროპორციულობისთვის .....	19
3.2.2.1. უფაოდ თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან.....	19
3.2.3. აშკარად არაპროპორციულობა როგორც სასჯელის არაკონსტიტუციურობის პირობა.....	22
4. სასჯელი როგორც ULTIMA RATIO .....	23

5.	სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა.....	24
6.	სასჯელის პროპორციულობის ელემენტები .....	26
6.1.	სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის პროპორციულობის მზომელი.....	26
6.2.	სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ლეგიტიმური მიზანი და მისი გამიჯვნა შიშველი შურისძიებისგან .....	27
6.3.	დამნაშავეს რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი .....	28
6.4.	დანაშაულის პრევენცია როგორც სასჯელის მიზანი .....	29
6.4.1.	სპეციალური პრევენცია .....	29
6.4.2.	ზოგადი ანუ გენერალური პრევენცია .....	29
6.5.	სასჯელის მიზნების განხორციელება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში .....	30
6.6.	აუცილებლობა, როგორც პროპორციულობის ელემენტი.....	30
6.7.	სამართლებრივი სიკეთის დაცვის აუცილებლობა, როგორც ქმედების კრიმინალიზაციის კონსტიტუციური საფუძველი .....	31
6.8.	მხოლოდ სხვისი სიკეთის დაცვა, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ლეგიტიმაციის საფუძველი .....	33
7.	სამართლის ჭეშმარიტების ფუნქცია.....	35
8.	კულტურის, ღირებულებების, ისტორიული გამოცდილების და საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტების მნიშვნელობა ქმედების კრიმინალიზაციის დროს.....	36
9.	საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე მოსამართლე მერაბ ტურავას განსხვავებული მოსაზრება.....	37
10.	გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებები ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედებების დასჯადობაზე.....	38

11.	ნარკოტიკული საშუალების წართმევა მზრუნველობის გამო მშობლის, მასწავლებლის, სოციალური მუშაკის მიერ როგორც ნარკოტიკების დასჯადი მფლობელობა? .....	39
12.	დასჯადი თანამფლობელობა.....	40
13.	პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების შეძენისა და ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა და პატირნალიზმის საზღვრები სისხლის სამართალში .....	40
14.	ნარკოტიკების მოხმარებელთა დაცვა (სუსტი პატირნალიზმი) .....	42
15.	ახალგაზრდობის დაცვა.....	43
16.	სასჯელისაგან განრიდება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დამნაშავეს ბრალის მცირე მოცულობის გათვალისწინებით .....	47
17.	კანაფის პროდუქტების მცირე მოცულობის განსაზღვრა გერმანული სამართლით .....	47
18.	მცირე მოცულობა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით გერმანული სამართლის მიხედვით.....	48
19.	მსუბუქი ნარკოტიკის განსაზღვრება გერმანული სამართლის მიხედვით .....	48
20.	დასჯის საჯარო ინტერესები და სასჯელისაგან განრიდებას დროს მისი გათვალისწინება გერმანული სამართლის მიხედვით .....	49

## თავი II

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება „ნაღლი მარინუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობაზე.....	50
--	----

## თავი III

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება დეზომორფინის დამზადების,
---

შექენისა და შენახვის გამო სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობაზე.....	52
1. მოხმარების საგნებში ნარკოტიკულ საშუალებათა ნარჩენებზე გერმანული სისხლის სამართლის პოზიცია .....	56

## თავი IV

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების ანალიზი.....	57
1. დავის საგანი.....	57
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება .....	58

## თავი V

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის და 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებები, როგორც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის კონსტიტუციური საფუძველი.....	61
1. დასაცავი სამართლებრივი სიკეთე, როგორც აკრძალვის მიზანი და ლეგიტიმაციის საფუძველი .....	61
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე .....	63
3. ნარკოტიკის შეღებვად სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე ლიტირატურაში გამოთქმული თვალსაზრისი.....	65
4. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულება კანაფის პროდუქტების მოხმარებისგან დასაცავ სიკეთეზე .....	66
4.1. მოსარჩელის პოზიცია .....	66
4.2. სასამართლოს პოზიცია.....	68
5. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ დაცვაზე, როგორც ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაციის	



საფუძველზე იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების ანალიზი .....	70
5.1. მოსახლეობის ჯანმრთელობა როგორც უნივერსალური სიკეთე .....	70
5.2. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“ როგორც სამართლებრივ სიკეთეზე .....	74
5.3. კონსტიტუციურსამართლებრივი კრიტიკა სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევის წინააღმდეგ .....	75
6. ნარკოტიკული დანაშაულის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხი .....	75
7. ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობა და პატერნალისტურად მოტივირებული დასჯადობის საფრთხე .....	78
8. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ როგორც სამართლებრივი სიკეთის მიმართება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპთან .....	79
9. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაცია.....	80
10. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც დამოუკიდებელი ცალკეული სიკეთე .....	81
11. არარეალური აბსტრაქტულობის დაცვის ობიექტი როგორც სამართლებრივი სიკეთე?.....	83
12. მარიხუანის მოხმარების დასჯადობის შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან.....	84
12.1. გამოსადეგობა .....	85
12.2. აუცილებლობა .....	86
12.3. მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე .....	88

12.4.	მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე .....	89
12.5.	მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებებთან მიმართებით ...	90
12.6.	მარიხუანის მოხმარების აკრძალვა როგორც სხვა სამართალდარღვევათა პრევენციის გამოსადეგი და აუცილებელი საშუალება?.....	91
12.7.	მარიხუანის მოხმარების აკრძალვის პროპორციულობა ვინრო გაგებით .....	93
13.	მარიხუანა როგორც კარიბჭე უფრო მძიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე გადასასვლელად?.....	96
14.	მარიხუანის მოხმარებით მასზე შეჩვევის გამოწვევის რისკის შექმნა.....	97
15.	პატერნალიზმი და მისი საზღვრები .....	98
16.	პარალელის გავლება თვითგაკვლელობის მცდელობასთან .....	99
17.	პარალელის გავლება ინცესტთან.....	101
18.	მარიხუანის მოხმარების აკრძალვის შეუსაბამობა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან.....	103
19.	თვითგამორკვევა კონსტიტუციურ ღობეგატიკაში .....	107
19.1.	თვითგამორკვევის უფლების წარმოშობა .....	107
19.2.	თვითგამორკვევის თავისუფლება როგორც კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლების ნაწილი .....	107
20.	მოქმედების თავისუფლების არაალი.....	108
21.	თვითგამორკვევა როგორც პიროვნულობის უფლების შემაღბენელი ნაწილი.....	109
22.	მოქმედების თავისუფლება .....	110
23.	პიროვნულობის უფლება (PERSÖNLICHKEITSRECHT) .....	113
24.	ნარკოტიკების მოხმარება, როგორც პირადი ცხოვრების სფეროს ნაწილი? .....	114
25.	სიცოცხლის უფლება და სხეულებრივი ხელშეუხებლობა .....	114

26.	მარიხუანის მოხმარების დასჯადობის შეუსაბამობა ღირსების ხელშეუხებლობასთან.....	115
27.	მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების საჭიროება.....	116
28.	ქმედების განხორციელების ადგილის მნიშვნელობა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობისთვის გერმანული სამართლის მიხედვით.....	117
29.	საერთაშორისო ტენდენციების გავლენა მარიხუანის ლეგალიზების პროცესზე.....	118
30.	გერმანულ დოგმატიკაში გამოთქმული შეხედულება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგებზე.....	119
31.	ნარკოტიკული საშუალების დასჯადი და არადასჯადი მოხმარების გამიჯვნა გერმანული სამართლის მიხედვით.....	120
32.	ნარკოტიკული საშუალების დატოვება (დათმობა) და მისი კვალიფიკაცია გერმანული სამართლით.....	122
33.	კანაფის მოხმარებელთა წრეში მონაწილეობისთვის დასჯადობა გერმანული სამართლის მიხედვით.....	123
33.1.	ორი თანამონაწილე .....	123
33.2.	ორი ან მეტი თანამონაწილე.....	123
34.	ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის შერიცის ერთად გამოყენება.....	123
35.	ნარკოტიკული საშუალების ერთად მოხმარება შეფრქვევის ფორმით.....	124
36.	ნარკოტიკების მოხმარების თავისუფლების შეზღუდვა გერმანული სამართლის მიხედვით. სოციალური კავშირების გავლენა.....	124
37.	ნარკოტიკული საშუალების უნებართვო მოხმარებისთვის შესაძლებლობის მიცემის გამო გშოგებლთა და მასწავლებლთა დასჯადობა გერმანული სამართლის მიხედვით.....	125
38.	მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია, როგორც სამართლის ჰუმანიზაციის გამოხატულება.....	126

39.	მარჩუანის მცირე ოღენობით ჰირადი მოხმარებისთვის დამზადების, შექმნის და შენახვის დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა .....	127
40.	სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა .....	128
	ბიბლიოგრაფია .....	129

# თავი I

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება რომორც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაში ძირეული ცვლილებების კატალიზატორი

### 1. კონსტიტუციური სარჩელის საგანი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში 2014 წლის 5 მაისს წარდგენილი იქნა კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სანქციის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც გამომშრალი მარიხუანის<sup>1</sup> შეძენა-შენახვისთვის უშვებდა სასჯელის სახით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლებლობას. მოსარჩელისთვის პრობლემას ქმნიდა არა ზოგადად ნარკოტიკული საშუალების, არამედ გამომშრალი მარიხუანის მხოლოდ შეძენა/შენახვისთვის გათვალისწინებული სასჯელი. ამასთან, მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებდა კონკრეტული ქმედების დასჯადობის კონსტიტუციურობაზე ქმედების მიზნის გათვალისწინებით (პირადი მოხმარების და არა რეალიზაციის მიზნით). მოსარჩელე ასევე მოითხოვდა იმის სათვალავში მიღებასაც, თუ რა რაოდენობის (69 გრამი) მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის წაუყენეს ბრალი და მარიხუანის ოდენობა რამდენად ქმნიდა იმის საფრთხეს, რომ იგი გამოყენებული ყოფილიყო არა მხოლოდ მოხმარებისთვის, არამედ სხვა მიზნითაც (რეალიზაციისთვის).

მოსარჩელე მხარემ გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება შვიდიდან თოთხმეტ წლამდე ვადით შეუსაბამოდ მიიჩნია კონსტიტუციის მაშინდელი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დებულებასთან, რომელიც ადგენდა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის აკრძალვას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აკრძალვის დარღვევა მიიჩნევა ღირსების უფლების დარღვევად, რომელიც განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატალოგს.

მოსარჩელე მხარემ მიიჩნია, რომ გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მაშინდელი რედაქციით გათვალისწინებული სასჯელი შეიძლება მიიჩნეულიყო მხოლოდ (გენერალური) პრევენციის მიზნის მიღწევის საშუალებად, რაც

<sup>1</sup> ტერმინი მარიხუანა პორტუგალიური mariguano-დან მომდინარეობს და ნიშნავს „მათრობელას“. იხ. ბეროზაშვილი ზ., ნარკობიზნესის ინდუსტრია, თბ., 2002, გვ. 50.

განაპირობებს კონკრეტული პირის ინსტრუმენტალიზაციას, სამართლის ობიექტად ქცევას, რაც იწვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევას.

მოსარჩელე მხარის მხრიდან დავის საფუძველს წარმოადგენდა ასევე ის, რომ სადავო ნორმა ერთმანეთისგან არ მიჯნავდა სანქციებს სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალებების და მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით, რაც მოსარჩელის შეფასებით, არ იძლეოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. ეს კი დამატებით უსვამდა ხაზს ნორმის არაკონსტიტუციურობას.

მოსარჩელემ კონსტიტუციურ სარჩელში ხაზი გაუსვა მარიხუანის საშიშროებას და გამიჯნა იგი მძიმე ნარკოტიკული საშუალებებისგან. მოსარჩელის განმარტებით, მარიხუანა არ იწვევს მძიმე დამოკიდებულებას და არ გადაიზრდება ნარკომანიაში. მარიხუანისგან მომდინარე საფრთხე ბევრად არ აღემატება ალკოჰოლისგან მომდინარე საფრთხეს.

მოსარჩელემ პარალელი გაავლო სხვა დანაშაულებთან და მიუთითა, რომ მკვლევლობისთვის, რომელიც გაცილებით უფრო მძიმე და საშიში დანაშაულია, მხოლოდ ერთი წლით მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა იყო გათვალისწინებული მარიხუანის შენახვისთვის განსაზღვრულ სასჯელთან მიმართებით. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ქმედებისთვის დადგენილი სასჯელის გათანაბრება მკვლევლობისა და გაუპატიურებისთვის დადგენილ სასჯელებთან არ შეესაბამება პროპორციულობის პრინციპის მოთხოვნებს. მოსარჩელემ იმასაც მიაქცია ყურადღება, რომ პროკურატურისგან განსხვავებით, სასამართლოს, მოქმედი სსკ-ის მიხედვით, არ ეძლევა კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის მსჯავრდებულისთვის შეფარდების შესაძლებლობა, ვინაიდან ეს დამოკიდებულია საპროცესო შეთანხმებაზე, რაც პროკურატურის აბსოლუტური დისკრეციის ფარგლებში ხდება.

მოსარჩელემ არაპროპორციულად მიიჩნია მარიხუანის შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის არა მხოლოდ ის ზომა, რომელსაც სადავო ნორმა ითვალისწინებდა, არამედ თავისუფლების აღკვეთა ზოგადად, მისი ზომის მიუხედავად.

## **2. კონსტიტუციური სარჩელის წარდგინის შემდგომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე განხორციელებული ცვლილება საქართველოს სსკ-ში**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის შეფასებამდე საქართველოს სსკ-ში განხორციელდა განსაზღვრული ცვლილებები. კერძოდ, 2015 წლის 8 ივლისის კანონით სსკ-ის 260-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის გასაღება გამოეყო დასახელებულ ნივთიერებათა უკანონო დამზადებას, წარმოებას, შექენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას და აისახა ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილში. პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გამოყენებით, აისახა მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტში. შეიცვალა ხსენებული ქმედების სანქციის ზომა და იგი განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე. საკანონმდებლო ცვლილება არ შეეხება სადავო ნორმით (260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის რედაქცია 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე) განსაზღვრული ქმედების შინაარსს, მაგრამ შედარებით შემსუბუქდა აღნიშნული ქმედებისთვის დაწესებული სასჯელი.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეწყვიტა საქმეზე მსჯელობა. სასამართლოს პოზიციით, სადავო ნორმის ახალი რედაქცია იმეორებდა ძველი რედაქციის ნორმატიულ შინაარსს<sup>2</sup>.

## **3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კოზიცი**

### **3.1. ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის დაცვა როგორც სასჯელის კონსტიტუციურობის, პროპორციულობის აუცილებელი პირობა**

ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელის ავტორები სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებას მოითხოვდნენ საქართველოს კონსტიტუციის მაშინდელი რედაქციის მე-17 მუხლთან მიმართებით, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობის უფლებას ეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის

---

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, ვ. 8.

შეფასება აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დებულების შინაარსის და ფარგლების გაანალიზებით დაინყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველად მიიჩნია, რომელიც არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანი იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, გემოვნების, განვითარების გზის ინდივიდუალური არჩევანის გათვალისწინებით. ადამიანის ღირსების დაცვა ყველა სახელმწიფოს უპირობო მოვალეობაა. ღირსებისადმი პატივისცემა მოითხოვს ყოველი ადამიანის პიროვნულობის აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. ღირსების უფლების პატივისცემა მოითხოვს ადამიანის განხილვას უმთავრეს მიზნად, მთავარ ღირებულებად, თვითმყოფად, თავისუფალ და სხვა ადამიანების თანასწორ სუბიექტად და არა მიზნის მიღწევის საშუალებად<sup>3</sup>. ადამიანი ყოველთვის მიზნად უნდა განიხილებოდეს და არცერთ შემთხვევაში მიზნის მიღწევის საშუალებად<sup>4</sup>.

სასამართლოს შეფასებით, ღირსების უფლება ყველა სხვა ფუნდამენტური უფლების საფუძველია, რომელსაც, როგორც ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს, ეყრდნობა ძირითადი უფლებები. ღირსების ხელყოფა ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლებების დარღვევას. ღირსების დაცვა კი ძირითადი უფლებების დაცვაში გამოიხატება. ამდენად, ამ უფლებებში არათანაზომიერი ჩარევა არღვევს ადამიანის ღირსებასაც<sup>5</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული შეფასებით, ღირსებასა და სხვა ძირითად უფლებებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

სასამართლო ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას მიიჩნევს იმ კონსტიტუციური დებულების საფუძველად, რომელიც კრძალავს ადამიანის წამებას, არაჰუმანურ, სასტიკ ან პატივისა და ღირსების შემლახველ მოპყრობას და სასჯელის გამოყენებას<sup>6</sup>.

---

<sup>3</sup> ნაწილი II, პ. 11.

<sup>4</sup> *კუბლაშვილი კ.*, ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 89.

<sup>5</sup> ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 12.

<sup>6</sup> ნაწილი II, პ. 17.



## 3.2. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელის პროპორციულობაზე

### 3.2.1. არაჰუმანური, სასტიკი, ადამიანის ღირსების შემლახველი სასჯელის გაგება

კონსტიტუციური სარჩელიდან გამომდინარე საკონსტიტუციო სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა პასუხი გაეცა კითხვაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით თავისუფლების აღკვეთის არაპროპორციული სასჯელის დანესება/გამოყენება შეიძლება თუ არა ჩაითვალოს არაჰუმანურ, სასტიკ, ადამიანის ღირსების შემლახველ სასჯელად.

სასამართლო სანამ პასუხს გასცემდა დასმულ შეკითხვას, მანამდე იმსჯელა იმაზე თუ რას გულისხმობს არაჰუმანური, სასტიკი, პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი. სასამართლომ ასეთად მიიჩნია ადამიანზე განზრახ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური ზემოქმედება, იძულება, რაც შედეგად ადამიანს აყენებს განსაცდელს, სტრესს, სატანჯველს. ამასთან, ადამიანზე ასეთი იძულება, ზემოქმედება როგორც თვისობრივად, ისე ხანგრძლივობით და ინტენსივობით გარკვეულ ხარისხს, მაღალ დონეს უნდა აღწევდეს. სასამართლოს შეფასებით, სასჯელი მაშინ მიიჩნევა დამამცირებლად, როცა ადამიანზე ზემოქმედების, მისი შეზღუდვის და იძულების ფარგლები სცდება იმ ბუნებრივ ზღვარს, რომელიც თანამდევნი და თანაარსია კონკრეტული სასჯელისა<sup>7</sup>. სასამართლოს მოცემული თვალსაზრისი საყურადღებოა იმ კუთხით, რომ დასჯა მსჯავრდებულის უფლებების შეზღუდვასთან ერთად მისთვის გარკვეული ტანჯვის მიყენებასაც გულისხმობს<sup>8</sup>. სასჯელს სხვაგვარად ტკივილს<sup>9</sup>, ხოლო სასჯელის შეფარდებას ტკივილის მიყენებასაც უწოდებენ<sup>10</sup>. თუმცა, გასათვალისწინებელია ქმედების, გამოყენებული ღონისძიების მიზანი<sup>11</sup>. მართალია, დასჯის პროცესი არ გამორიცხავს მსჯავრდებულისთვის ტანჯვის მიყენებას, მაგრამ სასჯელის მიზანი არც ადამიანის ფიზიკური ტანჯვაა და არც მისი ღირსების

<sup>7</sup> ნაწილი II, პ. 22.

<sup>8</sup> გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001, გვ. 5.

<sup>9</sup> *Albrecht P.-A.*, Spezialprävention angesichts neuer Tätergruppen, ZStW 1985, S. 833; *Jescheck H.-H.*, *Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, S. 65; *Kargl W.*, Friede durch Vergeltung, Über den Zusammenhang von Sache und Zweck im Strafbegriff, GA 1998, S. 60-61; *Pawlik M.*, Person, Subjekt, Bürger, Zur Legitimation von Strafe, Berlin, 2004, S. 15.

<sup>10</sup> კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელალსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017, გვ. 13.

<sup>11</sup> ბეჟა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 22.

დამცირება<sup>12</sup>. რეპრესია არის არა სასჯელის მიზანი, არამედ თანამდევნი შედეგი<sup>13</sup>. სასამართლოს შეფასებით, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა სასჯელის თანამდევნი კანონზომიერი შედეგია, რაც დამნაშავეს, სულ მცირე, დისკომფორტს უქმნის, ინვესტ მასზე გარკვეულ მორალურ, ფსიქო-ემოციურ ზეგავლენას. თუმცა, ამან არ უნდა მიაღწიოს ისეთ სიმწვავეს, რაც სასჯელის მიზნად ადამიანისთვის ტანჯვის და ტკივილის (მორალური თუ ფიზიკური) მიყენებას, ხოლო სასჯელს ამ მიზნის მიღწევის საშუალებად აქცევს<sup>14</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულებით, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად ითვლება დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაკისრებული აშკარად არაპროპორციული საპატიმრო სასჯელი. სასჯელი არის თუ არა არაპროპორციული, დამოკიდებული არ არის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობასთან<sup>15</sup>.

სასამართლოს შეფასებით, არაადამიანურ და სასტიკ სასჯელად შეიძლება ჩაითვალოს არაპროპორციული სასჯელი, მაგრამ არაპროპორციულობა უნდა იყოს გამოკვეთილი, უხეში და ინტენსივობის, სიმკაცრის ძალიან მაღალ ხარისხს უნდა აღწევდეს<sup>16</sup>.

სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის დროს სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ზღვარი, თუმცა, ამ პროცესში სახელმწიფოს მართებს დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ამა თუ იმ ქმედების აკრძალვით უსაფუძვლოდ არ მოხდეს ადამიანების თავისუფლების შეზღუდვა. აკრძალული ქმედების ჩადენისთვის სახელმწიფოს პასუხი არ უნდა იყოს გადამეტებული, არაპროპორციული. სახელმწიფო ადამიანის თავისუფლებაში საჭიროზე მეტი დოზით არ უნდა ჩაერიოს, რადგან მიზანი იყოს დაცვა და არა ადამიანის შეზღუდვა<sup>17</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ქმედების კრიმინალიზაცია უნდა განხორციელდეს ქმედების სიმძიმის, ქმედებისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით. ქმედების კრიმინალიზაცია და მისთვის შესაბამისი სასჯელის დანესება სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, მაგრამ სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვერ იქნება უსაზღვრო. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია დანაშაულის ბუნება და სამართლებრივი სიკეთე, რომელსაც ზიანს აყენებს ქმედება. რაოდენ მნიშვნელოვანი სიკეთის დასაცავადაც არ უნდა იღებდეს სახელმწიფო კონ-

<sup>12</sup> გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001, გვ. 7.

<sup>13</sup> ცქიტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, წიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016, გვ. 132.

<sup>14</sup> ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 59.

<sup>15</sup> ნაწილი II, პ. 24.

<sup>16</sup> ნაწილი II, პ. 104.

<sup>17</sup> ნაწილი II, პ. 32.

კრეტულ რეგულაციას, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, შეიბოჭოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით<sup>18</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული შეფასების გაკეთების დროს დაეყრდნო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობის შეფასების მანამდე დადგენილ სტანდარტებს<sup>19</sup>.

### **3.2.2. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მნიშვნელობა სასჯელის პროპორციულობისთვის**

#### **3.2.2.1. უვადოდ თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან**

მნიშვნელოვანია სასამართლოს შეფასება სასჯელის პროპორციულობისთვის თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობასთან და თანაზომიერების პრინციპთან უვადოდ თავისუფლების აღკვეთის შესაბამისობასთან დაკავშირებით. სასამართლოს პოზიციით, თავისუფლების ხანგრძლივი ვადით აღკვეთა, თვით უვადოდ თავისუფლების აღკვეთაც კი, თავისთავად არ გულისხმობს არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას და სასჯელს. შესაძლოა, ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა (15, 20 წელი), თვით უვადოდ თავისუფლების აღკვეთაც, არ არღვევდეს და შემხებლობაშიც არ იყოს აღნიშნულ უფლებასთან, ხოლო გაცილებით ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთა მიჩნეულ იქნას ადამიანისადმი არაჰუმანურ მოპყრობად და სასტიკ სასჯელად. არ შეიძლება თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის უგულებელყოფა, მაგრამ თავისთავად ხანგრძლივობა ავტომატურად არ ინვესს უფლების დარღვევას. ამავდროულად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, აქვს თუ არა უვადოდ თავისუფლება აღკვეთილს გათავისუფლების შესაძლებლობა. თუ ასეთი შესაძლებლობა არსებობს, სასამართლო გამორიცხავს უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის უფლების დარღვევას. თუმცა, სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობაც არ ჩათვალა სასჯელის არაადამიანურ და დამამცირებელ სასჯელად მიჩნევის გამორიცხვის საფუძვლად, თუ სასჯელი ჩადენილ დანაშაულთან მკვეთრად არაპროპორციულია<sup>20</sup>.

იურიდიულ ლიტერატურაში უვადოდ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით გამოითქვა შეხედულება, რომ იგი წინააღმდეგობაში მო-

<sup>18</sup> ნაწილი II, პ. 33.

<sup>19</sup> ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, თბ., 2018, გვ. 480.

<sup>20</sup> ბეჯა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 24.

დის სასჯელის ერთ-ერთ მიზანთან – მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან და ამდენად უვადოდ თავისუფლების აღკვეთისას ადგილი აქვს მიზან-საშუალების შეუსაბამობას, რის გამოც სასჯელის აღნიშნული სახე უნდა გაუქმდეს<sup>21</sup>. თუმცა, აღნიშნული მოსაზრება არ არის საყოველთაოდ გაზიარებული და სამართლებრივ ლიტერატურაში სანინააღმდეგო შეხედულებაც არის გამოთქმული<sup>22</sup>, რომელსაც შეესაბამება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციაც.

უვადოდ თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის ანალოგიური შეხედულება აქვს გამოთქმული გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, თავისუფლების უვადოდ აღკვეთა შეწყალების პრაქტიკის გათვალისწინებით, არ ლახავს ადამიანის ღირსებას, ვინაიდან, პირს, რომელსაც მისჯილი აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, აქვს შანსი, რომ ოდესმე გახდეს თავისუფალი. თუმცა, საკმარისი არ არის მხოლოდ შეწყალების შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთის შეწყვეტის წინაპირობები და პროცედურები კანონით იყოს განსაზღვრული<sup>23</sup>.

სასჯელის მუქარისა და გამოყენებისთვის არაპროპორციული ჩარევის აკრძალვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება ეხებოდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის უვადოდ თავისუფლების აღკვეთით დასჯის საკითხს. სასამართლოს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, სამი საკითხი იდგა გასარკვევად: პირველი, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ხელყოფდა თუ არა ადამიანის ღირსებას, მეორე, იგი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისთვის წარმოადგენდა თუ არა „საჭირო და თანაზომიერ“ სანქციას, და მესამე, დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ყველა შემთხვევისთვის მისი მუქარა არღვევდა თუ არა არაპროპორციული ჩარევის აკრძალვას<sup>24</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გარკვეული წინაპირო-

---

<sup>21</sup> ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, „მართლმსაჯულება და კანონი“, 2013, №2, გვ. 113.

<sup>22</sup> გოცირიძე ე., წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 125.

<sup>23</sup> შვაბე ი., გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011, გვ. 15-16.

<sup>24</sup> Weigend Th., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999, S. 918-919.

ბების არსებობისას უვადოდ თავისუფლების აღკვეთის ადამიანის ღირსებასთან შესაბამისობა დაადასტურა, კერძოდ, კანონმდებელი უვადოდ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს განსაზღვრული წინაპირობების გათვალისწინებით ვადამდე განთავისუფლების შესაძლებლობას აძლევს. სასამართლომ მეორე საკითხი განიხილა იმ თეზისის საფუძველზე, რომ არსებობს „კონსტიტუციური მოთხოვნა რაციონალურ და ზომიერ სასჯელზე“. ეს თეზა სასამართლომ საფუძველად დაუდო იმის გამოკვლევას, უვადოდ თავისუფლების აღკვეთის მუქარა კონკრეტულ ქმედებასთან მიმართებით ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება თუ არა. სასჯელის მთავარ მიზნად მიჩნეულ იქნა საზოგადოების დაცვა სოციალურად საზიანო ქმედებისგან, ისევე როგორც საზოგადოების ცხოვრების ელემენტარული ღირებულებების დაცვა. აღნიშნული მიზანი პირველ რიგში უნდა მიიღწეს პოზიტიური და/ან ნეგატიური გენერალური პრევენციის გზით<sup>25</sup>.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, კონკრეტული ქმედებისთვის ერთადერთი სასჯელის მუქარის დასაშვებობაზე სასამართლომ კრიტიკული აზრი გამოხატა და აღნიშნა, რომ სასჯელის მუქარა ქმედების სიმძიმესთან და მსჯავრდებულის ბრალის ხარისხთან სამართლიან თანაფარდობაში უნდა იმყოფებოდეს. ამ თვალსაზრისით, აბსოლუტური სასჯელი პრობლემას ქმნის. პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ კონკრეტულ შემთხვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლეს ჰქონდეს ბრალის შესაბამისი სასჯელის მისჯის შესაძლებლობა<sup>26</sup>. თუ კონკრეტული ქმედებისთვის მხოლოდ უვადოდ თავისუფლების აღკვეთა იქნება გათვალისწინებული, პროპორციულობის პრინციპი დაირღვევა მაშინაც, როცა კანონი უშვებს უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირის განთავისუფლების შესაძლებლობას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, განსაზღვრულ პირობათა გათვალისწინებით. უვადოდ თავისუფლების აღკვეთასთან ერთად უნდა იყოს გათვალისწინებული ვადიანი თავისუფლების აღკვეთაც და მოსამართლეს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ ბრალის შესაბამისად, მსჯავრდებულს შეუფარდოს ვადიანი ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით გ. მიქანაძე აღნიშნავს, რომ დამნაშავის რესოციალიზაციას ხელს უშლის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდება პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლების გარეშე<sup>27</sup>. ერთ-ერთი შეხედუ-

<sup>25</sup> Weigend Th., დასახ. ნაშრ., გვ. 919.

<sup>26</sup> Weigend Th., დასახ. ნაშრ., გვ. 919-920.

<sup>27</sup> მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, წიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012, გვ. 134-135.

ლებით, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ღირსებას არღვევს, მაგრამ აღნიშნული სასჯელის არსებობა დასაშვებად მიიჩნევა, თუ დამნაშავეს აქვს შესაძლებლობა, რომ გარკვეული დროის შემდეგ ისევ მოიპოვოს თავისუფლება<sup>28</sup>. მაშასადამე, თუ მსჯავრდებული სასჯელისაგან გათავისუფლების და თავისუფლების მოპოვების უფლებით სარგებლობს, დამნაშავეს რესოციალიზაცია ამ ყველაზე მძიმე სასჯელის შეფარდების პირობებშიც შესაძლებელია.

მართლაც, გაუმართლებელი და არაპროპორციული სასჯელი იქნებოდა უვადო თავისუფლების აღკვეთა, თუ კანონით არ იქნებოდა გათვალისწინებული პირობით ვადადმე გათავისუფლების შესაძლებლობა და მსჯავრდებულს არ ექნებოდა იმის მოლოდინი, რომ როდესმე გათავისუფლდებოდა, თუ დაადგებოდა გამოსწორების გზას და მოიხდიდა კანონით განსაზღვრულ საშელავათო პერიოდს. ამგვარად, ქართული სისხლის სამართლის კანონის მიხედვით უვადო თავისუფლების აღკვეთა არ წარმოადგენს არაპროპორციულ სასჯელს, რამდენადაც 72-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, თუ მსჯავრდებულმა ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი იგი შეიძლება გათავისუფლდეს უვადოდ თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან.

როგორც ცნობილია, უვადოდ თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება მიესაჯოს არასრულწლოვანს, ვინაიდან აღნიშნული სასჯელის გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ, თუნდაც ფიქსირებული ვადის გასვლის შემდეგ გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობით, არაადამიანურ მოპყრობად განიხილება<sup>29</sup>. არასრულწლოვნისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესაძლებლობას გამორიცხავს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიც.

### **3.2.3. აშკარად არაპროპორციულობა როგორც სასჯელის არაკონსტიტუციურობის პირობა**

სასჯელის არაპროპორციულობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს, რომ სასჯელი ჩადენილ ქმედებასთან მკვეთრად, აშკარად არაპროპორციული იყოს. აშკარად არაპროპორციული სასჯელი კი არღვევს სასტიკი, არაადამიანური და და-

---

<sup>28</sup> კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2014, გვ. 89.

<sup>29</sup> გოცირიძე ე., წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 125.

მამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციური აკრძალვის დანაწესს<sup>30</sup>.

სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვასთან მიმართებით, მოითხოვს იმას, რომ სასჯელი დანაშაულთან მიმართებით იყოს უფრო მეტი, ვიდრე „უბრალოდ გადამეტებული“. სასჯელი აშკარად არაპროპორციულია, მაშასადამე, არაადამიანური და სასტიკია, თუ მისი ხანგრძლივობა მკვეთრად დისპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, დანაშაულისგან მოსალოდნელ ზიანთან და საფრთხესთან<sup>31</sup>.

სასამართლოს პოზიციით, საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება და ვალდებულება შეაფასოს სასჯელის კონსტიტუციურობა, როცა სასჯელის არაპროპორციულობის დონე მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს, დისბალანსი მკაფიოდ, მკვეთრად გამოხატულია. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლო სასჯელის ყველა ზომის კონსტიტუციურობაზე მსჯელობაუნარიანი არ არის და იგი უკავშირდება სასჯელის არაპროპორციულობის ხარისხს<sup>32</sup>.

#### 4. სასჯელი როგორც ULTIMA RATIO

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ქმედების კრიმინალიზაციის და დასჯადობის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა მაშინ აღწევს წარმატებას, როცა სასჯელი განიხილება როგორც ultima ratio ანუ უკიდურესი საშუალება ადამიანის ინტერესების და სისხლის სამართლის ნორმის დასაცავად. სასჯელის გამოყენება მაშინ არის გამართლებული, როცა სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები ამონურულია. კანონით დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედება უნდა მიიჩნეოდეს, რომელიც უმართლობის იმ ხარისხს შეიცავს, რომელთა განეიტრალება სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება. სასჯელი, როგორც სოციალური კონტროლის მექანიზმი და სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ღონისძიება, უნდა იყოს ეფექტური და პროპორციული<sup>33</sup>. სასამართლოს მიერ სასჯელის ეფექტურობის და პროპორციულობის გამიჯვნა მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროპორციული სასჯელი ყოველთვის არ არის ეფექტური. შეიძლება სასჯელი დანაშაულის სიმძიმის თანაზომიერი იყოს, მაგრამ არაეფექტური აღმოჩნდეს.

<sup>30</sup> ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 24, 25.

<sup>31</sup> ნაწილი II, პ. 38.

<sup>32</sup> ნაწილი II, პ. 34.

<sup>33</sup> ნაწილი II, პ. 37.

ამიტომ, მნიშვნელოვანია მოსამართლისთვის არჩევანის შესაძლებლობის შეთავაზება.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, თავისუფლების აღკვეთა ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრესი ფორმაა და ამიტომ, სახელმწიფო მის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ სასამართლოს მიდგომა, არამედ ასევე საკანონმდებლო პოლიტიკაც. კანონით პატიმრობა მხოლოდ ისეთი შემთხვევებისთვის უნდა იყოს გათვალისწინებული, როცა ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, ქმედებიდან მომდინარე საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როცა საზოგადოებისგან პირის იზოლირება აუცილებელია მისგან პოტენციურად მომდინარე საფრთხეების გასაწინააღმდეგოდ და სასჯელის მიზნების მისაღწევად. თუ სასჯელის მიზნების მისაღწევად პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენება ობიექტურად საკმარისია, კანონი სამართალშემფარდებელს უნდა უზიძგებდეს სწორედ არასაპატიმრო ალტერნატივების გამოყენებისკენ<sup>34</sup>.

## 5. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა

სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს კანონმდებლის მიერ მოსამართლის იმ შესაძლებლობებით აღჭურვის მნიშვნელობაზე, რაც მას მისცემს ქმედების სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების, დამნაშავის ბრალის ხარისხის და ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღების საშუალებას<sup>35</sup>.

სასჯელი უნდა იყოს არა მხოლოდ პროპორციული იმ საფრთხის, რომელიც დანაშაულისგან მომდინარეობს, არამედ ასევე უნდა იძლეოდეს მოსამართლის მიერ დანაშაულის ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინების შესაძლებლობას<sup>36</sup>. პროპორციული სასჯელის შესაფარდებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის, დამნაშავის ბრალის, დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის, არამედ ასევე დამნაშავის პერსონალური მახასიათებლების გათვალისწინება<sup>37</sup>. მოცემულ მსჯელობაში საყურადღებოა ის, რომ ხაზგასმია დამნაშავის

---

<sup>34</sup> ნაწილი II, პ. 96.

<sup>35</sup> ნაწილი II, პ. 37, 38.

<sup>36</sup> ნაწილი II, პ. 38.

<sup>37</sup> ნაწილი II, პ. 97.



პიროვნების გათვალისწინების მნიშვნელობაზე. მართალია, ერთ-ერთი თეორიით, რომელიც დანაშაულის პროპორციული სასჯელის შეფარდების სახელწოდებითაა ცნობილი, დამნაშავის პიროვნება არ წარმოადგენს სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ გარემოებას<sup>38</sup>, რაც სასჯელის შეფარდების პროცესს უფრო გამჭვირვალეს ხდის, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სანინალმდეგობზე მეტყველებს.

პროპორციული სასჯელის გამოსაყენებლად გასათვალისწინებელ გარემოებებზე საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნული მსჯელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე მიუთითებს, რომელიც სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს<sup>39</sup>. სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის უგულვებლყოფის შემთხვევაში შეუძლებელია სამართლიანი სასჯელის დანიშვნა. სასჯელი მხოლოდ მაშინ არის სამართლიანი, როცა იგი შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს და დამნაშავის პიროვნებას, ინდივიდუალურ გარემოებებს. სასჯელის სამართლიანობის გარეშე, პროპორციულობის პრინციპის რეალიზაცია შეუძლებელია. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი გულისხმობს არა მხოლოდ დანაშაულის, არამედ ასევე დამნაშავესთან დაკავშირებული ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებას. შესაბამისად, არასწორია, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ინდივიდუალურ გარემოებათა მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებისას, მხოლოდ დანაშაულის ინდივიდუალურ გარემოებებზე საუბარი.

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელება სასჯელის შეფარდების დროს, მოითხოვს, რომ მოსამართლე იყოს აღჭურვილი შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირებით, რაც მოსამართლეს მისცემს შესაძლებლობას შეუფარდოს მსჯავრდებულს სასჯელი სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის შესაბამისად. ამდენად, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი მსჯელობა: კანონმდებელი კანონში მოსამართლეს ვერ მიუთითებს, ინდივიდუალურ გარემოებათა გათვალისწინებით, პირს როდის როგორი სასჯელი უნდა შეუფარდოს, თუმცა კანონმდებელი არ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, სასამართლო აღჭურვოს საკმარისად მოქნილი ნორმებით, რომელიც შესაძლებელს გახდის, მოსამართლემ ინდივიდუალურ გარემოებათა მიხედვით

---

<sup>38</sup> Hörnle T., Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999, S. 18. აღნიშნულზე ასევე იხ. Meier B.-D., Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Berlin, Heidelberg, 2015, S. 170.

<sup>39</sup> ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 158 და შემდეგი.

პირის მიმართ გამოიყენოს ის სასჯელი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი და გარდუვალია<sup>40</sup>.

## 6. სასჯელის პროპორციულობის ელემენტები

როდესაც საუბარია სასჯელის პროპორციულობაზე, ჩნდება კითხვა, თუ რა ელემენტებისგან შედგება იგი. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, სასჯელის კონკრეტული ზომა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ვარგისი საშუალება და უნდა უზრუნველყოფდეს სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. ამასთან ერთად სასჯელი განიხილება ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უკიდურეს საშუალებად. მიზანზე არაორიენტირებული სასჯელი თავად გადაიქცევა მიზნად, რაც დაუშვებელი და გაუმართლებელია, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში<sup>41</sup>.

სასამართლოს მოცემული მსჯელობა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოიყოს სასჯელის პროპორციულობის ელემენტები. ესენია: ლეგიტიმური მიზანი; გამოსადეგობა; აუცილებლობა, ვინაიდან სასჯელი ლეგიტიმური მიზნის მიღწევის უკიდურეს საშუალებად განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს მიზნის მიღწევის სხვა, უფრო მსუბუქი საშუალება, ის უნდა იქნას გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ელემენტების გარდა საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს მიზანსა და საშუალებას შორის პროპორციულ დამოკიდებულებაზე<sup>42</sup>, რასაც ვინცო გაგებით პროპორციულობასაც უწოდებენ და წარმოადგენს პროპორციულობის პრინციპის მეოთხე ელემენტს.

### 6.1. სასჯელის მიზანი, როგორც სასჯელის პროპორციულობის მზომელი

ვინაიდან პროპორციულობის პრინციპის ერთ-ერთ ელემენტად ლეგიტიმური მიზანი სახელდება, სასჯელის პროპორციულობის გასარკვევად აუცილებელია იმის დადგენა თუ რა ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება სასჯელი. საკონსტიტუციო სასამართლო ასეთად ასახელებს სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და

<sup>40</sup> ნაწილი II, პ. 100.

<sup>41</sup> ნაწილი II, პ. 39.

<sup>42</sup> ნაწილი II, პ. 39.

დამნაშავის რესოციალიზაციას<sup>43</sup>, რაც შესაბამისობაშია როგორც სასჯელის მიზნების საკანონმდებლო რეგლამენტაციასთან (სსკ-ის 39-ე მუხ.), ისე სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისთან.

## **6.2. სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის ლეგიტიმური მიზანი და მისი გამიჯვნა შიშველი შურისძიებისგან**

საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად სამართლიანობის აღდგენას ასახელებს, ხოლო მეორე მხრივ, მას მიჯნავს პრიმიტიული შურისძიებისგან, რომელიც ხელს არ უწყობს სამართლის პროგრესულ განვითარებას, მართლწესრიგის დაცვას, საზოგადოების წევრთა ჰარმონიულ თანაარსებობას და სასჯელის ისეთი მიზნის განხორციელებას, როგორცაა დამნაშავის რესოციალიზაცია<sup>44</sup>. სასამართლო სამართლიანობას აცხადებს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზნად<sup>45</sup>.

სამართლიანობის აღდგენის გამიჯვნა პრიმიტიული შურისძიებისგან, მართებულია, ვინაიდან შიშველი შურისძიება არ ინტერესდება დანაშაულთან სასჯელის თანაზომიერებით. მაშინ როცა სამართლიანობის აღდგენა დანაშაულის სიმძიმის და დამნაშავის თანაზომიერ დასჯას მოითხოვს, შიშველი შურისძიება, პირიქით, არაპროპორციულად მკაცრი დასჯისკენ იხრება და მსჯავრდებულისთვის სასტიკი სასჯელის შეფარდებას არ გამორიცხავს. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ჩადენილი დანაშაულის გამო სამაგიეროს მიზღვას, მაგრამ ეს უნდა იყოს სამართლიანი სამაგიეროს მიზღვა. თუ სამაგიეროს მიზღვა სამართლიანი არ არის, სასჯელი სამართლიანობას ვერ აღადგენს და თავად იქცევა ახალი უსამართლობის საფუძვლად.

ვინაიდან სამართლიანობის კანონით რეგლამენტირებული ცნება არ არსებობს, ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა დადგინდეს არის თუ არა სასჯელი სამართლიანი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხს იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სასამართლოს განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“. მართალია, მოცემულ დებულებაში საუბარია განაჩენის და არა სასჯელის სამართლიანობაზე, მაგ-

<sup>43</sup> ნაწილი II, პ. 41.

<sup>44</sup> ნაწილი II, პ. 43.

<sup>45</sup> ნაწილი II, პ. 44.

რამ განაჩენი არა მხოლოდ ქმედების კვალიფიკაციას, არამედ სასჯელის შეფარდებასაც გულისხმობს. ამდენად, განაჩენის სამართლიანობა არა მხოლოდ ქმედების სწორ კვალიფიკაციას, არამედ სასჯელის სამართლიანობას, დანაშაულთან და დამნაშავის პიროვნებასთან მის შესაბამისობასაც უკავშირდება. სასჯელის სამართლიანობის გარეშე რომ განაჩენის სამართლიანობა გამოირიცხება ეს სსსკ-ის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის დებულებიდანაც ვლინდება.

სასამართლოს პოზიციით, სასჯელით მაშინ მიიღწევა სამართლიანობის აღდგენა, როცა სასჯელი არის მიზნის მისაღწევად საკმარისი და აუცილებელი, ისეთი, რომ ობიექტურ დამკვირვებელს უქმნის წარმოდგენას, რომ თუ არა ამგვარი სასჯელით, სხვაგვარად დანაშაულისგან მომდინარე საფრთხის განეიტრალება შეუძლებელი იქნებოდა<sup>46</sup>.

### **6.3. დამნაშავის რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის მიზანი**

მეტად საყურადღებოა სასამართლოს განმარტება დამნაშავის რესოციალიზაციაზე, როგორც სასჯელის მიზანზე, რომლის მიხედვითაც, იგი გულისხმობს „სასჯელის მეშვეობით დამნაშავის საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი შეგუებას, სასჯელის მოხდის შედეგად საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მართლზომიერი ქცევის წესებისა და პირობებისადმი პირის ადაპტაციას“<sup>47</sup>. სასამართლოს გადანყვეტილებაში არის მითითება იმაზე, რომ პატიმრობა შეიძლება არ წარმოადგენდეს რესოციალიზაციის მიღწევის საუკეთესო საშუალებას და მან პირიქით, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების წესისა და უნარისგან პატიმრის დისტანცირებას. აღნიშნული მეტყველებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობასა და ძალიან მაღალ ტვირთზე რესოციალიზაციის მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით<sup>48</sup>.

---

<sup>46</sup> ნაწილი II, პ. 45.

<sup>47</sup> ნაწილი II, პ. 47.

<sup>48</sup> ნაწილი II, პ. 47.

## 6.4. დანაშაულის პრევენცია როგორც სასჯელის მიზანი

### 6.4.1. სპეციალური პრევენცია

სასჯელის მიზნებიდან ერთ-ერთია დანაშაულის პრევენცია, რომელიც იყოფა სპეციალურ და ზოგად პრევენციად. სპეციალურ პრევენციას სასამართლო განიხილავს როგორც დანაშაულის რეციდივის წინააღმდეგ მიმართულ მიზანს, რომელიც მიიღწევა დამნაშავისთვის ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის მოსპობით<sup>49</sup>. სასამართლო დანაშაულის სპეციალურ პრევენციას დამნაშავის რესოციალიზაციასთან მჭიდრო კავშირში განიხილავს და რესოციალიზაციას სპეციალური პრევენციის მიზნის მიღწევის გზად წარმოაჩენს<sup>50</sup>, რაც სწორიც არის. დამნაშავის რესოციალიზაცია სპეციალური პრევენციის ასპექტია. მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიუღწევლობას ნულამდე დაჰყავს სპეციალური პრევენციის მიზნის მიღწევა. შეუძლებელია მოელოდე სპეციალურ პრევენციას ანუ გამორიცხავდე დანაშაულის რეციდივს, როცა მიღწეული არ არის დამნაშავის რესოციალიზაცია. მოცემული მსჯელობა იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, რომ დამნაშავის რესოციალიზაციის და დანაშაულის სპეციალური პრევენციის განხილვა სასჯელის ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მიზნებად, დაუშვებელია.

### 6.4.2. ზოგადი ანუ გენერალური პრევენცია

სასჯელის მიზნებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუ რამდენად არსებითი და მნიშვნელოვანია გენერალური ანუ ზოგადი პრევენცია კონკრეტული მსჯავრდებულისთვის სასჯელის შეფარდებისას. შეიძლება თუ არა მსჯავრდებულს სასჯელი განესაზღვროს ზოგადი პრევენციის მიზნიდან გამომდინარე. ზოგადი პრევენცია სასჯელის ზოგადი მიზანია, თუ იგი სასჯელის შეფარდების დროს გასათვალისწინებელ მიზანს წარმოადგენს?

დასმულ კითხვაზე საკონსტიტუციო სასამართლო შემდეგს აღნიშნავს: კონკრეტული მსჯავრდებულის დასჯის მიზანი არ შეიძლება იყოს სხვათა დაშინება და გაფრთხილება, სხვა პირთა მიერ იგივე დანაშაულის ჩადენის საფრთხის შემცირება. ზოგადი პრევენცია ვერ იქნება თვითკმარი ნებისმიერი სასჯელის გამოყენებისთვის, ვინაიდან ასეთი მიდგომით მსჯავრდებული სახელმწიფოს ხელში იქცევა საზოგადოების „დაშინე-

<sup>49</sup> ნაწილი II, პ. 49.

<sup>50</sup> ნაწილი II, პ. 50.

ბის იარაღად“, რაც დაუშვებელი და გაუმართლებელია სამართლებრივ სახელმწიფოში<sup>51</sup>. პირისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად, სასჯელს უხეშად არაპროპორციულად აქცევს<sup>52</sup>. ადამიანი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ინსტრუმენტი, დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, ადამიანი არის მიზანი<sup>53</sup>.

არაპროპორციულ სასჯელს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის აღდგენას, დანაშაულის თავიდან აცილებას და მსჯავრდებულის რესოციალიზაციას, შედეგად მოაქვს ადამიანის ღირსების ხელყოფა, ვინაიდან სასჯელი იქცევა პოტენციურ შურისძიების იარაღად, რის შედეგადაც, სამართალი და კანონი დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას, გადაიქცევა ხელისუფლების ინსტრუმენტად ადამიანებით მანიპულირებისთვის და თავად გახდება იმ პრობლემების მთავარი წყარო, რომელთა თავიდან აცილებას და აღმოფხვრასაც უნდა ემსახურებოდეს<sup>54</sup>.

### **6.5. სასჯელის მიზნების განხორციელება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში**

სასამართლო სასჯელის მიზნების განხორციელებას არა ერთმანეთისგან მოწყვეტით, არამედ ერთმანეთთან კავშირში ხედავს, რაზეც მეტყველებს ის, რომ გადანყვეტილებაში სამართლიანობის აღდგენა განხილულია სასჯელის სხვა მიზნებთან კავშირში. სასამართლოს შეფასებით, სამართლიანობის აღდგენა რეალიზებადია თანაზომიერი სასჯელის გამოყენებისას, რაც ემსახურება სასჯელის სხვა მიზნების რეალიზებას. კერძოდ, არაპროპორციულად მკაცრი სასჯელი, რომელიც ამავდროულად უსამართლოც არის, ხელს უშლის, ზოგჯერ საერთოდ გამორიცხავს, დამნაშავის რესოციალიზაციას<sup>55</sup>.

### **6.6. აუცილებლობა, როგორც პროპორციულობის ელემენტი**

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, ადამიანის თავისუფლებაში (მის ნებისმიერ უფლებაში) ჩაერიოს მხო-

---

<sup>51</sup> ნაწილი II, პ. 52.

<sup>52</sup> ნაწილი II, პ. 53.

<sup>53</sup> ნაწილი II, პ. 54.

<sup>54</sup> ნაწილი II, პ. 56.

<sup>55</sup> ნაწილი II, პ. 46.

ლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია<sup>56</sup>. სახელმწიფოს თავისუფალი მიხედულობის ფარგლები კონსტიტუციით შეზღუდულია იმ პრინციპით, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დაცვის ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე<sup>57</sup>.

მოცემულ მსჯელობაში ყურადღებაა გამახვილებული ადამიანის უფლებაში ჩარევის აუცილებლობაზე, რომლითაც უნდა იყოს სახელმწიფო შებოჭილი. აუცილებლობა წარმოადგენს პროპორციულობის პრინციპის მნიშვნელოვან ელემენტს და მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის უფლების შეზღუდვის აუცილებლობას, არამედ ასევე იმ საშუალების გამოყენების აუცილებლობასაც, რომელსაც უკავშირდება ადამიანის უფლების შეზღუდვა კონკრეტულ შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ სამართალსა და მართლმსაჯულებაში ერთმანეთისგან იმიჯნება შეზღუდვის აუცილებლობა და გამოყენებული საშუალების აუცილებლობა<sup>58</sup>.

### **6.7. სამართლებრივი სიკეთის დაცვის აუცილებლობა, როგორც ქმედების კრიმინალიზაციის კონსტიტუციური საფუძველი**

საკონსტიტუციო სასამართლო სამართლებრივი სიკეთის დაცვას მიიჩნევს ლეგიტიმურ მიზნად, ხოლო სიკეთის დაცვის რეალურ და ობიექტურ აუცილებლობას ქმედების კრიმინალიზების ისეთ კონსტიტუციურ საფუძვლად, როგორიცაა სანქციის პროპორციულობა. თუ ქმედების კრიმინალიზება სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ არ არის მიმართული, ხელისუფლების ქმედებას კონსტიტუციური საფუძველი ეცლება და ადამიანის თავისუფლებას საფრთხე ექმნება. ასეთ პირობებში ხელისუფლების ქმედება კონსტიტუციის მიღმა განხორციელებულად ითვლება<sup>59</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული შეფასება მეტად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, ყველა დანაშაული არ არის მიმართული სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ და არსებობს

<sup>56</sup> ნაწილი II, პ. 57.

<sup>57</sup> ბეჯა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 58.

<sup>58</sup> ზოიძე ბ., ნიგნბი: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 268.

<sup>59</sup> ბეჯა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 70.

დელიქტები სამართლებრივი სიკეთის გარეშე<sup>60</sup>. ავტორთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, ასეთი დელიქტების წრეს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები მიეკუთვნება<sup>61</sup>, რაც ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულები, როგორც წესი, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებს წარმოადგენენ.

სამართლებრივი სიკეთის გარეშე ამა თუ იმ დელიქტის საკანონმდებლო შემადგენლობის კონსტრუირების კონცეფცია ნამდვილად არ არის გაზიარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და ამაზე მეტყველებს სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის ანალიზიც აქ არის წარმოდგენილი.

სასამართლოს შეხედულებით, სახელმწიფოს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უფლება მაშინ აქვს, როცა ქმედება არა მხოლოდ ირაციონალურია, არამედ სხვებსაც უქმნის რეალურ და სერიოზულ საფრთხეს<sup>62</sup>. ვინაიდან თანამედროვე სისხლის სამართალი იცავს სხვის სიკეთეს და არა თვით მოქმედ პირს საკუთარი ქმედებისგან, ქმედების დასჯადობის აუცილებელი პირობაა, რომ ქმედებამ სწორედ სხვის სიკეთეს შეუქმნას საფრთხე. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან კოლექტიური სიკეთე. თუმცა, ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში დაცულია არაინდივიდუალური სიკეთე.

შეზღუდვას და რეგულირებას შეიძლება ექვემდებარებოდეს ქმედება, რომელიც ანტისოციალური ხასიათისაა და ქმედების განხორციელების მომენტში ქმნის რეალურ ან პოტენციურ საფრთხეს სხვათა სიკეთისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის<sup>63</sup>. დანაშაულებრივი ქმედების აუცილებელი ნიშანია მისი სოციალური (საზოგადოებრივი) საშიშროება. ქმედება, რომელიც ასეთ ნიშანს არ შეიცავს, არ წარმოადგენს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს. ქმედება შეუძლებელია ანტისოციალურად, საზოგადოებისთვის საშიშად ჩაითვალოს, თუ იგი მხოლოდ მოქმედ პირს აზიანებს ან საფრთხეს უქმნის და არ არის მიმართული სხვისი სიკეთის წინააღმდეგ.

ქმედების საშიშროების შეფასებისას მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ ის, ქმედება საზიანოა თუ სასარგებლო საზოგადოებისთვის, არამედ ასევე ქმედებით გამოწვეული საფრთხის სიმწვავე, რეალურობის ხარისხი და მასშტაბი<sup>64</sup>. ქმედება შეიძლება ანტისოციალურად შეფასდეს,

<sup>60</sup> *Welzel H.*, Studien zum System des Strafrechts, ZStW 1939, S. 491.

<sup>61</sup> *Frister H.*, Strafrecht, AT, 5. Aufl., München, 2011, S. 36, §3 Rn. 25.

<sup>62</sup> ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ნაწილი II, პ. 74.

<sup>63</sup> ნაწილი II, პ. 75.

<sup>64</sup> ნაწილი II, პ. 75.



მაგრამ საშიშროების ხარისხი იმდენად მინიმალური იყოს, რომ გამოირიცხოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებლობა. ამდენად, ქმედების საშიშროების შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს კითხვას იმასთან დაკავშირებითაც, საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, რამდენად არსებობს ამის საზოგადოებრივი საჭიროება. აღნიშნული დებულება ასახულია საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილშიც. რაც მთავარია, ზემოაღნიშნული დასკვნის შესაძლებლობას იძლევა თანაზომიერების პრინციპი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია კონსტიტუციურ სამართალსა და მართლმსაჯულებაში.

ქმედების კრიმინალიზაციისთვის სამართლებრივი სიკეთის დაცვის მნიშვნელობაზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო მკაფიოდ მიუთითებს თუ რომელი სიკეთის დაცვის მიზანს ემსახურება მარიხუანის თავისუფალი ბრუნვის შეზღუდვა და ასეთად ასახელებს ჯანმრთელობის დაცვას<sup>65</sup>, მაგრამ არ ასახელებს ემსახურება თუ არა იგივე სიკეთის დაცვას მარიხუანის შეძენის (მოყვანის) და შენახვის დასჯა. გარდა ამისა, როდესაც სასამართლო მარიხუანის თავისუფალი ბრუნვისგან ჯანმრთელობის დაცვაზე მსჯელობს, უნდა დაეკონკრეტებინა ვისი ჯანმრთელობა აქვს მხედველობაში: შეძენის ჯანმრთელობა თუ ე. წ. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“.

თუ მარიხუანის თავისუფალი ბრუნვის შეზღუდვა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დასახელებული ნივთიერების შეძენა-შენახვის აკრძალვის მიზანიც იგივე იქნება. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანიშნულებებში აღნიშნული საკითხი უფრო ნათლად უნდა ყოფილიყო გადანიშნული.

### **6.8. მხოლოდ სხვისი სიკეთის დაცვა, როგორც თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ლეგიტიმაციის საფუძველი**

საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა-შენახვის თავისუფლების აღკვეთით დასჯის არაკონსტიტუციურობაზე მიღებულ გადანიშნულებებში დასვა კითხვა, თუ რამდენად გონივრულია, პირს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების გამო?<sup>66</sup> დასმული კითხვისთვის პასუხის გასაცემად მსჯელობისას სასამართლო იმ დასკვნამდე მიდის, რომ არ შეიძლება ადამიანს სისხლისსამართლებრივი

<sup>65</sup> ნაწილი II, პ. 80.

<sup>66</sup> ნაწილი II, პ. 82.

პასუხისმგებლობა დაეკისროს მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გამო. ადამიანს ასეთი საფრთხე შეიძლება შეექმნას ექიმის დანიშნულების გარეშე არასწორი პრეპარატის დაღვევის ან საჭირო დოზის გადამეტების შედეგად. ასეთი ლოგიკით ადამიანი თვითმკვლელობის მცდელობის დროსაც უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით საკუთარი თავისთვის შექმნილი საფრთხის გამო, იმ მიზნით, რომ კვლავ არ შეუქმნას საფრთხე საკუთარ თავს<sup>67</sup>.

საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის გამო პირისთვის თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზნით, რათა სხვებმაც არ შეუქმნან საფრთხე საკუთარ თავს, კონკრეტულ პირს აქცევს ძალაუფლების ობიექტად, ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდუვალად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას<sup>68</sup>.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება თავისუფლების აღკვეთის სახით, სასჯელის არაპროპორციულ ზომად (არათანაზომიერ საშუალებად) სცნო, ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად<sup>69</sup>. მაშასადამე, მიზნის ლეგიტიმურობის მიუხედავად, მიზნის მიღწევის კონკრეტული საშუალება არათანაზომიერად იქნა მიჩნეული. პროპორციულობის პრინციპის დასაცავად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობა, არამედ ასევე ამ მიზანსა და მის მისაღწევად შერჩეულ საშუალებას შორის თანაზომიერი დამოკიდებულება. ასეთი დამოკიდებულების არსებობის დასადგენად კი მხედველობაში მიიღება ის საფრთხე, რომელიც შესაბამისი ქმედებიდან მომდინარეობს.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, არ დასტურდება მარიხუანის მოხმარებასა და სხვა დანაშაულის ჩადენას/ზრდას შორის გარდაუვალი კავშირის არსებობა. ასეთი კავშირის არარსებობის გამო, სასამართლომ პირადი მოხმარების მიზნით მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის პასუხისმგებლობის სახით თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციულ საშუალებად მიიჩნია<sup>70</sup>.

სასამართლო მნიშვნელოვნად თვლის ნარკოტიკული საშუალების ოდენობის გათვალისწინებას და მიუთითებს, რომ გასაღების საფრთხე დამოკიდებულია ნარკოტიკული საშუალების ოდენობაზე. რაც უფრო მეტია ოდენობა, მით უფრო იზრდება გასაღების საფრთხე. ამასთან ერ-

<sup>67</sup> ნაწილი II, პ. 82.

<sup>68</sup> ნაწილი II, პ. 83.

<sup>69</sup> ნაწილი II, პ. 84.

<sup>70</sup> ნაწილი II, პ. 87.

თად მიუთითებს, რომ ერთი მხრივ, ადამიანმა მცირე ოდენობაც შეიძლება გამოიყენოს რეალიზაციისთვის და მეორე მხრივ, დიდი ოდენობა შეიძინოს პირადი მოხმარების მიზნით. თუმცა, რაც უფრო დიდია ოდენობა, ლოგიკურად, მით უფრო რეალურია მისი რეალიზაციის მიზნით გამოყენება, რაც სხვა პირთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების მასშტაბსაც ზრდის. ამდენად, მნიშვნელოვანია კანონმდებლობის საშუალებით გაიმიჯნოს პირადი მოხმარების მიზნით და გასაღების მიზნით მარიხუანის შექენა-შენახვის ფაქტები<sup>71</sup>.

სასამართლომ გაიზიარა მოსაზრება, რომ 50-70 გრამამდე მარიხუანა არ არის ის ოდენობა, რომელიც მაღალი ალბათობით მიანიშნებს მისი რეალიზაციის მიზნებისთვის შექენა-შენახვაზე<sup>72</sup>. სასამართლოს აღნიშნული პოზიცია კრიტიკულად იქნა განხილული იურიდიულ ლიტერატურაში და აღინიშნა, რომ საქართველოში არსებული სოციალური პირობების გათვალისწინებით, 70 გრამამდე მარიხუანის ფლობა შეიცავს ფინანსური მოგების მისაღებად გასაღების საფრთხეს<sup>73</sup>. მოცემული თვალსაზრისი არ შეიძლება დაუსაბუთებლად მივიჩნიოთ.

საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მოყვანილი დასკვნების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, შეიქმნა საფუძველი მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის თაობაზე მოგვიანებით მიღებული გადაწყვეტილებებისთვის.

## 7. სამართლის ჰუმანურობის ფუნქცია

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში აქცენტს აკეთებს სამართლის ჰუმანურობის ფუნქციაზე, რაც სამართლის და საზოგადოების პროგრესული განვითარების ხელშემწყობად მიიჩნევა. სამართლის ჰუმანურობა არ გამორიცხავს ადამიანთა პასუხისმგებლობას საზოგადოებრივად საშიში ქმედებისთვის, მაგრამ იგი უნდა ემყარებოდეს ობიექტურ აუცილებლობას და ემსახურებოდეს სამართლის მიზნების მიღწევას<sup>74</sup>. მოცემული შეფასება იმაზე მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა ხდებოდეს იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად აუცილებელია იგი სამართლის მიზნების მისაღწევად. შეიძლება დანაშაული ჩადენილი იყოს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დანაშაულის ჩამდენი გათავისუფლდეს პასუხისმ-

<sup>71</sup> ნაწილი II, პ. 91.

<sup>72</sup> ნაწილი II, პ. 92-93.

<sup>73</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 179.

<sup>74</sup> ნაწილი II, პ. 57.

გებლობისგან, თუ დასჯა აუცილებელი არ იყო სამართლის მიზნების განსახორციელებლად. სისხლის სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს სასჯელი წარმოადგენს და სასჯელი არის ის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც სისხლის სამართალი თავის პრევენციულ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ დასჯასთან ერთად სისხლის სამართალი იცნობს სასჯელისა და პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ინსტიტუტებსაც. სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში რეპრესიული ინსტრუმენტია, მაგრამ რეპრესია სისხლის სამართლისთვის არ შეიძლება თვითმიზანს წარმოადგენდეს. ის რომ სისხლის სამართალი დასჯასთან ერთად დანაშაულის ჩამდენის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებასაც უშვებს (მაგალითად, სსკ-ის 68-ე მუხ.), მიუთითებს სისხლის სამართლის ორსახოვან ბუნებაზე: დასჯის საშუალებით სისხლის სამართლის რეპრესიულობაზე, პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების ინსტიტუტების მეშვეობით, სისხლის სამართლის ჰუმანურობაზე.

## **8. კულტურის, ღირებულებების, ისტორიული გამოცდილების და საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტების მნიშვნელობა ქმედების კრიმინალიზაციის დროს**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ქმედების კრიმინალიზაციასთან და სასჯელის დაწესებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს ისტორიული გამოცდილების, კულტურის, ღირებულებების და საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტების გათვალისწინებით<sup>75</sup>.

სასამართლოს აღნიშნული შეფასება ბადაებს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, ასეთი მიდგომით ხომ არ იქმნება პატერნალისტურად მოტივირებული სამართლის საფრთხე? ქმედების კრიმინალიზაციის დროს რამდენად აუცილებელია საზოგადოების კულტურული შეხედულებების გათვალისწინება?

დასმულ კითხვასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართალი არის კულტურული ფენომენი<sup>76</sup>. უფრო მეტიც, კულტურა არის სამართლის გარემომცველი სამყარო (*Kultur ist eine Umwelt des Rechts*)<sup>77</sup>.

თუმცა, კულტურის და სამართლის ნორმა არ არის იდენტური, არ არსებობს პირდაპირი გზა კულტურიდან სამართლებრივ სისტემამდე ან კულტურული ღირებულებიდან იურიდიულ ნორმამდე. კულტურუ-

<sup>75</sup> ნაწილი II, პ. 33.

<sup>76</sup> *Gutmann Th.*, *Recht als Kultur?*, Baden-Baden, 2015, S. 7; *ხუბუა გ.*, *სამართლის თეორია*, თბ., 2004, გვ. 83.

<sup>77</sup> *Gutmann Th.*, *ebenda*, S. 20.

ლი გენეზისი და სამართლებრივი ყოფიერება (Geltung) ერთმანეთისგან იმიჯნება<sup>78</sup>, მაგრამ კულტურასა და სამართალს შორის არსებობს გარკვეული კავშირიც. თუ როგორი სამართალი მოქმედებს ქვეყანაში, ამის მიხედვით შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ქვეყნის კულტურაზეც. ქვეყნის განვითარების დონე, კულტურა კარგად ჩანს ქვეყანაში მოქმედ სამართალში.

სამართალშემოქმედების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე ქვეყნის, საზოგადოების ისტორიული გამოცდილება.

გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით საზოგადოების კულტურული, ისევე როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების დაცვისთვის საფრთხის შექმნა განიხილება ქვეყნის სტაბილურობისთვის, უსაფრთხოებისთვის და სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნასთან კავშირში<sup>79</sup>.

## **9. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე მოსამართლე მერაბ ტურავას განსხვავებული მოსაზრება**

ბექა წიქარიშვილის საქმესთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი გამოთქვა ერთერთმა მოსამართლემ, მერაბ ტურავამ, რომელმაც გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაიზიარა. მ. ტურავა ეთანხმება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ვადით 7-დან 14 წლამდე, რომელსაც ითვალისწინებდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია. 2015 წლის 8 ივლისის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად აღნიშნული სასჯელი შეიცვალა 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, თუმცა დასახელებული სასჯელი მაინც რჩებოდა არაპროპორციულ სასჯელად იმ ქმედებისთვის, რომელიც კონსტიტუციურ სარჩელში იყო მითითებული<sup>80</sup>.

მ. ტურავამ, ერთი მხრივ, გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის

<sup>78</sup> Gutmann Th., ebenda, S. 25.

<sup>79</sup> Rahlf, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013, S. 669, BtMG §29, Rn. 15.

<sup>80</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებაზე

მაღალი ზომით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობაზე, მაგრამ მეორე მხრივ, არ დაეთანხმა საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას ზემოაღნიშნული ქმედებისთვის ზოგადად თავისუფლების აღკვეთის, როგორც სასჯელის ნებისმიერი ვადით, მათ შორის 6 თვიდან 1, 2, 3 ან 5 წლამდეც კი, დანესების არაპროპორციულად მიჩნევას<sup>81</sup>.

აღნიშნული მოსაზრებით, კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული ქმედებისთვის თავისუფლების აღკვეთის 6 თვიდან განსაზღვრულ დაბალ ზღვრამდე დანესება თვისობრივად და ხარისხობრივად არ იქნებოდა იმ ინტენსივობის და ხარისხის, რომ იგი მიჩნეული ყოფილიყო არაადამიანურ, სასტიკ, არათანაზომიერ სასჯელად, რომელიც ხელყოფდა ადამიანის ღირსებას<sup>82</sup>.

მ. ტურავა თვლის, რომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა მომეტებული საფრთხის მატარებელია იმის გათვალისწინებით, რომ იგი ბევრჯერ აღემატება ერთჯერადი მოხმარებისთვის განკუთვნილ ოდენობას (ერთი გრამი). მაშასადამე, აღნიშნული ოდენობა მრავალჯერადი მოხმარებისთვისაა გათვალისწინებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსხვავებული შეხედულების თანახმად, მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეს დაუტოვებდა იმის შესაძლებლობას, რომ კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული ქმედების ჩამდენი პირისთვის შეეფარდებინა მოკლე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ან გამოეყენებინა პირობითი მსჯავრის ან სხვა უფრო მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიება<sup>83</sup>.

## **10. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული შინადასაბუთო ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედებების დასჯადობაზე**

ქ. პასედახი ჩამოთვლის იმ ქმედებებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მოხმარებასთან და რომელთა დაუსჯელობაც გამართლებული იქნებოდა. ასეთ ქმედებებს მიაკუთვნებს ნარკოტიკული საშუალების ფლობას, შექენას, დამზადებას, გაშენებას, წარმოებას, შემოტანას, გატანას და გადატანას. თუმცა, ავტორი იქვე იმასაც დასძენს, რომ ეს არ გულისხმობს იმ ქმედების შემადგენლობათა გაუქმებას, რომლებითაც არის გათვალისწინებული ჩამოთვლილი ქმედებები, ვინაიდან ისინი არ ხორციელდება მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით და სასჯელი-

---

<sup>81</sup> იქვე.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> იქვე.

საგან გათავისუფლება ვერ შეეხება მძიმე ნარკოტიკებს. განსაკუთრებით გაშენება, წარმოება, შემოტანა, გატანა და გადატანა ქმნის მესამე პირისთვის გადაცემის საფრთხეს. იმ შემთხვევებში, რომლებშიც მესამე პირისთვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის საფრთხე იქმნება, სასჯელი უნდა დარჩეს<sup>84</sup>.

როგორც ქ. პასედახი აღნიშნავს, სხვისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვება მხოლოდ მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედებათა შერჩევით არ უნდა მოხდეს, საჭიროა დამატებითი კრიტერიუმი, რომლითაც მოხდება პირადი მოხმარების გამორიცხვა. ამიტომ საჭიროა პირადი მოხმარების მიზნის არსებობა. ქმედება უნდა იყოს პირადი მოხმარებისკენ მიმართული. მომხმარებელს უნდა უნდოდეს რომ ნარკოტიკული საშუალება მხოლოდ თვითონ მოიხმაროს ან უნდა ჰქონდეს მოხმარებული. იმისთვის, რომ მტკიცების სირთულე დაიძლიოს, რომელიც აღნიშნულს უკავშირდება, საჭიროა დასახელებულ ქმედებათა სასჯელისაგან განრიდება მაშინ მოხდეს, როცა საქმე მცირე მოცულობას ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე მოცულობაზე მეტის გაშენება და წარმოება გამოიწვევს დასჯადობის ფარგლებიდან გასვლას<sup>85</sup>.

მაშინ, როცა ქ. პასედახი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედებებისთვის სასჯელის გასაუქმებლად აუცილებელ კრიტერიუმებად ასახელებს ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზანს და ოდენობას, მ. ქელერი დასახელებულ კრიტერიუმთა გათვალისწინების გარეშე მოითხოვს მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედებებისთვის, განსაკუთრებით შეძენისა და ფლობისთვის, სასჯელის გაუქმებას<sup>86</sup>.

## **11. ნარკოტიკული საშუალების წართმევა მზრუნველობის გამო მშობლის, მასწავლებლის, სოციალური მუშაკის მიერ როგორც ნარკოტიკების დასჯადი მფლობელობა?**

ნარკოტიკული საშუალების ფაქტობრივ განკარგულებაში ყოფნა მოითხოვს ნარკოტიკის ფლობის ნებასაც<sup>87</sup>. მაგრამ დასჯადი ქმედება არ იქნება სახეზე, თუ მშობელი, მასწავლებელი ან სოციალური მუშაკი ნარკოტიკული საშუალების პოვნისას მაშინვე გაანადგურებენ<sup>88</sup>. იგივენაირად გადანყდება საკითხი მაშინაც, როცა მშობლები ან მასწავლებელი

<sup>84</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 229.

<sup>85</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 229-230.

<sup>86</sup> *Köhler M.*, Freiheitliches Rechtsprinzip und Betäubungsmittelstrafrecht, ZStW 1992, S. 39.

<sup>87</sup> *Weber K.*, BtMG, Kommentar, 5. Auflage, München, 2017, S. 190, §4 Rn. 57.

<sup>88</sup> *Monatschrift für Deutsches Recht (MDR)*, 1978, S. 595.

მათ ბავშვს ან მოსწავლეს მზრუნველობის მიზნით ნარკოტიკულ საშუალებას წაართმევენ, იმისთვის რომ პოლიციას გადასცენ<sup>89</sup>.

ნარკოტიკული საშუალების უნებართვო შენახვის დასჯადობა სახეზეა ყოველთვის, როცა მშობლები, მასწავლებლები და სოციალური მუშაკი წართმეულ ნარკოტიკულ საშუალებას შეინახავენ პოლიციისთვის გადაცემის განზრახვის გარეშე<sup>90</sup>.

## 12. დასჯადი თანამფლობელობა

როდესაც რამდენიმე პირი ფულს ერთად დადებს იმისთვის, რომ მოგვიანებით მოხდეს ნარკოტიკის ყიდვა ერთად მოხმარებისთვის, ქმედების კვალიფიკაცია არ არის პრობლემატური. შეიძლება ნარკოტიკის შექენა საკმარისად არ იყოს კონკრეტიზებული, თუმცა მაინც სახეზეა უნებართვო მფლობელობა ყველა მონაწილის მიერ თანამფლობელობის ფორმით<sup>91</sup>.

## 13. პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების შექენისა და ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა და პატერნალიზმის საზღვრები სისხლის სამართალში

როდესაც განხილვის საგანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით შექენისა და ფლობის დასჯადობა, წარმოიშობა კითხვა, აღნიშნულ ქმედებაში უშუალოდ მონაწილე და რამენაირად დაკავშირებულ პირთა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა რამდენად მოდის შესაბამისობაში სისხლისსამართლებრივ პრინციპებთან?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, სისხლის სამართლის აღიარებულ პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელება იმ პირებზე, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ნარკოტიკული საშუალების მიღებასთან ან რამენაირად მონაწილეობენ მასში<sup>92</sup>. როგორც ნებისმიერი ქმედება, რომელიც საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნას გულისხმობს, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაც წარმოადგენს

<sup>89</sup> Patzak/Bohnen, Betäubungsmittelrecht, 3. Auflage, München, 2015, S. 55, Rn. 98.

<sup>90</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 55, Rn. 99; Weber K., BtMG, Kommentar, 5. Auflage, München, 2017, S. 190, §4 Rn. 54.

<sup>91</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 55, Rn. 100.

<sup>92</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 132.



კონსტიტუციით გარანტირებულ მოქმედების თავისუფლებას. ნარკოტიკული საშუალების, განსაკუთრებით კანაფის მოხმარებას განიხილავენ მოქმედების თავისუფლების ისეთ ნაწილად, როგორცაა ჭამა, ადამიანთაშორისი კომუნიკაცია, სქესობრივი აქტი<sup>93</sup>. ამდენად, სისხლის-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარებელთა სიცოცხლეს და სხეულებრივ ინტეგრაციას იცავენ, ლეგიტიმაციას ვერ იღებენ იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა სისხლისსამართლებრივად რელევანტურ უმართლობას ვერ აფუძნებს<sup>94</sup>. საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი ინტერვენციის საფუძველს წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლებოდა საკუთარი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნის გამო დასჯადად გამოცხადებულიყო შაქრის მიღება<sup>95</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ნარკოტიკების მოხმარებლის დაცვა საკუთარი ქმედებისგან წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ ღირებულებებთან. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედების შემადგენლობათა ლეგიტიმაციის დასაბუთების ორ გზას განიხილავენ: 1) ცდილობენ სუსტი, დასაშვები პატერნალიზმის საფუძველზე წარმოაჩინონ, რომ არასრულწლოვნებისა და ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირებისთვის ნარკოტიკების გადაცემის აბსტრაქტული საფრთხე საჭიროს ხდის ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და ფლობის, როგორც წინარე საფეხურის, პენალიზაციას. მსუბუქი პატერნალიზმი იქნებოდა კრიმინალიზაციის განვრცობა, რაც გულისხმობს მოხმარებლის თავისუფლების შეზღუდვას ნარკოტიკული საშუალების შექმნის და ფლობის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯის გზით, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს მოხმარებელთა მიერ ნარკოტიკული საშუალების ფლობის გამორიცხვას. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებელთა პასუხისმგებლობის ლეგიტიმურობის დასაბუთება ერთი მხრივ, მოითხოვს ნორმატიულ კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც ნარკოტიკის მოხმარება არ იქნება პირადი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქცეული, ხოლო მეორე მხრივ, მოითხოვს მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და ფლობის როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ლეგიტიმურობის დადგენას<sup>96</sup>. 2) ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედების შემადგენლობათა

---

<sup>93</sup> Böllinger L., Grenzenloses symbolisches Strafrecht, Zum Cannabis-Beschluß des Bundesverfassungsgerichts, KJ 1994, S. 407.

<sup>94</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 133.

<sup>95</sup> Böllinger L., ebenda, S. 409-410.

<sup>96</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 133-134.

ლეგიტიმაციის დასაბუთების მეორე გზად განიხილავენ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედებათა აკრძალვის გამართლებას მესამე პირთა და საზოგადოების ინტერესებით. ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე მითითება<sup>97</sup>.

#### **14. ნარკოტიკების მოხმარებელთა დაცვა (სუსტი პატარნალიზმი)**

ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების გადაცემა შესაძლებელს ხდის მოხმარებლის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას, იგი სისხლის სამართალში ისჯება როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი. სისხლის სამართალი არ იცნობს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც ითვალისწინებენ ქმედების დასჯადობას, რათა ამით თავიდან იქნას აცილებული საზიანო შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ ამ შედეგის გამონწვევა არ ისჯება როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა. ნარკოტიკული საშუალების შექმნის და ფლობის როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობა მხოლოდ მაშინ იქნება ლეგიტიმური, როცა ნარკოტიკული საშუალების გადაცემა უმართლობას წარმოადგენს. ნარკოტიკული საშუალების გადაცემის როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის უმართლობად კვალიფიკაცია მოითხოვს იმას, რომ როცა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგად საზიანო შედეგი დგება, ნარკოტიკული საშუალების გადაცემას დამდგარი საზიანო შედეგის სისხლისსამართლებრივი შერაცხვის დაფუძნება შეეძლოს. საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის შესაძლებლობის მიცემა განიხილება მსხვერპლის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობით გადანყვეტილების მიღების კონტექსტში<sup>98</sup>.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგად საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნით გამონწვეული შედეგის მესამე პირისთვის სისხლისსამართლებრივად შერაცხვა მოითხოვს, რომ საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არ იყოს პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებული. ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და მფლობელის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა იმით საბუთდება, რომ აღნიშნული ქმედებები დაკავშირებულია აბსტრაქტულ საფრთხესთან, ნარკოტიკული საშუალება შეიძლება გადაეცეს არასრულწლოვნებს ან ნარკოდამოკიდებულებს. ეს საფრთხე მაშინაც არსებობს, როცა შექმნის და მფლო-

<sup>97</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 134.

<sup>98</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 134.

ბელს ნარკოტიკი პირადი მოხმარებისთვის აქვთ<sup>99</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა, როგორც წესი, სისხლისამართლებრივად არ ისჯება, ზოგიერთი ავტორი საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის სპეციფიკური ფორმის სისხლის სამართლით თავიდან აცილებაზე მიუთითებს<sup>100</sup>.

## 15. ახალგაზრდობის დაცვა

საეჭვოდ არ მიიჩნევა, რომ სახელმწიფოსთვის მისი ახალგაზრდების კეთილდღეობა და ჯანმრთელი განვითარება პრიორიტეტულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს. ახალგაზრდები და ბავშვები უნდა იყვნენ დაცული საფრთხისგან. ისინი მიიჩნევიან განსაკუთრებული დაცვის ღირსად (მონყვლადად), ვინაიდან ისინი არ ფლობენ სრულ კომპეტენციას მათი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. ამიტომ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს ბავშვებისა და მოზარდებისთვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის აკრძალვა, რათა მოხმარების შედეგად საფრთხე რომ არ შეექმნათ. ამგვარად არის ალკოჰოლი და თამბაქო ან პორნოგრაფიული ნაწარმოების დაშვება აკრძალული. კომპეტენტური ადამიანების დაცვა ნარკოტიკების მოხმარებისგან მომდინარე საფრთხისგან, არ არის ლეგიტიმური მიზანი ნარკოტიკების სისხლის სამართალში. ზოგადად, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის აკრძალვა ახალგაზრდა მომხმარებლის დასაცავად მაში იქნებოდა ლეგიტიმური, თუ ეს დაცვა შესაძლებელი იქნებოდა აკრძალვით<sup>101</sup>.

ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და ფლობის როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობათა ლეგიტიმაციის წინააღმდეგ არსებითი არგუმენტი გამომდინარეობს იქიდან, რომ სისხლისსამართლებრივი დაცვის გაფართოება ამავდროულად ნარკოტიკების მომხმარებლის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვასთანაა დაკავშირებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ნარკოტიკული საშუალების შექმნისა და ფლობის შესახებ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემადგენლობათა დიფერენცირება არ ხდება პირთა წრის მიხედვით<sup>102</sup>.

რამდენადაც კანონმდებელი ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენების ფორმებს დასჯადად აცხადებს, რომლებიც მესამე პირს პირდაპირ საფრთხეს არ უქმნიან (არამედ მხოლოდ არაპირდაპირ), ნარკოტიკული საშუალების შექმნა და ფლობა ფასდება როგორც წინარე საფეხური.

<sup>99</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 135.

<sup>100</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 135.

<sup>101</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 138.

<sup>102</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 138.

როცა შემძენი ან მფლობელი ნარკოტიკულ საშუალებას მესამე პირს გადასცემს ამით შემდგომი ეტაპის ქმედებას ახორციელებს, ვინაიდან სავარაუდოა, რომ მესამე პირი, რომელსაც ნარკოტიკული საშუალება გადაეცა, ნარკოტიკულ საშუალებას მოიხმარს. აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობის შექმნა და დასჯადობის წინარე საფეხურზე გადმოტანა ეფუძნება საფრთხის პოტენციალზე დამნაშავეის ბატონობის შესაძლებლობის შეზღუდვას. ის რომ სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფაში არ გადაიზრდება შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. მთვრალ მდგომარეობაში ა/მანქანის მართვისას საგზაო მოძრაობაში მონაწილე ყველა პირი არაკონტროლირებადი საფრთხის მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ანალოგიური არაკონტროლირებადი საფრთხეა შექმნილი საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაქიდების დროსაც<sup>103</sup>.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისას საფრთხის სხვა მდგომარეობაა შექმნილი. მხოლოდ გადაცემა არ აფუძნებს უშუალო საფრთხეს სამართლებრივი სიკეთისთვის, ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მიმღების მიერ ნარკოტიკის მიღება ჯერ კიდევ ავტომატურად არ ქმნის საფრთხეს. საფრთხე, რომელიც ნარკოტიკზე დამოკიდებულების გამომწვევ მდგომარეობას და აქედან გამომდინარე დაზიანებას უკავშირდება, იქმნება არა ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემის შეთავაზებით, არამედ იგი წარმოიშობა მაშინ, როცა მიღებული იქნება გადანყვეტილება მოხმარებასთან დაკავშირებით. ხოლო როცა ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით შეთავაზება იქნება მიღებული, ჯერ კიდევ არ არსებობს არაკონტროლირებადი საფრთხე, ვინაიდან ნარკოდამოკიდებულება არ ყალიბდება ნარკოტიკული საშუალების პირველივე მიღებისას. ხელყოფის საფრთხე არსებობს მხოლოდ იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკვე არიან ნარკოდამოკიდებული. ნარკოტიკული საშუალების გადაცემა საშიშია არა ტიპურად (სრულად), არამედ ნაწილობრივ<sup>104</sup>.

ზოგიერთი ავტორი ნარკოდამოკიდებულთა დასაცავად ნარკოტიკების გადაცემის გენერალურ აკრძალვას მხოლოდ მაშინ მიიჩნევს საჭიროდ, როცა აღნიშნულ პირთათვის ნარკოტიკების გადაცემის გამორიცხვა კონტროლის განსაზღვრული მექანიზმით შეუძლებელია. ამგვარ კონტროლს თეორიულად დასაშვებად მიიჩნევენ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, თუმცა თვლიან, რომ იგი მიუღებელ შედეგებს გამოიწვევს. პირველ რიგში, ეს უკავშირდება არალეგალური ბაზრის არსებობის გაგრძელებას მომხმარებელთა მეშვეობით. მეორე მხრივ, ეს იქნებოდა

<sup>103</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 139.

<sup>104</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 139-140.

ჯანდაცვის პოლიტიკასთანაც აცდენილი. ამგვარად ნარკოტიკული საშუალების გადაცემის სრული აკრძალვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის ფორმით საჭიროდ მიიჩნევა, ვინაიდან არ არსებობს ანალოგიური ეფექტის გამომწვევი უფრო მსუბუქი საშუალება<sup>105</sup>.

ვინრო გაგებით თანაზომიერების ფარგლებში სისხლის სამართალს წინააღმდეგობრივ შეფასებამდე მივყავართ. მოზარდებს და ნარკოდამოკიდებულებს ნარკოტიკების მოხმარებისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, რაც მათი დაცვის საჭიროებით აიხსნება და ამავდროულად შექმნისა და ფლობისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რასაც მივყავართ იმ შედეგამდე, რომ ერთი და იგივე პირი მსხვერპლიც არის და დამნაშავეც<sup>106</sup>.

ნარკოტიკული საშუალების ფლობის სისხლისსამართლებრივად დასჯადად გამოცხადებით კანონმდებელს სურს არალეგალური გადაცემისას და ვაჭრობისას მტკიცების ტვირთის შემსუბუქება. პირადი მოხმარების მიზნით ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით ფლობის სისხლისსამართლებრივად დასჯადობის გაუქმებისას შეიძლება ეს პრივილეგირება მოვაჭრეების მიერ ცუდად ყოფილიყო გამოყენებული. ნარკოტიკული საშუალების ფლობის დასჯადად გამოცხადება წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის ადრეულ ეტაპზე გადმონევას. ფლობის დასჯადად გამოცხადება წარმოადგენს საბაზს შემდგომი მოქმედებებისთვის. მტკიცებასთან დაკავშირებული სირთულის გადანყვეტას მატერიალური სისხლის სამართლის განვრცობის გზით ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან შეუსაბამოდ განიხილავენ. ის რომ ნარკოტიკული საშუალების გადაცემა და ვაჭრობა პრაქტიკულად რთული დასამტკიცებელია, პროცესუალურ პრობლემას წარმოადგენს. მხოლოდ პროცესუალური თვალსაზრისებით მატერიალურსისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასაბუთება დაუშვებელია<sup>107</sup>.

ზოგიერთი ავტორი ნარკოტიკების მფლობელთა სისხლისსამართლებრივ დასჯადობას განიხილავს როგორც მომხმარებელთა დაუშვებელ ინსტრუმენტალიზაციას. ვინაიდან მომხმარებელი, როგორც წესი, მოვაჭრის მსხვერპლია, რომელიც სტიგმატიზირდება პოტენციურ დილერად და დეგრადირდება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის უბრალო იარაღად<sup>108</sup>. მომხმარებელი, როგორც წესი, ფლობს კიდევაც ნარკოტიკულ საშუალებას. მომხმარებას წინ უძღვის ფლობა. ნარკოტიკული საშუალების მფლობელს ყოველთვის მიეწერება პოტენციური გამსაღებ-

<sup>105</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 141.

<sup>106</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 141-142.

<sup>107</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 142.

<sup>108</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 143.

ლის იარლიყი, ვინაიდან არსებობს იმის საფრთხე, რომ ნარკოტიკული საშუალების მფლობელმა ნარკოტიკული საშუალება გაასაღოს, რაც რეალურად, ხშირად ასეც ხდება.

თუ ნარკოტიკული საშუალების ფლობა მხოლოდ იმიტომ უნდა დაისაჯოს, რომ იგი ინდიციაა სხვისთვის გადაცემისთვის, მაშინ ნარკოტიკული საშუალების მფლობელის მიერ გადაცემა არის მომდევნო მფლობელის მიერ მისი მოხმარების მომზადება. ამდენად პირველად ფლობა არის მომზადების მომზადება, რომლის პენალიზაცია ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით მოქმედების სისხლის სამართლის ფარგლებს სცდება<sup>109</sup>.

ნარკოტიკული საშუალების მფლობელი ისჯება იმის გამო, რომ პირადი მოხმარებისთვის გამიზნულ ნარკოტიკულ საშუალებასთან დაკავშირებით შეეძლო სხვა გადანყვეტილება მიეღო. მაშასადამე, საქმე ეხება სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინარე ეტაპზე გადმონევის ერთადერთ შემთხვევას, რომელიც არის განწყობის სისხლის სამართალზე მეტი, ფსიქო-სისხლის სამართალი (Psycho-Strafrecht). შესაძლო უმართლობის შემცველ ქმედებად, ზოგიერთი ავტორი განიხილავს არა ნარკოტიკული საშუალების ფლობას, არამედ არასრულწლოვანზე ან ნარკოდამოკიდებულზე მის გადაცემას და მიყიდვას. ვინაიდან თვითდაზიანების გამომწვევი ნარკოტიკების მოხმარება არასრულწლოვნის და ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირების მეშვეობით იქცევა სხვის ხელყოფასთან დაკავშირებულ უმართლობად, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის გენერალური აკრძალვა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის გაუმართლებელ განვრცობად განიხილება. აღნიშნულიდან გამომდინარე დაუშვებლად მიიჩნევენ ნარკოტიკული საშუალების შემძენ და მფლობელ ყოველ მომხმარებელზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელებას, იმის გამო რომ ეს ქმედება სხვათა მიერ დანაშაულის ჩადენას შესაძლოს ხდის<sup>110</sup>.

---

<sup>109</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 143.

<sup>110</sup> Rigopoulou M., ebenda, S. 144.

## **16. სასჯელისაგან განრიდება გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დამნაშავეს ბრალის მცირე მოცულობის გათვალისწინებით**

ნარკოტიკული საშუალებების შესახებ გერმანული კანონის 31ა პარაგრაფი ითვალისწინებს სასჯელისაგან განრიდებას პროკურატურის მიერ იმ პირისა, ვისი ბრალის ხარისხიც მცირეა, თუ დასჯის საჯარო ინტერესი არ არსებობს და საქმე ეხება პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ ნარკოტიკულ საშუალებას მცირე ოდენობით<sup>111</sup>. აღნიშნული ნორმის გამოყენება გამოირიცხება, თუ საქმე ეხება სხვისთვის საფრთხის შექმნას, ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებას სხვა პირზე ყიდის ან გადასცემს. მცირე მოცულობის შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს კანაფი და სხვა ნარკოტიკული საშუალებები. ჰაშიშთან და მარიხუანასთან დაკავშირებით ფედერაციის თითქმის ყველა მინამ დაადგინა, რა ოდენობამდეა მცირე ოდენობა. სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით არც ისე ბევრ მინაშია ეს საკითხი გადანყვეტილი<sup>112</sup>.

## **17. კანაფის პროდუქტების მცირე მოცულობის განსაზღვრა გერმანული სამართლით**

კანაფის პროდუქტებთან მიმართებით პასუხი კითხვაზე, თუ რამდენს შეადგენს მცირე მოცულობა, მარტივად არის გაცემული, ვინაიდან გერმანიის მიწებში ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით სასჯელის განრიდებაზე იუსტიციის სამინისტროს მიერ ან მინის პროკურატურის მიერ გაცემული სახელმძღვანელო დირექტივები მოქმედებს. ე. წ. ჰაშიშთან დაკავშირებით მიღებულ გადანყვეტილებაში 1994 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ფედერაციის მიწებს მოუწოდა, რომ მცირე ინდივიდუალური უმართლობის და ბრალის ხარისხის შემთხვევებში, როცა სახეზე არ არის სხვისთვის საფრთხის შექმნა, პირადი მოხმარების მიზნით მცირე მოცულობით კანაფის პროდუქტების შემთხვევაში პროკურატურის ორგანოებს პრაქტიკაში გამოეყენებინათ სასჯელის განრიდებასთან დაკავშირებით მოქმედი ნორმა. დირექტივები ყველა მინაში არ იყო ერთნაირი და განსხვავდებოდა, ვინაიდან მცირე მოცულობა 6 გრამსა და 30 გრამს შორის ვარირებდა. ბოლო წლებში უმეტეს მინაში მცირე მოცულობის ზღვარი 6 გრამამდე განისაზღვრა. ზოგიერთ მინაში ეს მაჩვენებელი შეიცვალა 10 გრამამდე. ბერლინში

<sup>111</sup> *Kotz*, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013, S. 998, §29 BtMG, Rn. 111.

<sup>112</sup> *Patzak/Bohnen*, ebenda, S. 74-75, Rn. 169.

კანაფის პროდუქტების მცირე მოცულობა 15 გრამამდეა განსაზღვრული. მცირე მოცულობის განსაზღვრა ხდება ნარკოტიკული საშუალების საერთო მოცულობიდან<sup>113</sup>.

მცირე მოცულობით შეზღუდვის დახმარებით შესაძლებელი ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ დაუსჯელობა გავრცელდება პირად მოხმარებაზე და არა სხვისთვის საფრთხის შექმნაზე. დილერს არ შეუძლია ამ დებულებას დაეყრდნოს<sup>114</sup>.

## **18. მცირე მოცულობა სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით გერმანული სამართლის მიხედვით**

კანაფის პროდუქტებისგან განსხვავებით, სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით, შედარებით ნაკლებ მინაშია დარეგულირებული ნარკოტიკული საშუალების მცირე მოცულობის გამო სასჯელისაგან განრიდების საკითხი. შესაბამისად, უმეტეს მინაში პროკურატურაზე დამოკიდებული ცალკეულ შემთხვევებში სასჯელისაგან ბრალდებულის განრიდება<sup>115</sup>.

## **19. მსუბუქი ნარკოტიკის განსაზღვრა გერმანული სამართლის მიხედვით**

ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების სასჯელისაგან განრიდების დროს მხედველობაში მიიღება ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ეფექტი. თუ როგორ ზეგავლენას ახდენს მოხმარებელზე კონკრეტული ნარკოტიკული საშუალება.

მსუბუქ ნარკოტიკულ საშუალებას მიეკუთვნება კანაფი, კანაფის ფისი და პრეპარატები, რომლებიც კანაფს და კანაფის ფისს შეიცავენ<sup>116</sup>.

---

<sup>113</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 75, Rn. 171.

<sup>114</sup> Pasedach Ch., Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Berlin, 2012, S. 230.

<sup>115</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 76, Rn. 173-174.

<sup>116</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 233.



## 20. დასჯის საჯარო ინტერესები და სასჯელისაგან განრიდების დროს მისი გათვალისწინება გერმანული სამართლის მიხედვით

გერმანიის უმეტეს მინაში სასჯელისაგან განრიდება გამოირიცხება საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, რომლის არსებობა სახეზეა თუ

- დანაშაული შეიძლება მიბაძვის (მაპროვოცირებელი) მიზეზი ყოფილიყო

- დანაშაული ხორციელდება სკოლებში, საბავშვო დაწესებულებებში, იუსტიციის ორგანოებში ან სხვა მსგავს დაწესებულებებში

- თუ დანაშაული ჩაიდინა რომელიმე ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში მომუშავე პირმა ან ნარკოტიკული საშუალების შესახებ კანონის აღსრულებაში პასუხისმგებელმა მოხელემ

უარყოფით ზეგავლენას ახდენს სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებით საჯარო უსაფრთხოებაზე<sup>117</sup>.

წინანასამართლობა და დანაშაულის განმეორებით განხორციელება სასჯელისაგან განრიდების სანინააღმდეგოდ არ მოქმედებს<sup>118</sup>. თუმცა, კრიტიკული განსჯის საგანი შეიძლება გახდეს, თუ რამდენად შეიძლება სასჯელისგან განრიდება მოცემულ შემთხვევაში. არასრულწლოვნებთან მიმართებით მოხდება არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი რეგულირების გამოყენება აღმზრდელობითი თვალთახედვის გათვალისწინებით<sup>119</sup>.

---

<sup>117</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 77, Rn. 175.

<sup>118</sup> Kotz, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013, S. 998, §29 BtMG, Rn. 111.

<sup>119</sup> Körner/Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München, 2019, S. 1021, §13a, Rn. 15.

## თავი II

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება „ნადლი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექენისა და შენახვის გამო თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობაზე

2016 წლის 8 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ კონსტიტუციური წარდგინებით საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მაშინ მოქმედი რედაქციის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით (ექვს წლამდე)<sup>120</sup> თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექენისა და შენახვის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე ვრცელი მსჯელობა არ დასჭირვებია, ვინაიდან უკვე ჰქონდა მიღებული 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება გამომშრალ მარიხუანასთან მიმართებით. თუმცა, არაკონსტიტუციურად ცნობილ და სადავო ნორმას შორის ვინაიდან არსებობდა გარკვეული სხვაობა, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, არსებული სხვაობიდან გამომდინარე, რამდენად არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ სადავო ნორმის მიმართ საკითხი სხვაგვარად გადაწყვეტილიყო.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია მართებულად სავალდებულოდ იმის შეფასება, 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შექენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხე, ნარკოტიკული ნივთიერების მასიდან გამომდინარე, შეიძლება თუ არა აღემატებოდეს 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შექენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხეს<sup>121</sup>.

სასამართლომ გამომშრალ და ნედლ მარიხუანას შორის განსხვავება იმაში დაინახა, რომ ნედლ მარიხუანაში წყლის შემცველობა მეტია, რაც ზრდის მცენარის მასას ნარკოტიკული თრობის უნარის ზრდის გარეშე, რის გამოც კანონმდებლობაში რაოდენობრივი მაჩვენებლები გრამებში, რომლითაც განისაზღვრება აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერების

<sup>120</sup> მაშინ როცა დანაშაული ჩაიდინა იმ ბრალდებულმა, რომლის საქმიდან გამომდინარეც წარადგინა კონსტიტუციური სარჩელი ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, იმ დანაშაულისთვის, რომლის ჩადენასთან დაკავშირებითაც იყო ბრალდება წარდგენილი, გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 11 წლამდე ვადით.

<sup>121</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება, ნაწილი II, პუნქტი 11.

მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა, ნედლ მარიხუანასთან მიმართებით ორჯერ მეტია, გამომშრალ მარიხუანასთან შედარებით<sup>122</sup>.

სასამართლო თავის გადანყვეტილებაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მარიხუანის შეძენა-შენახვიდან მომდინარე საფრთხეების განსაზღვრისას კანონმდებელმა იდენტიური საფრთხის მატარებლად მიიჩნია 50 გრამამდე მშრალი და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანა. კანონმდებელი 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა-შენახვას, 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვასთან შედარებით, ნაკლები საფრთხის შემცველად მიიჩნევს<sup>123</sup>.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის მოცულობა, ნარკოტიკული თრობის ეფექტის თვალსაზრისით, არ არის 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის მოცულობაზე მეტი, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ არც 100 გრამამდე ნედლი მარიხუანა იქნას მიჩნეული ნარკოტიკული საშუალების იმ ოდენობად, რომელიც თავისთავად ქმნის მისი გასაღების საფრთხეს<sup>124</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის შეძენა-შენახვის გამო თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად სცნო და სადავო ნორმა ძალადაკარგულად გამოაცხადა, ვინაიდან იგი მიიჩნია 2015 წლის 24 ოქტომბრის გადანყვეტილების დამძლევ ნორმად<sup>125</sup>.

---

<sup>122</sup> ნაწილი II, პუნქტი 12.

<sup>123</sup> ნაწილი II, პუნქტი 13.

<sup>124</sup> ნაწილი II, პუნქტი 14.

<sup>125</sup> ნაწილი II, პუნქტი 15.

### თავი III

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება დეზომორფინის დამზადების, შექენისა და შენახვის გამო სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობაზე

კონსტიტუციური დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის მაშინ მოქმედი რედაქციის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას დეზომორფინის დიდი ოდენობით დამზადების, შექენისა და შენახვის გამო.

კონსტიტუციური სარჩელის შესაბამისად, მოსარჩელეს პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა 0,00009 გრამი ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინი და ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის 2015 წ. 8 ივლისამდე მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება დეზომორფინის დამზადება-შენახვისთვის. მოსარჩელეს შეეფარდა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა პირობით და დამატებით სასჯელად დაენიშნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 400 საათის ოდენობით<sup>126</sup>.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ დეზომორფინს არ გააჩნია მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები, რაც ქმნიდა იმის საფუძველს, რომ ნებისმიერი ოდენობის დეზომორფინი, რომელიც ერთ გრამს არ აღემატებოდა, დიდ ოდენობად დაკვალიფიცირებულიყო. სადავო ნორმით დაწესებული იყო სასჯელი იმ ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შექენისა და შენახვისთვის, რომელიც გამოუსადეგარია მოსახმარად. მოსარჩელემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 0,00009 გ. დეზომორფინი არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას<sup>127</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ დეზომორფინის „სრულად, 100%-ით მოხმარება შეუძლებელია და ინექციისთვის გამოყენებულ შპრიცში ყოველთვის რჩება მიკროსკოპული

<sup>126</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, ნაწილი I, პუნქტი 5.

<sup>127</sup> ნაწილი I, პუნქტი 6.

ოდენობის დეზომორფინი, რომლის შეუიარაღებელი თვალთ დანახვა და გამოცალკეება შეუძლებელია<sup>128</sup>.

მოსარჩელის წარმომადგენლის შეფასებით, ერთი ქმედების გამო ორჯერ მსჯავრდება უთანაბრდება პირის დასჯა იმ ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შექენისა და შენახვისთვის, რომელიც მისი მოხმარების შედეგად დარჩა, ამასთან, მისი სიმცირის გამო გამოუსადეგარია შემდგომი მოხმარებისთვის. გამოდის, რომ პირი ისჯება არა მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის, არამედ მისი შექენისა და შენახვის გამოც<sup>129</sup>.

მოსარჩელემ სადავო ნორმით გათვალისწინებული ქმედებისთვის დადგენილი სანქცია შეადარა ისეთი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებისთვის განკუთვნილ სანქციებს, როგორცაა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის დაწესებული სანქციები და მათი თანაბარი სიმკაცრე, დანაშაულთა სიმძიმეში არსებული სხვაობის გათვალისწინებით, არაპროპორციულად მიიჩნია<sup>130</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობა შეაფასა არა დეზომორფინის ნებისმიერ ოდენობასთან მიმართებით, რომელიც ობიექტურად არ არის მოხმარებადი, არამედ მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სასჯელის სახედ ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 0,00009 გ. დეზომორფინის დამზადების, შექენისა და შენახვისთვის, ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელის საგანს სწორედ ეს წარმოადგენდა და საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით<sup>131</sup>.

სასამართლოს შეფასებით, დეზომორფინის და ზოგადად ნებისმიერ ნარკოტიკული საშუალების დამზადებისა და შენახვის დასჯადობა განპირობებულია მათი მოხმარების, რეალიზაციის საფრთხის პრევენციის მიზნით. დეზომორფინის დამზადების, შექენისა და შენახვისთვის სასჯელის დაწესება კი ემსახურება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღირებულ საჯარო მიზანს<sup>132</sup>. თუმცა, იმისთვის, რომ დეზომორფინის შექენამ, შენახვამ ან დამზადებამ საზოგადოებრივ ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას, აუცილებელია, სახეზე იყოს მოხმარებისთვის გამოსაყენებელი ოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ დეზომორფინი ძლიერმოქმედ ნარკოტიკულ საშუალებას წარმოადგენს, მის ნებისმიერ ოდენობას, მით

<sup>128</sup> ნაწილი I, პუნქტი 7.

<sup>129</sup> ნაწილი I, პუნქტი 7.

<sup>130</sup> ნაწილი I, პუნქტი 8.

<sup>131</sup> ნაწილი II, პუნქტი 6.

<sup>132</sup> ნაწილი II, პუნქტი 10.

უფრო მიკროსკოპულს, არ შეუძლია ავტომატურად საფრთხის შექმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის. ადამიანის ჯანმრთელობისთვის დეზომორფინის საშიშროება უკავშირდება მისი მოხმარების შესაძლებლობას, რაც მოითხოვს გარკვეულ ოდენობას<sup>133</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართით განსაზღვრულია დეზომორფინის ოდენობები, მაგრამ აღნიშნულ ნარკოტიკულ საშუალებას არ გააჩნდა მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები. დეზომორფინის ნებისმიერი ოდენობა, რომელიც არ აღემატებოდა ერთ გრამს, წარმოადგენდა დიდ ოდენობას, განურჩევლად იმისა, გამოყენებადი იყო თუ არა მოსახმარად<sup>134</sup>.

საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეგულირების ქვეშ ექცეოდა ერთ გრამზე ნაკლები ნებისმიერი ოდენობის დეზომორფინის უკანონო დამზადება, შექმნა და შენახვა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 0,00009 გ. დეზომორფინის მოხმარება ობიექტურად შეუძლებელია. შესაბამისად, არ არსებობს მისი რეალიზაციაში გაშვების საფრთხეც. ამდენად, სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ დგას ნარკოტიკების მოხმარების ან გავრცელების საფრთხე და მისგან საზოგადოების დაცვის საჭიროება<sup>135</sup>.

სასამართლოს შეფასებით, დეზომორფინის ინტრავენული გზით მოხმარების დროს გამოყენებულ შპრიცში რჩება მისი მიკროსკოპული ოდენობა, რომლის გამოცალკევება და შემდგომი მოხმარების მიზნით გამოყენება შეუძლებელია, რის გამოც იგი არა მხოლოდ არ მიუთითებს პირის განზრახვაზე, შემდეგ ჯერზე კვლავ მოიხმაროს დარჩენილი დეზომორფინი, არამედ არ წარმოშობს მისი მოხმარების ობიექტურ შესაძლებლობასაც კი<sup>136</sup>.

დეზომორფინის დასამზადებლად გამოყენებულ ჭურჭელში ნარკოტიკული საშუალების კვალის არსებობა შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ დასახელებულ ჭურჭელში დამზადდა ნარკოტიკული საშუალება, მაგრამ ამ კვალის საფუძველზე დამზადებული ნარკოტიკული საშუალების ოდენობაზე დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ სავარაუდო და ზუსტად იმის თქმა, თუ რა ოდენობით ნარკოტიკული საშუალება დამზადდა

<sup>133</sup> ნაწილი II, პუნქტი 11.

<sup>134</sup> ნაწილი II, პუნქტი 12.

<sup>135</sup> ნაწილი II, პუნქტი 13.

<sup>136</sup> ნაწილი II, პუნქტი 14.

და იყო თუ არა იგი მოსახმარად საკმარისი ოდენობა, რთული სათქმელია. კონსტიტუციურ სარჩელში დავის საგნად არ ქცეულა დეზომორფინის იმ ოდენობით დამზადების, შექმნის ან შენახვის გამო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების კონსტიტუციურობა, რომელიც საკმარისია თუნდაც ერთი პირის მიერ ერთჯერადი მოხმარებისთვის. სადავო არ გამხდარა არც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჭურჭელზე არსებული ნარკოტიკული საშუალების კვალის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა ამა თუ იმ პირის მიერ მოსახმარად საკმარისი ოდენობის დეზომორფინის დამზადების ფაქტის სამტკიცებლად. სადავო ნორმით დასჯადი იყო იმ ოდენობით დეზომორფინის დამზადება-შენახვა, რომელიც მოსახმარად გამოუსადეგარია. სასჯელის პროპორციულობა საკონსტიტუციო სასამართლოს სწორედ აღნიშნული ქმედების საშიშროების მიხედვით უნდა შეეფასებინა და არა სხვა დანაშაულთან მიმართებით<sup>137</sup>.

როგორც სასამართლო აღნიშნავს, საშიშროებას შეიცავს დეზომორფინის მხოლოდ იმ ოდენობით დამზადება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოხმარებისთვის. 0,00009 გ. დეზომორფინის დამზადება, ვინაიდან აღნიშნული ოდენობა მოხმარებისთვის საკმარისი არ არის, ალოგიკური და უმიზნოა, ხოლო მეორე მხრივ, დასახელებული ოდენობით დეზომორფინის დამზადება და შენახვა როგორც მოხმარების, ისე გასაღების საფრთხესაც არ ქმნის<sup>138</sup>. აღნიშნული იმის თქმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კანონმდებელი დეზომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვის პრევენციის მიზნით სჯიდა ისეთ ქმედებას, რომელიც არ ქმნიდა დასახელებულ საფრთხეს<sup>139</sup>.

0,00009 გ. დეზომორფინის დამზადება-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთით დასჯა საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა მხოლოდ ზოგადი პრევენციისთვის დასჯად, რაც მსჯავრდებულს ძალაუფლების, იძულების ღონისძიების გამოყენების შიშველ ობიექტად, სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტად, საზოგადოების „დაშინების იარაღად“ აქცევს<sup>140</sup>.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის მაშინ მოქმედი რედაქციის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება-დეზომორფინის 0,00009 გ. დამზადების, შექმნისა და

<sup>137</sup> ნაწილი II, პუნქტი 16.

<sup>138</sup> ნაწილი II, პუნქტი 17.

<sup>139</sup> ნაწილი II, პუნქტი 18.

<sup>140</sup> ნაწილი II, პუნქტი 19.

შენახვისთვის, არაკონსტიტუციურად სცნო კონსტიტუციის მაშინდელი რედაქციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად<sup>141</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისგან განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძემ, რომელმაც ერთი მხრივ, გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ 0,00009 გრამი დეზომორფინი გამოუსადეგარია მოსახმარად და არ წარმოშობს მისი მოხმარების ან/და გასაღების რისკებს, რის გამოც მითითებული ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შექმნის ან/და შენახვის გამო სადავო ნორმით დაწესებული პასუხისმგებლობა არ ემსახურებოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, რაც არღვევდა კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს. მაგრამ, გ. კვერენჩილაძემ სრულად არ გაიზიარა სასამართლოს პოზიცია და გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემსჯელა არა მხოლოდ 0,00009 გრამი დეზომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის კონსტიტუციურობაზე, არამედ ნებისმიერი იმ ოდენობის დეზომორფინზე, რომელიც გამოუსადეგარია მოსახმარად<sup>142</sup>.

## **1. მოხმარების საგნებში ნარკოტიკულ საშუალებათა ნარჩენებზე გერმანული სისხლის სამართლის პოზიცია**

გერმანული სამართლის მიხედვით, ქმედების შემადგენლობა არ იქნება განხორციელებული, თუ ნარკოტიკული საშუალების მცირედი ოდენობა, როგორც ნარჩენი, სახეზეა (ე. წ. ნარჩენები). სახეზე უნდა იყოს იმდენი ოდენობა, რომ იგი ვარგისი იყოს მოხმარებისთვის. იგი უნდა არსებობდეს მოხმარებისთვის ან გადატანისთვის ვარგისი ფორმით. მხედველობაში მიიღება მხოლოდ ის, არის თუ არა მოცულობა მოხმარებისთვის ვარგისი და არა ის, თუ რამდენად ვარგისია იგი თრობისთვის. თუ ნარკოტიკული საშუალება მოხმარებისთვის ვარგისი ფორმით არსებობს, იქმნება აბსტრაქტული საფრთხე მისი გადაცემისთვის<sup>143</sup>, რაც იძლევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

<sup>141</sup> ნაწილი II, პუნქტი 20.

<sup>142</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებაზე

<sup>143</sup> *Körner/Patzak/Volkmer*, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München, 2019, S. 647, §29, Teil 13, Rn. 11; *Kotz*, in: Münchener Kommentar, Strafrecht, Band 6, 2. Auflage, München 2013, S. 1017, §29 BtMG, Rn. 1174; NStZ 1992, S. 443; StV 1986, S. 145.



## თავი IV

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების ანალიზი

#### 1. დავის საბანი

დავის საგანს წარმოადგენდა ნარკოტიკული საშუალება – კანაფის დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის, მოყვანის ან კულტივირების ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით დასჯის კონსტიტუციურობა კონსტიტუციის იმ ნორმასთან მიმართებით, რომელიც კრძალავს ადამიანის წამებას, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შექენა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, თუმცა აღნიშნული სასჯელის გამოყენება შესაძლებელი იყო მცენარე კანაფის მოყვანისა და დათესვის შემთხვევაში, თუ პირი არჩევდა მზა პროდუქციის შექენას გამსაღებლისგან, ვიდრე მის წარმოებას პირადი მოხმარების მიზნით, რაც მოსარჩელის პოზიციით, შეიძლება ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალების უკანონო ბრუნვის ხელშემწყობი და შავი ბაზრის არსებობის წამახალისებელი<sup>144</sup>.

მოსარჩელის შეფასებით, სადავო ნორმა ერთმანეთისგან არ მიჯნავდა ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით და გასაღების მიზნით ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს, რაც არ იძლეოდა სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას<sup>145</sup>.

ზემოაღნიშნულის გარდა, მოსარჩელის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული იმაზე, რომ სხვა ნარკოტიკულ საშუალებებთან შედარებით კანაბისის შემთხვევაში მისდამი ფიზიკური დამოკიდებულება გაცილებით უფრო ნელა ვითარდება<sup>146</sup>.

---

<sup>144</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პუნქტი 13.

<sup>145</sup> იქვე, პუნქტი 7.

<sup>146</sup> იქვე, პუნქტი 27.

## 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ამა თუ იმ ნივთიერების უკანონოდ ფლობის, შექმნის, შენახვის დასჯადობა დაკავშირებულია მათი ბრუნვაში გაშვებისა და რეალიზაციის რისკებთან. არის თუ არა კონკრეტული საგნის ფლობა, შექმნა, შენახვა, დამზადება რეალიზაციის მიზნის გარეშეც საფრთხის შემცველი, დგინდება თავად ამ ნივთიერების ბუნების, თავისებურების გათვალისწინებით. მაგალითად, ასაფეთქებელი ნივთიერების ფლობა და შენახვა უკვე თავისთავად არის საფრთხის მატარებელი. ნარკოტიკული საშუალებები არ არის ასეთი საფრთხის მატარებელი, ამიტომ მათი დამზადების, შექმნის, შენახვის და ა. შ. რეგულირება/აკრძალვა ხდება იმ საფრთხეების გამოსარიცხად, რომელიც მათ მოხმარებას, რეალიზაციას უკავშირდება<sup>147</sup>. მამასადამე, კანაფის დათესვის, მოყვანისა და კულტივირების დასჯადობას საფუძვლად უდევს მისი მოხმარების, რეალიზაციის საფრთხეების თავიდან აცილება ანუ პრევენციის მიზანი<sup>148</sup>.

იმისთვის, რომ კონკრეტული ქმედების აკრძალვის კონსტიტუციურობა შეფასდეს, აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ რა მიზანს, რომელი სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება აკრძალვა და რამდენად თანაზომიერ საშუალებას წარმოადგენს იგი მიზნის მისაღწევად.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, ნარკოტიკული საშუალების ბრუნვის რეგულირების მიზანია ჯანმრთელობის დაცვა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა<sup>149</sup>, რაც ლეგიტიმური მიზანს წარმოადგენს, მაგრამ ისიც არის გასათვალისწინებელი, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაფასებელი ნორმით დაწესებული აკრძალვა თუ რამდენადაა მიზნის მიღწევის თანაზომიერი საშუალება<sup>150</sup>.

აკრძალვის მიზანსა და აკრძალვას შორის თანაზომიერების დასადგენად აუცილებელია იმის გათვალისწინება, კანაფის დათესვა, მოყვანა და კულტივირება თუ რამდენად წარმოადგენს საფრთხეს ლეგიტიმური მიზნისთვის. ასეთი საფრთხის არარსებობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, დასახელებული ქმედებებისთვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება არაკონსტიტუციური იქნება<sup>151</sup>.

<sup>147</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 9.

<sup>148</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 10.

<sup>149</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 11.

<sup>150</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 14.

<sup>151</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 16.

საკონსტიტუციო სასამართლომ ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობისას ერთმანეთისგან გამიჯნა მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის და სხვისი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა. სასამართლოს მართებული შეფასებით, ადამიანის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა გაუმართლებელია, თუ ადგილი აქვს მხოლოდ ირაციონალურ ქმედებას. ჩარევა მაშინაა გამართლებული, როცა ქმედება სხვებს უქმნის რეალურ და სერიოზულ საფრთხეს. მაშასადამე, შეზღუდვა მაშინ არის დასაშვები, როცა საქმე ეხება ანტისოციალურ ქმედებას<sup>152</sup>. ქმედება ანტისოციალური მაშინაა, როცა იგი არა მხოლოდ მოქმედს, არამედ სხვასაც უქმნის საფრთხეს.

თავისუფლების აღკვეთის მისჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო, ემსახურება ზოგადი პრევენციის მიზანს, რომ სხვამაც არ ჩაიდინოს იგივე ქმედება, რაც მსჯავრდებულს აქცევს ძალაუფლების ობიექტად, ვინაიდან სასჯელი ქმედებისგან ვერ იღებს ლეგიტიმაციას, მას არ ამართლებს ქმედებისგან მომდინარე საშიშროება. ამდენად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც იწვევს მისი ღირსების ხელყოფას<sup>153</sup>.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჩამდენს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული სხვათა უფლებების დარღვევისკენ<sup>154</sup>. სასამართლო გადაწყვეტილებაში საუბარია იმაზე, რომ კანაფის პროდუქტის მოხმარებით სხვა დანაშაულის ჩადენის ფაქტი უტყუარად ვერ დასტურდება. კანაფის მოხმარებასა და სხვა დანაშაულის ჩადენას შორის თავისთავადი და კანონზომიერი კავშირის არარსებობის პირობებში თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციულ სასჯელად იქნა მიჩნეული მოხმარების მიზნით კანაფის დათესვის, მოყვანისა და კულტივირებისთვის<sup>155</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნია ნარკოტიკული საშუალების რაოდენობის გათვალისწინება. კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების ოდენობა არის თუ არა იმდენად დიდი, რომ აჩენდეს რეალურ საფრთხეს მისი არა მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის, არამედ რეალიზაციის მიზნით გამოყენებისთვის<sup>156</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 150, 72 გ. და 63, 73 გ.

<sup>152</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 21.

<sup>153</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 23.

<sup>154</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 24.

<sup>155</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 26.

<sup>156</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 28.

კანაფი *a priori* ვერ ჩაითვლება იმ ოდენობად, რომელიც არ არის განკუთვნილი პირადი მოხმარებისთვის და ავტომატურად ქმნის მისი გავრცელების და სხვათა ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს. ამდენად, სადავო ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სასამართლომ არ მიიჩნია პროპორციულ საშუალებად, ვინაიდან კანაფის ზემოთ დასახელებული ოდენობა არ მიუთითებს მისი გასაღების რეალურ საფრთხეზე. გარდა ამისა, ნორმა პრობლემატურად იქნა მიჩნეული მისი ბლანკეტურობიდან გამომდინარე, რაც არ იძლეოდა საკითხის ინდივიდუალურად გადანყვევის და საფრთხის რეალურობის და ხარისხის გათვალისწინებით პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას<sup>157</sup>. სასამართლოს შეფასებით, თუ საქმე ეხება 265, 49 გ. კანაფს, ჩნდება მისი გავრცელების საფრთხე მაღალი ოდენობიდან გამომდინარე. აღნიშნულ შემთხვევებში, სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს დანაშაულის პრევენციისთვის ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის შესაძლებლობა<sup>158</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმით გათვალისწინებული სანქციის კონსტიტუციურობის შესაფასებლად გამოიყენა შედარების მეთოდი და იგი შეადარა იმ საქნციებს, რომლებიც გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულებისთვის, როგორცაა ადამიანის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, გაუპატიურება, ყაჩაღობა. ჩამოთვლილი ქმედებები გაცილებით უფრო საშიშია, ვიდრე განსაკუთრებით დიდი ოდენობით კანაფის მოყვანა, თუმცა ამ უკანასკნელი ქმედებისთვის უფრო მკაცრი სასჯელი იყო განსაზღვრული<sup>159</sup>. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაპროპორციულ სასჯელად დაადგინა ექვსიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა კანაფის განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონოდ დათესვის ან მოყვანისათვის<sup>160</sup>.

---

<sup>157</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 31.

<sup>158</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 33.

<sup>159</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 36.

<sup>160</sup> იქვე, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 37.

## V თავი

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის და 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში, როგორც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის კონსტიტუციური საფუძველი

#### 1. დასაცავი სამართლებრივი სიკეთე, როგორც აკრძალვის მიზანი და ლეგიტიმაციის საფუძველი

ქმედების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი სამართლებრივი სიკეთეა. სსკ-ის კერძო ნაწილის მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის მიზანია დაიცვას სამართლებრივი სიკეთე. ნორმა, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ არ არის მიმართული, არალეგიტიმურია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე სისხლის სამართალს ეხება, ვინაიდან აღნიშნული დარგი უკიდურესი საშუალებაა სახელმწიფოს ხელში<sup>161</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციაზე, კითხვა, პირველ რიგში რაც დაისმის, არის შემდეგი: ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობით სახელმწიფომ რომელი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება დაიცვას და აღნიშნული სიკეთის დასაცავად რამდენად აუცილებელია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობა?

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში თავები, როგორც წესი, ისეა ფორმულირებული, რომ მათი სახელწოდებიდან, უმეტეს შემთხვევაში, მკაფიოდ იკვეთება დასაცავი სამართლებრივი სიკეთე. მაგალითად, „დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ“, „დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ და ა. შ. მაგრამ, არის ისეთი თავებიც, რომლებიც დაცულ სამართლებრივ სიკეთეზე არ მიუთითებენ. კერძოდ, „სატრანსპორტო დანაშაული“, „ნარკოტიკული დანაშაული“ და სხვა. ვინაიდან ეს უკანასკნელი თავები დასაცავ სიკეთეზე არაფერს მიუთითებენ, დაცული სიკეთის საკითხი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ნარკოტიკული დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია მო-

<sup>161</sup> ცქიტიშვილი თ., სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი, „სამართლის ჟურნალი“, 2014, №1, გვ. 357-382.

სახლეობის ზნეობრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა<sup>162</sup>. ხოლო, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაზე აღნიშნულია, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული სხვა ქმედებებისგან განსხვავებით, აღნიშნული ქმედებისგან დასაცავი სიკეთეა არა მოსახლეობის (ე.ი. განუსაზღვრელ პირთა წრის), არამედ კონკრეტული პირის ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა. თუმცა, ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ გაუმართლებელია სსკ-ში მსგავსი ხელოვნურად შექმნილი დანაშაულების არსებობა<sup>163</sup>. ვინაიდან ნარკოტიკული საშუალების მოხმარება და ნარკომანია აზიანებს არა სხვის, არამედ მომხმარებლის ჯანმრთელობას, არ არსებობს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების კრიმინალიზაციის საფუძველი, მაგრამ ეს არ ნიშნავს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე სახელმწიფოს მიერ ადამიანებისთვის სრული თავისუფლების მიცემის მიზანშეწონილობას. ამიტომ, ავტორის თვალსაზრისით, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება უნდა ინვევდეს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, რაც თანაზომიერი საშუალება იქნება ნარკომანიის გავრცელების თავიდან ასაცილებლად<sup>164</sup>.

არა მხოლოდ ქართულ, არამედ გერმანულ დოგმატიკაში<sup>165</sup>, აგრეთვე იტალიურ სისხლის სამართალსა და მართლმსაჯულებაში, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ მიიჩნევა როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, ისე საზოგადოებრივი უსაფრთხოება და წესრიგი, რომელსაც ხელყოფს ნარკოდამოკიდებული პირებისგან მომდინარე კრიმინოგენული იმპულსები, აგრეთვე ორგანიზებული დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ნარკობაზართან. ასევე მხედველობაში მიიღება ახალი თაობის დაცვა<sup>166</sup>. თუმცა, ავტორი აკრიტიკებს სამართლებრივი სიკეთის ასეთ გაგებას და მას მიუღებლად მიიჩნევს. ავტორის კრიტიკის საგანს შეადგენს ის, რომ „საზოგადოებრივი წესრიგი“, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედაა მიჩნეული, წარმოადგენს ბუნდოვან, ყოვლისმომცველ ცნებას, რომელიც განსაზღვრულობის პრინციპს არ შეესაბამება. ის იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სისხლისსამართლებრივი ჩარევა დასაბუთდეს ყველაფრის მიმართ, რაც უწესრიგობად იქნება განსაზღვრული<sup>167</sup>.

„საზოგადოებრივი წესრიგი“ ხასიათდება ბუნდოვანი კონტურებით.

<sup>162</sup> თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 17.

<sup>163</sup> თოდუა ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>164</sup> თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 8-9.

<sup>165</sup> Malek K., Betäubungsmittelstrafrecht, 4. Auflage, München 2014, S. 11, Kap. 2., Rn. 2.

<sup>166</sup> Cavaliere A., Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts — aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1731.

<sup>167</sup> Cavaliere A., ebenda, S. 1731.

იგი ერთდროულად მოიცავს სხეულებრივ ხელშეუხებლობას, სიცოცხლის და საკუთრების უსაფრთხოებას და ა. შ. ის არის უფრო მეტად სამართლებრივ სიკეთეთა პრედიკატი, ვიდრე ერთი სამართლებრივი სიკეთე<sup>168</sup>. ავტორი პრობლემურად მიიჩნევს სამართლებრივ სიკეთედ „საზოგადოებრივი“ ჯანმრთელობის განხილვას, ვინაიდან მისი თვალსაზრისით, იგი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე ადამიანის ჯანმრთელობა. მაშასადამე, ავტორის თვალსაზრისით, ნარკოტიკული დანაშაულისგან დაცვის ღირს, ლეგიტიმურ სიკეთედ რჩება ჯანმრთელობა<sup>169</sup> (მაგრამ არა „საზოგადოებრივი“).

მ. შალიკაშვილის თვალსაზრისით, ნარკოტიკული დანაშაული არა მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგაც არის მიმართული<sup>170</sup>. ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა მოსახლეობის, არამედ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე.

ვინაიდან ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ქმედებებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე განსხვავებული მიდგომაა, უმჯობესია თავიდანვე სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით მსჯელობა ორი მიმართულებით წარიმართოს: 1) რეალურად რა სახის სიკეთის ხელყოფა ხდება ნარკოტიკული საშუალების მოხმარებით და 2) ზოგადად ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სიკეთეს რა წარმოადგენს.

## **2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთეზე**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მარიხუანის მოხმარება პოტენციურად ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ნარკოდამოკიდებულებით გამოწვეული ზიანის ხარისხი კი დამოკიდებულია მოხმარების ხანგრძლივობაზე, ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, მომხმარებლის ინდივიდუალურ თავისებურებებზე. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, კანაფის მოხმარება, ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის, მაგრამ უფრო მსუბუქს, ვიდრე მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება<sup>171</sup>. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო

<sup>168</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1732.

<sup>169</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1732.

<sup>170</sup> *შალიკაშვილი მ.*, კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 173.

<sup>171</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება (ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), პუნქტი 15.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ალკოჰოლის და სიგარეტის მოხმარება ხშირად მეტ საფრთხეს ქმნის, ვიდრე მარიხუანის მოხმარება. მოცემული მოსაზრება ეყრდნობა ექსპერტის შეფასებას, რომ სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან განსხვავებით, მარიხუანა არ იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას. ალკოჰოლის მოხმარებამ შეიძლება უფრო მძიმე ფსიქო-ფიზიკური სირთულეები შექმნას. აღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია მარიხუანის ბრუნვის რეგულირება<sup>172</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებაში ერთმანეთისგანაა გამიჯნული სიკეთე, რომელსაც მარიხუანის მოხმარება ხელყოფს და სიკეთე, რომელსაც საფრთხეს უქმნის მარიხუანის ბრუნვა. თუ მარიხუანის მოხმარება მომხმარებლის ჯანმრთელობას ვნებს, მარიხუანის უკანონო ბრუნვა ადამიანთა ჯანმრთელობას და საზოგადოებრივ წესრიგს უქმნის საფრთხეს. ამდენად, მარიხუანის ბრუნვის რეგულირება სწორედ დასახელებული სიკეთის დაცვას ემსახურება. რაც შეეხება მარიხუანის მოხმარებას, მისი აკრძალვა მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვას შეიძლება ხელს უწყობდეს, მაგრამ მისი ეფექტი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვაზე არ ამოიწურება მხოლოდ უშუალოდ მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვით<sup>173</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების შემძენი, გამსაღებელთან ერთად, ქმნის „საბაზრო მოთხოვნას“, რაც ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. მომხმარებელი, გამსაღებელთან შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვას, რომლის პრევენციაც სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს<sup>174</sup>.

ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარება შეუძლებელია მისი შეძენის გარეშე. იმისთვის რომ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელმა ნარკოტიკი მოიხმაროს, აუცილებელია, რომ მომხმარებლის ხელში მოხვდეს. ამდენად ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას წინ უძღვის მისი შეძენა ან დამზადება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანის, მოხმარების აკრძალვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნის მისაღწევ გამოსადეგ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს, მიუხედა-

<sup>172</sup> პუნქტი 16.

<sup>173</sup> პუნქტი 17.

<sup>174</sup> პუნქტი 18.



ვად იმისა, რომ დასახელებული ქმედება ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სხვა ქმედებებთან შედარებით ნაკლებად საფრთხის შემქმნელია საჯარო ინტერესებისათვის<sup>175</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს მოცემული მსჯელობა იმაზე მიუთითებს, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების, მათ შორის მარიხუანის, მოხმარება არა უშუალოდ, არამედ ირიბად მაინც ქმნის საფრთხეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, კოლექტიური სიკეთისთვის, რაც ნარკოტიკულ ნივთიერებაზე „საბაზრო მოთხოვნის“ გაზრდაში მდგომარეობს. მოხმარება-მინოდების კანონიდან გამომდინარე, თუ არ არის მოთხოვნა (მოხმარება), აზრს დაკარგავს მინოდებაც (დამზადება).

### **3. ნარკოტიკის შეღებად სამართლებრივი სიკეთის დაზიანებაზე ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი**

ლიტერატურაში კანაფის მოხმარებასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ინვესს ეიფორიის და განტვირთვის დროებით ეფექტს. შიზოფრენიულ გამოვლენებთან მისი კავშირი არ დასტურდება. მიუთითებენ კოორდინაციასთან დაკავშირებული სირთულეების გამონვევაზე. რაც შეეხება სიკვდილიანობის შემთხვევებთან ნარკოტიკების და კერძოდ, კანაფის მოხმარების დაკავშირებას, ამ თვალსაზრისით, 30 ევროპული ქვეყნიდან მხოლოდ ფინეთი სახელდება. თუმცა, დადგენილი არ არის კანაფის მოხმარებელთა სიკვდილიანობის შემთხვევებში ლეტალური შედეგი გამოიწვია მხოლოდ კანაფის მოხმარებამ, თუ კანაფთან ერთად სხვა ნარკოტიკულმა საშუალებებმაც. უფრო სავარაუდოდ მიიჩნევენ მეორე შემთხვევას<sup>176</sup>.

ლიტერატურაში მიუთითებენ კანაფის ხშირი მოხმარების ჯანმრთელობისთვის საშიშ შედეგებზე. თუმცა, ამასთან ერთად ერთმანეთისგან მიჯნავენ კანაფის და მძიმე ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ საფრთხეს<sup>177</sup>.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი პრობლემების მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ალკოჰოლის და თამბაქოს ხშირი მოხმარება ჯანმრთელობისთვის უფრო საშიში შეიძლება იყოს, ვიდრე კანაფის. ალკოჰოლის მოხმარება ინვესს საყლაპავის

<sup>175</sup> პუნქტი 19.

<sup>176</sup> *Cavaliere A.*, *Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts — aus einer italienischen Perspektive*, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1735.

<sup>177</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1736.

და ღვიძლის კიბოს, ციროზს<sup>178</sup>. თუმცა, ლიტერატურაში სანინაალმდეგო მოსაზრებაც არის გამოთქმული, რომლითაც გაკრიტიკებულია მარიხუანის მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებისთვის მიკუთვნება. აღნიშნული შეხედულებით, მარიხუანის მოხმარება მიჩნეულია როგორც მომხმარებლისთვის, ისე გარშემო მყოფთათვის სერიოზული საფრთხის შემქმნელ ქმედებად<sup>179</sup>.

## 4. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შეხედულება კანაფის პროდუქტების მოხმარებისგან დასაცავ სიკეთეზე

### 4.1. მოსარჩელის პოზიცია

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში კანაფის პროდუქტების მოხმარების დასჯადობის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ გამოთქმული შეხედულების თანახმად, გამოკვლევებით დადგენილია, რომ როგორც ცალკეული პირისთვის, ისე მთელი საზოგადოებისთვის კანაფის პროდუქტები (ჰაშიში, მარიხუანა) ისევეა საშიში, როგორც ალკოჰოლი და ნიკოტინი. ალკოჰოლის გადაჭარბებულად მიღებას შეუძლია მძიმე ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის გამოწვევა. მისი საზიანო შედეგები საზოგადოებისთვის მკაფიოა. ხოლო კანაფის მოხმარების ინდივიდუალური და საზოგადოებრივი შედეგები უფრო მცირეა<sup>180</sup>.

არ არის დადგენილი, რომ კანაფის მოხმარებამ რელევანტური მოცულობით ფიზიკური დაზიანება გამოიწვია. თუმცა, კანაფის მოწვევას შეუძლია ფილტვების დაზიანება გამოიწვიოს. მაგრამ ეს დაზიანება შეიძლება მიკუთვნებულ იქნას მეორე კატეგორიის დაზიანებისთვის იმ დაზიანებასთან შედარებით, რომელსაც თამბაქოს მოწვევა იწვევს. კანაფის ერთჯერადი მოხმარება არ იწვევს დამოკიდებულებას. თუმცა, სასამართლოს გადანყვეტილებაში ასევე საუბარია იმაზე, რომ არსებობს მსუბუქი ფსიქიკური დამოკიდებულების გამოწვევის შესაძლებლობა. ჰაშიში არ წარმოადგენს კარიბჭეს უფრო მძიმე ნარკოტიკზე გადასასვლელად<sup>181</sup>. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებიდან უფრო მძიმე ნარკოტიკზე გადასვლის საფრთხე არ არის იმდენად დიდი, როგორც ალკოჰოლის შემთხვევაში, რომელიც გავრცელებულია<sup>182</sup>.

პირადი მოხმარებისთვის კანაფის პროდუქტის გადაცემის სისხ-

<sup>178</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1736.

<sup>179</sup> გაბიანი ა., ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები, თბ., 2012, გვ. 25-26.

<sup>180</sup> BVerfGE 90, 152, 160.

<sup>181</sup> BVerfGE 90, 152-153.

<sup>182</sup> BVerfGE 90, 157.

ლისსამართლებრივი დასჯადობა კონსტიტუციასთან შეუთავსებელია. ადამიანის პირადი განვითარების უფლების არსებითი ელემენტია პასუხისმგებლური გადაწყვეტილება იმაზე, მოქალაქე თუ რომელ საკვებ ან თრობის საშუალებას მიიღებს. თრობა მიეკუთვნება ადამიანის ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს (საჭიროებებს). თრობის უფლება მიეკუთვნება ადამიანურ თვითგამორკვევას და კონსტიტუციითაა დაცული<sup>183</sup>.

პირადი მოხმარების მიზნით ჰაშიშის გადაცემის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა, არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. თრობის უფლება ძირითადი უფლებების ქრილში უნდა იქნას განხილული. თუმცა, ძირითად უფლებას აქვს საზღვრები. ადამიანის მოქმედების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს. მაგრამ, რაც უფრო მეტია ადამიანის მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა, მით მეტი გამამართლებელი გარემოებები უნდა არსებობდეს. ძირითადი უფლებები შეიძლება მხოლოდ თანაზომიერების პრინციპით შემოიფარგლოს. მაშინ როცა მოქმედებს „ultima ratio“ აკრძალვა სისხლის სამართლის ნორმის სახით, შემონმების მკაცრი ტესტი გამოიყენება<sup>184</sup>.

აშშ-ში, ნიდერლანდებში, იტალიაში კანაფის მოხმარების და ფლობის დეკრიმინალიზაციამ ფაქტობრივად გამოიწვია კანაფის მოხმარების შემცირება. ერთი მხრივ, მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული კანაფის მოხმარების და პირადი მოხმარების მიზნით შენახვის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას, ხოლო მეორე მხრივ, არ გამოირიცხა კანაფის პროდუქტების გამოყენების რეგულირების აუცილებლობა. თუმცა, ამისთვის სასჯელის მუქარა არ იქნა მიჩნეული საჭიროდ. პიროვნების თავისუფალი განვითარების ძირითად უფლებასთან შეუსაბამოდ შეფასდა კანაფის პროდუქტების მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით შექმნის ან ფლობის ან პირადი მოხმარებისთვის კანაფის განსაზღვრული ოდენობით გადაცემის სისხლისსამართლებრივი დასჯა<sup>185</sup>.

ერთმანეთისგან იქნა გამიჯნული „მსუბუქი“ და „მძიმე“ ნარკოტიკი და თანაზომიერების პრინციპთან შეუსაბამოდ ცნობილი მათი დაყენება ერთსა და იმავე სიბრტყეზე<sup>186</sup>. მსუბუქი და მძიმე ნარკოტიკების მიმართ თანაბარი მიდგომა სამართლიანობის პრინციპთან შეუსაბამოდაც იქნა მიჩნეული. ჰეროინი უფრო საშიშ ნარკოტიკად იქნა განხილული, ვიდრე კანაფი<sup>187</sup>.

ჰაშიშის გაყიდვით არ ხდება არც სხვისი უფლებების არც კონსტიტუ-

---

<sup>183</sup> BVerfGE 90, 154.

<sup>184</sup> BVerfGE 90, 154.

<sup>185</sup> BVerfGE 90, 155.

<sup>186</sup> BVerfGE 90, 155.

<sup>187</sup> BVerfGE 90, 160-161.

ციური წესრიგის და არც მორალური კანონის დარღვევა<sup>188</sup>. ზოგადად ქმედების თავისუფლება, თითოეული ადამიანის ჯანმრთელობის და განტვირთვის უფლება მოიცავს კანაფის მოხმარების უფლებას. შესაბამისად, უმართლობას არ შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი ქმედება, რომელიც აღნიშნული ნარკოტიკის მოხმარებას შესაძლებელს ხდის, როგორცაა მაგალითად, შემოტანა, გადატანა, ფლობა და ვაჭრობა. ვინაიდან კანაფის აკრძალვა არ არის თანაზომიერი, არ განიხილება კონსტიტუციური წესრიგის ნაწილად. კანაფის აკრძალვა არ პასუხობს თანაზომიერების პრინციპის ისეთ მოთხოვნებს, როგორცაა ვარგისიანობა, აუცილებლობა და თანაზომიერება ვინრო გაგებით<sup>189</sup>.

კანაფის აკრძალვის შემთხვევაში ის, ვისაც კანაფის მიღების სურვილი ექნება, იძულებული გახდება შედარებით ნაკლებად საშიში კანაფის ნაცვლად მიიღოს საშიში ალკოჰოლი და ამით მეტი საფრთხე შეუქმნას ჯანმრთელობას. ადამიანის ჯანმრთელობაში ასეთი ჩარევა არ მიიჩნევა მართებულად<sup>190</sup>.

თუ კანაფის მოხმარების აკრძალვა არათანაზომიერად იქნა მიჩნეული, ამით დგინდება მისი შეუსაბამობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთანაც<sup>191</sup>.

## 4.2. სასამართლოს პოზიცია

კანაფის გადაცემის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ვარგისი და აუცილებელია მოსახლეობის ჯანმრთელობის და ცალკეულ ადამიანთა ფიზიკური ხელშეუხებლობის დასაცავად. კანაფის მოხმარების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა საჭირო საშუალებაა ახალგაზრდა ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანებისგან დასაცავად<sup>192</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციური სარჩელი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული<sup>193</sup>.

თუ კანონმდებელმა დაადგინა, რომ კანაფის მოხმარების აკრძალვა დააშინებს პოტენციურ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას, ვიდრე სასჯელის გაუქმება და ამიტომ სამართლებრივი სიკეთის დასაცავად ეს გზა უფრო ვარგისია, საკონსტიტუციო სასამართლომ ეს კონსტიტუციურსამართლებრივად დასაშვებად მიიჩნია. კანონმდებელს აქვს გადაწყვეტილების მიღების კონპეტენცია კანონის მიზნის მისაღწევად სხვადასხვა

<sup>188</sup> BVerfGE 90, 155.

<sup>189</sup> BVerfGE 90, 161.

<sup>190</sup> BVerfGE 90, 161.

<sup>191</sup> BVerfGE 90, 161.

<sup>192</sup> BVerfGE 90, 163-164.

<sup>193</sup> BVerfGE 90, 166.

პოტენციურად ვარგისი გზის შერჩევითვის<sup>194</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ გამორიცხა არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევა კანაფის პროდუქტების უნებართვო შექმნისა და უნებართვო ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დროს. სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევებში სხვა პირთა სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა დაასაბუთა იმით, რომ იქმნება მესამე პირისთვის უკონტროლოდ ნარკოტიკული საშუალების გადაცემის შესაძლებლობა<sup>195</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვის და გენერალურპრევენციული თვალთახედვის გათვალისწინებით გამართლებულად მიიჩნია პირადი მოხმარების მიზნით კანაფის პროდუქტების უნებართვოდ შექმნის და ფლობის სისხლისსამართლებრივი დასჯადობა. თუმცა, სასამართლომ აღნიშნულ შემთხვევებში სამართლებრივი სიკეთისთვის ნაკლები ხარისხის საფრთხის შექმნაზე და უფრო მსუბუქ ინდივიდუალურ ბრალზე მიუთითა. სასამართლომ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა ისეთ შემთხვევაზე, როცა კანაფის პროდუქტის მცირე მოცულობით შექმნა ხდება პირადი მოხმარების მიზნით<sup>196</sup>. თუმცა, დასახელებულ შემთხვევაში მესამე პირის მიმართ საფრთხის არსებობა საკამათოა. ერთ-ერთი მოსაზრებით, მსგავს შემთხვევაში მესამე პირისთვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის საფრთხე არ არსებობს<sup>197</sup>. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში, როცა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შექმნა-შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთა არაპროპორციულად სცნო. მართალია, ამ გადაწყვეტილებაში საქმე ეხებოდა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის, და არა ნებისმიერი სასჯელის, კონსტიტუციურობას, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის არაპროპორციულობა დადგინდა ქმედების მიზნის და მარიხუანის ოდენობის გათვალისწინებით, რაც სასამართლოს პოზიციით, არ ქმნიდა ნარკოტიკული საშუალების მესამე პირისთვის გადაცემის საფრთხეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდებოდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

პირადი მოხმარების მიზნით კანაფის შექმნისას მესამე პირისთვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემის საფრთხეს ქ. პასედახი არ ხე-

<sup>194</sup> BVerfGE 90, 183.

<sup>195</sup> BVerfGE 90, 187.

<sup>196</sup> BVerfGE 90, 187; *Pasedach Ch.*, Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Zur Zurechnungs- und Rechtsgutslehre im Betäubungsmittelstrafrecht, Berlin, 2012, S. 47.

<sup>197</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 47.

დავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასჯელის გენერალური მუქარის არსებობას მაინც არ მიიჩნევს არაკონსტიტუციურად და მას კონსტიტუციასთან შესაბამისად თვლის<sup>198</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ კანაფის პროდუქტების უნებართვო შექმნისა და ფლობის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა გენერალურპრევენციული თვალსაზრისით არ მიიჩნია არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევად, მაგრამ ამავდროულად მიუთითა სასჯელის განრიდების კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობაზე, რომელიც ეძლევათ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს<sup>199</sup>. თუმცა, გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ სასჯელისაგან განრიდებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება ნარკოტიკული საშუალების ოდენობაც.

## **5. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ დაცვაზე, როგორც ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველზე იურიდიულ ლიბერატურაში გამოთქმული შეხედულებების ანალიზი**

### **5.1. მოსახლეობის ჯანმრთელობა როგორც უნივერსალური სიკეთე**

უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე რამდენადაც ინდივიდუალურ ინტერესებს ემსახურება, ჩნდება კითხვა, სამართლებრივი სიკეთის ასეთი გაგება რამდენად შეესაბამება მოქმედ სისხლის სამართალს ნარკოტიკული დანაშაულების დასჯადობასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი სიკეთის ექსტენსიური ინტერპრეტაციის ტენდენცია არსებობს. გერმანულ დოგმატიკაში გაბატონებული მოსაზრებით, ნარკოტიკული დანაშაულების დასჯის მიზანია „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ („Volksgesundheit“) დაცვა, რომელიც ცალკეულ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვით არ ამოინურება, არამედ მიმართულია მთელი მოსახლეობისკენ<sup>200</sup>.

მოსახლეობის ჯანმრთელობის როგორც კოლექტიური სამართლებ-

<sup>198</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 48.

<sup>199</sup> BVerfGE 90, 189.

<sup>200</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 146; Patzak, in: Körner/Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München 2019, S. 437, §29, Teil 4, Rn. 1.

რივი სიკეთის წინააღმდეგ მიუთითებენ იმას, რომ მოსახლეობის სხეულზე (Volkskörper) როგორც ცალკეულ ინდივიდთა სხეულის ჯამზე საუბარი შესაძლებელია მეტაფორული თვალსაზრისით. გარდა ამისა, მიუთითებენ იმაზეც, რომ მოსახლეობა არ წარმოადგენს ორგანულ ერთიანობას დამოუკიდებელი სხეულით, რომელიც შეიძლება ავად ან ჯანმრთელად იყოს<sup>201</sup>.

ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების შექმნის მოტივად მიიჩნევა არა ცალკეულ ადამიანთა ჯანმრთელობის, არამედ მთელი საზოგადოების დაცვა იმ საფრთხისგან, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულებიდან მომდინარეობს<sup>202</sup>. მოსახლეობის ჯანმრთელობა უფრო მეტად მიიჩნევა, ვიდრე მოსახლეობის ყველა წევრის ფიზიკური ჯანმრთელობის ჯამი. ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სიკეთე უნივერსალურ სიკეთედ ისევეა მიჩნეული, როგორც სატრანსპორტო დანაშაულებში. შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული არ განიხილება ისეთ დანაშაულად, სადაც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება იქნებოდა საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა<sup>203</sup>.

კ. ვებერი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ მიიჩნევა ცალკეულ პირთა და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობას, აგრეთვე სოციალურ თანაცხოვრებას, რომელიც დაცულია სოციალურად საზიანო ზეგავლენისგან, ახალგაზრდობის დაცვის და ორგანიზებული დანაშაულისგან დაცვის თვალსაზრისით<sup>204</sup>. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის ფლობის დასჯადობის ლეგიტიმურ მიზნად ასევე განიხილავდა ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისგან დაცვას. არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვა არ ანებს იმის ვალდებულებას, რომ ნარკოტიკების ფლობასთან დაკავშირებით დამნაშავის მოტივაცია გაითვალისწინოს<sup>205</sup>. გენერალურპრევენციული თვალსაზრისით გამართლებულია, რომ ქმედების შემადგენლობებმა მოიცვას ყველა ის ქმედება, რომელიც კანაფის პროდუქტების არანებადართული მიმოქცევის საფრთხეს ქმნის. მხოლოდ პოლიცია ვერ უზრუნველყოფს იმ საფრთხის თავიდან აცილებას, რაც დაკავშირებულია ნარკოტიკების არაკონტროლირებადი ბაზრის მონაწილეთა მიერ ნარკოტიკული საშუალების ფლობასთან და ნარკოტიკების გავრცელების შესაძლებლობასთან<sup>206</sup>.

<sup>201</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 145.

<sup>202</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 146-147.

<sup>203</sup> Beulke/Schröder, Abgabe von Rauschgift und bewußte Selbstgefährdung, NStZ 1991, S. 394.

<sup>204</sup> Weber K., BtMG, Kommentar, 5. Auflage, München 2017, S. 47-48, §1 Rn. 3.

<sup>205</sup> „Das Übermassverbot verpflichtet nicht dazu, die Motivation des Täters durch eine engere Begriffsbestimmung des Besitzes von Betäubungsmitteln zu berücksichtigen“. იხილეთ: NStZ 1997, S. 498.

<sup>206</sup> NStZ 1997, S. 498.

საზოგადოების სამართლებრივი სიკეთე (უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე) წარმოადგენს დაუსრულებელი დისკუსიის საგანს. თუმცა, გერმანელი მეცნიერი კ. როქსინი მიუთითებს, რომ კრიტიკა ეხება არა საზოგადოების სამართლებრივ სიკეთეს, არამედ მხოლოდ ცნების გამოყენებას. ასეთი (კრიტიკის ღირსი) გამოყენება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების სამართლებრივი სიკეთის ზოგადი ბუნდოვანი დეფინიციის კონსტრუირება ხდება იქ, სადაც დაცვის ღირსი ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა საერთოდ არ ხდება. როცა ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართალი სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობას“ მიიჩნევს, შეიძლება დასჯადობა განხორციელდეს იქ, სადაც ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის არც დაზიანება და არც მისთვის საფრთხის შექმნა მომხდარა. ვინაიდან რეალურად „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ არ არსებობს<sup>207</sup>.

ნარკოდანაშაულების დასჯადობის მიზანთან და ლეგიტიმაციის საფუძველთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანული კანონმდებლობის განმარტებით ბარათში გამოთქმული მოსაზრება, რომელსაც თუ გავითვალისწინებთ, კანონმდებლობის მიზნად მიჩნეულია საზოგადოების და მისი ცალკეული წევრებისთვის დიდი საფრთხის აცილება. საქმე ეხება ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების დაცვას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისგან, ინდივიდუალობის, თავისუფლების ხელყოფისაგან. აგრეთვე საქმე ეხება ოჯახის სიმტკიცის დაცვას, რომელსაც ნარკომანია საფრთხეს უქმნის. დაბოლოს, საქმე ეხება იმას, რომ საზოგადოების ფუნქციონირების უნარს საფრთხე არ უნდა შეექმნას. მაშასადამე, ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე უფრო ვრცელია, ვიდრე ცალკეულ ადამიანთა ჯანმრთელობა ან სულაც მრავალი ადამიანის ჯანმრთელობა ერთად აღებული<sup>208</sup>.

ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე განიხილება როგორც სხვადასხვა ინტერესების კრებითი ცნება, სადაც არ არსებობს კონკრეტიზებადი რაციონალური სამართლებრივი სიკეთე. თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობა სამართლებრივ სიკეთედ იქნა მიჩნეული, პრინციპულად შეიძლება ყველა ქმედება, რომელიც სოციალურად საზიანოა სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგნად იქცეს. ამგვარად, სამართლებრივი სიკეთე კარგავს სისხლის სამართლის ლეგიტიმაციის პოტენციას. სამართლებრივ სახელმწიფოში თითოეული სამართლებრივი სიკეთე საზოგადოების ფუნქციონირების უნარის დაცვას ემსახურება. აღნიშნული სიკეთის უკონტურობის (კონტურის არარსებო-

<sup>207</sup> Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 17, §2 Rn. 10.

<sup>208</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 147.



ბის) გათვალისწინებით, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის შემოფარგვლა და კონკრეტიზაცია სამართლებრივი სიკეთის თვალსაზრისით სისტემურად შეუძლებელი ხდება<sup>209</sup>.

ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთედ ასევე ასახელებენ საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და სახელმწიფო წესრიგს<sup>210</sup>. ნარკოტიკული დანაშაულებისგან საზოგადოებრივი უსაფრთხოების და სახელმწიფო წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართული სსკ-ის პოზიცია. ქართულ სსკ-ში ნარკოტიკული დანაშაულების თავი მოქცეულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, რის გამოც შეიძლება ითქვას, რომ ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობაც აღნიშნულ სიკეთეს მიიჩნევს ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ ერთ-ერთ სიკეთედ, ვინაიდან სსკ-ში თავებად და კარებად დაყოფა სწორედ სამართლებრივი სიკეთის მიხედვით ხდება. საყურადღებოა ის, რომ აღნიშნულ კარში ცალკე არის გამოყოფილი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავი, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულების თავისგან გამიჯნულია, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ ერთ-ერთ სიკეთედ მიჩნეულ იქნას მოსახლეობის ჯანმრთელობა. ის, რომ ნარკოტიკული დანაშაულები ცალკე თავად გამოეყო, განპირობებულია მისი სფერციფიკით, იმით, რომ მისი საგანი, უმეტესად, ნარკოტიკული საშუალებაა. თუმცა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში ნარკოტიკული დანაშაულების თავის ცალკე გამოყოფა იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულ დანაშაულთა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებითაა ახსნილი<sup>211</sup>.

ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავ სიკეთედ მოსახლეობის ჯანმრთელობა განიხილება, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის გამო სისხლისსამართლებრივი დასჯადობის პრინციპიც ვერ იქნება გამოყენებული ქმედების გასამართლებლად, ისევე როგორც ვენერიულ დაავადებათა გავრცელების შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში პარტნიორის თანხმობა ვერ გამორიცხავს დასჯადობას, ვინაიდან დასჯადობის მიზნად მიიჩნევა არა იმდენად იმ ადამიანის დაცვა, რომელსაც დაავადებით ინფიცირების საფრთხე ექმნება, არამედ უფრო მეტად ვენერიულ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილება<sup>212</sup>.

<sup>209</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 148.

<sup>210</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 147.

<sup>211</sup> თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 3.

<sup>212</sup> Rigopoulou M., Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013, S. 146.

## 5.2. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე“ როგორც სამართლებრივ სიკეთეზე

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოც კანაფთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში „როგორც ცალკეული ადამიანის, ისე მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობას“, ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სამართლებრივ სიკეთედ ასახელებს<sup>213</sup>. რაც შეეხება „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნების არსს, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო მასში არა მხოლოდ ცალკეულ პირთა ჯანმრთელობას, არამედ სოციალური თანაცხოვრების ფორმასაც მოიაზრებს<sup>214</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ როგორც სამართლებრივი სიკეთის ექსტენსიური ინტერპრეტაციის არსებობის ტენდენციები. დაცული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის სხეულებრივი ჯანმრთელობა ერთიანობაში, გარდა ამისა, საზოგადოების წევრთა თანაცხოვრება. ცალკეულ მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა არის თანამდები მიზანი (*beiläufiges Ziel*). ცალკეულ პირთა ჯანმრთელობა საზოგადოების ჯანმრთელობის შემადგენელ ნაწილად განისაზღვრება, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. ამის უკან დგას თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოს და საზოგადოების შემადგენლობა დამოკიდებულია ჯანმრთელ მოქალაქეებზე. ამიტომ იგი დაცული უნდა იყოს იმ საფრთხეებისგან, რომელიც მას ემუქრება მართლშეგნების ან გადაწყვეტილების მიღებისა და განჭვრეტის უნარის ცვლილებით მის მოქალაქეებზე ნარკოტიკების ზეგავლენის, განსაკუთრებით, ამით გამოწვეული მოტივაციის დაქვეითების შედეგად. ცალკეულ მოქალაქეთა ჯანმრთელობის გვერდით, საქმე ეხება ახალგაზრდობის და ოჯახის, ისევე როგორც სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური სტაბილურობის დაცვას, ამასთან ერთად საზოგადოების ფუნქციონირებას. მიზანი არის შექმნა და დაცვა ნარკოტიკებისგან თავისუფალი იდეალური ტიპის საზოგადოების, რომელიც თავისუფალია ალკოჰოლიზმისგან, ნარკომანიისგან და მასზე დამოკიდებული სხვა შედეგებისგან<sup>215</sup>.

<sup>213</sup> BVerfGE 90, 145 (174). მითითებულია: *Pasedach Ch.*, ebenda, S. 148.

<sup>214</sup> BVerfGE 90, 145 (174). მითითებულია: *Pasedach Ch.*, ebenda, S. 148.

<sup>215</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 149.

### 5.3. კონსტიტუციურსამართლებრივი კრიტიკა სამართლებრივ სიკეთედ „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევის წინააღმდეგ

კონსტიტუციურსამართლებრივი თვალსაზრისით „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ მიჩნევა სამართლებრივი სიკეთედ, სხვადასხვა მოსაზრებით არის მიუღებელი. გასათვალისწინებელია რამდენად ემსახურება ეს სიკეთე ცალკეულ პირთა ინტერესებს. არ გამოირიცხება კლასიკური სამართლებრივი სიკეთეების გვერდით, როგორცაა, სიცოცხლე, სხეულებრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება, ახალი სამართლებრივი სიკეთეების დამკვიდრება. სისხლის სამართალმაც უნდა აუწყოს ფეხი საზოგადოების ცვალებად მოთხოვნილებებს და ახალ საფრთხეებს. ამგვარად საზოგადოებრივი ცვლილებები აისახება დღევანდელ ე. წ. „რისკის საზოგადოებაში“ („Risikogesellschaft“), სადაც ადამიანები თვითგანადგურების ინდუსტრიულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გადანყვეტილებებით ყველა სხვის სიცოცხლეს უპირისპირდებიან. თანამედროვე საზოგადოება დალდასმულია ახალი ატომური, ქიმიური, ეკოლოგიური, გენტექნოლოგიური საფრთხეებით და რისკებით, რომლებიც ბუნებრივ კატასტროფას ინვევენ, თუმცა ადამიანთა ქმედებით, გადანყვეტილებითაა გამოწვეული. თანამედროვე სისხლის სამართალმა არ შეიძლება უყურადღებოდ დატოვოს მსხვერპლთან მიმართებით სამართლებრივ-ლიბერალური პრინციპები. თუმცა, ლიტერატურაში მიუთითებენ ამგვარი მიდგომით სამართლებრივი სიკეთის კონცეფციის განვრცობაზე, რაც შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს განსაზღვრულობის კონსტიტუციურსამართლებრივ პრინციპთან<sup>216</sup>.

## 6. ნაკოტიკული დანაშაულის, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხი

„მოსახლეობის ჯანმრთელობის“ სამართლებრივი სიკეთის დაცვა ხდება ისეთი ტიპის დელიქტით, როგორცაა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი, რომელიც სულ მცირე, ნაწილობრივ გამართლებულია და ამგვარად სამართლებრივი სიკეთის დაცვა გამიზნულია ხელყოფამდელ, წინარე სტადიაზე. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტზე ყურადღების შეჩერება ინვევენ სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობების შემცირებასაც, ვინაიდან იგი დაკავშირებულია მხოლოდ განსაზღვრულ ქმედებასთან, რომლის ინკრიმინირებაც კანონმდებელმა მოახდინა, რო-

<sup>216</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 149-150.

მელიც ტიპურად საფრთხის პოტენციას შეიცავს. ისინი არ მოითხოვენ შედეგის დადგომას და აქედან გამომდინარე მიზეზობრივი კავშირის და შედეგის ობიექტური შერაცხვის დადგენას. ხელყოფის ან კონკრეტული საფრთხის თავიდან აცილება მხოლოდ საკანონმდებლო მიზანია და არა ქმედების შემადგენლობასთან დაკავშირებული წინაპირობა<sup>217</sup>.

ერთ-ერთი შეხედულებით, ქმედების სისხლის სამართლის და ბრალის პრინციპის მიხედვით, ასეთი სახის დელიტების კონსტრუქცია უკიდურესად საეჭვოდ მიიჩნევა. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ქმედების სისხლის სამართლის მიხედვით, სასჯელის მოქმედება დამოკიდებულია მხოლოდ ქმედების შემადგენლობაში აღწერილი ქმედების განხორციელებაზე. შეუძლებელია მოქმედი პირის პიროვნულობა და ცხოვრების წესი იყოს დასჯადი. ნარკოტიკულ დანაშაულთა შემადგენლობები უმეტესად არ მოითხოვს საზიანო შედეგის დადგომას და საფუძვლად უდევს ქმედების მხოლოდ ზოგადი საშიშროება, რის გამოც ხდება საზღვრების გადანევა დამნაშავეის სისხლის სამართლისკენ<sup>218</sup>.

ზემოთ აღნიშნულის ანალოგიურად ჩნდება კითხვა ასეთ ქმედებათა კრიმინალიზაციის ტექნიკის არსებობის გამართლებასთან დაკავშირებით, პრინციპის „არავითარი სასჯელი ბრალის გარეშე“ გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს ადამიანური ღირსების მოთხოვნიდან და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და მოითხოვს, რომ სასჯელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს უფრო მაღალი დამნაშავეის ბრალთან მიმართებით. აქ ჩნდება მორიგი კითხვა, რომ ბრალეული გააკიცხვა როგორ შეიძლება გამართლდეს, როცა საფრთხე, რომლის თავიდან აცილება სასჯელის მუქარით უნდა მომხდარიყო, არ რეალიზდება და საერთოდ არც შეეძლო რეალიზებულიყო<sup>219</sup>.

მაშინ როცა ავტორთა ერთი ნაწილი აბსტრაქტული საფრთხის დელიტების დასჯადობის ლეგიტიმაციას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ავტორთა მეორე ნაწილი, აღნიშნული ტიპის დელიტების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას კონსტიტუციის შესაბამისად თვლის. კონსტიტუციურად და ლეგიტიმურად მიიჩნია აბსტრაქტული საფრთხის დელიტების დასჯადობა იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომაც<sup>220</sup>. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური პოზიციას გატარებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, რომელიც მიიღო მარჩხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.

<sup>217</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 150-151.

<sup>218</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

<sup>219</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

<sup>220</sup> *Cavaliere A.*, *Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts — aus einer italienischen Perspektive*, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1738.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო მარხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა, ხოლო მოგვიანებით, ზოგადად, სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ მეორე მხრივ, დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში არ არის არაკონსტიტუციურად მიჩნეული ზოგადად, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დასჯადობა.

როდესაც საუბარია ნარკოტიკულ დანაშაულზე, როგორც აბსტრაქტული საფრთხის დელიქტზე, მხედველობაშია საფრთხის შექმნა ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის, მაგრამ ჩნდება კითხვა, კანაფის მოხმარება რამდენად შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს მომხმარებლის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას?

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, ერთჯერადი მოხმარებისთვის განკუთვნილი ოდენობით კანაფის მოხმარებას და გადატანას არ შეუძლია ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა. მას არ შეუძლია იმაზე მეტი, რაც ერთ ჭიქა ვისკის ან ერთ ღერო სიგარეტს. (აბსტრაქტული) საფრთხე შეიძლება შექმნას ხშირმა მოხმარებამ<sup>221</sup>. ანალოგიურის თქმა შეუძლებელია ყველა ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით. მაგალითად, კოკაინმა და ჰეროინმა სასიკვდილო შედეგი შეიძლება პირველივე მიღებაზე გამოიწვიოს. ეს არის დამოკიდებული დოზირებაზე, მიღების ფორმაზე და ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ნარკოტიკული საშუალების მიღება ზოგჯერ დაკავშირებულია გარკვეულ საფრთხესთან, როგორცაა შიდსი, ჰეპატიტი<sup>222</sup>, გარდა იმისა, რომ გარკვეული სახის ნარკოტიკული საშუალების მიღება ისედაც ქმნის საფრთხეს ჯანმრთელობისთვის.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების და უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის კონცეფციის საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ სისხლის სამართალი არ იქნება კანონმდებლის *ultima ratio*<sup>223</sup>. აღნიშნული საკითხი მართლაც საყურადღებოა, ვინაიდან სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში უკიდურეს საშუალებას წარმოადგენს, მაგრამ რამდენად შეიძლება სისხლის სამართალს უკიდურესი საშუალება ეწოდოს მაშინ, როცა სასჯელის შესაფარდებლად საკმარისია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც სინამდვილეში არ გამოუნვევია საზიანო შედეგი და არ შეუქმნია რეალური საფრთხე. მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ მოითხოვს რეალური საფრთხის შექმნას ან საზიანო შედეგის გამოწვევას, მისი კრიმინალიზაცია მაინც მიზანშეწონილია,

<sup>221</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1738.

<sup>222</sup> *Cavaliere A.*, ebenda, S. 1739.

<sup>223</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

ვინაიდან საქმე ეხება ისეთ ქმედებას, რომელსაც ტიპურად შეუძლია საზიანო შედეგის გამოწვევა.

## 7. ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობა და პატერნალისტურად მოტივირებული დასჯადობის საფრთხე

გარდა ზემოაღნიშნულისა, ლიტერატურაში გამოთქვამენ ეჭვს, რომ ნარკოტიკული დანაშაულისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება სახელმწიფოს ხელში წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს პატერნალისტურად მოტივირებული მიზნების რეალიზაციისთვის. დამაზიანებელი ქმედებისგან მოქალაქეთა დაცვა ხდება მათი ნების სანინააღმდეგოდ. ამდენად, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართალი ქმნის საფრთხეს „პატერნალისტურად მოტივირებული სამართლის“ დაშვებასთან დაკავშირებით. ლიბერალური სახელმწიფოს კონსტიტუციური გაგების საფუძველზე, რომელიც ცალკეულ პირთა ავტონომიიდან გამომდინარეობს, ასეთი მიდგომა შეიძლება უკიდურესად სკეპტიკურად შეფასდეს<sup>224</sup>.

ბევრი ადამიანი საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს: არასწორი კვების რეჟიმით, მოწვევით, ალკოჰოლით და არაჯანსაღი ცხოვრებით, ავტომანქანის სწრაფი ტარებით ან საფრთხის შემცველი სპორტით. ასეთი ქმედებები არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი აკრძალვის საგანს, ვინაიდან სისხლის სამართლის ამოცანაა თავიდან იქნას აცილებული ვინმეს საკუთარი ნების წინააღმდეგ დაზიანება. რაც შეეხება საკუთარი ნებით დაზიანებას, იგი არის არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, არამედ პირადი თვითრეალიზაციის ნაწილი და ის სახელმწიფოს არ ეხება<sup>225</sup>.

საერთაშორისო სამართლებრივ თეორიაში საკამათოა სახელმწიფო პატერნალიზმი ანუ სასჯელით ადამიანის დაცვა საკუთარი თავისგან რამდენად დასაშვებია. თუმცა, სამართლებრივი სიკეთის დაცვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის შემოფარგვლა შეიძლება დასაშვები იყოს დაზარალებულის პიროვნული ავტონომიის ნაკლებობის (სულიერი დაავადების, იძულების, შეცდომის ან სხვა მსგავს) შემთხვევაში ან ახალგაზრდობის დაცვის მიზნით, რაც ეფუძნება შეზღუდულ პირად პასუხისმგებლობას<sup>226</sup>.

განსაკუთრებით საკამათო საკითხია მსუბუქი ნარკოტიკების შექცენა და ფლობა. როცა სრული პასუხისმგებლობის მქონე სრულწლოვანი

<sup>224</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 152.

<sup>225</sup> Roxin, Claus, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 23-24, §2 Rn.

32.

<sup>226</sup> Roxin, Claus, ebenda, S. 24, §2 Rn. 33.

მცირე ოდენობით ჰაშიშის მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით ფლობს, არავის არ აზიანებს საკუთარი თავის გარდა. მაშასადამე, სახეზე არ არის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ამიტომ დასჯის საფუძველი საკამათოა<sup>227</sup>.

მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება არ აზიანებს ჯანმრთელობას, ისევე როგორც ალკოჰოლი და სიგარეტი, არ იწვევს არც დამოკიდებულებას და არ წარმოადგენს უფრო მძიმე ნარკოტიკზე გადასვლის კარიბჭეს, ამდენად დასჯის საფუძველი არ არის მკაფიო<sup>228</sup>.

ქ. პასედახიცი სვამს კითხვას, შეიძლება თუ არა „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ხელყოფა მცირე მოცულობით კანაფის ფლობით. იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მხოლოდ ერთი პირის ასეთ ქმედებას არ შეუძლია მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელყოფის გამონწვევა. მხოლოდ ერთ ადამიანს შეაქვს მცირე წვლილი ასეთი საზიანო შედეგის გამონწვევაში. ეს არის ის თვალსაზრისი, რომელიც საფუძველად უდევს ე.წ. კუმულაციურ დელიქტებს. ავტორი დასჯადობის ასეთ დასაბუთებაში თანაზომიერების ფარგლების დარღვევის საფრთხეს ხედავს<sup>229</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ 1994 წლის გადაწყვეტილებით უმნიშვნელო (ნაკლები მნიშვნელობის ანუ იგულისხმება მცირე მოცულობის) შემთხვევები ჩათვალა ისეთად, როცა უნდა მოხდეს სასჯელისაგან გათავისუფლება<sup>230</sup>.

## **8. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ როგორც სამართლებრივი სიკეთის მიმართება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპთან**

სასჯელის განსაზღვრულობის ლეგიტიმაციის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას მაშინ, როცა საქმე უნივერსალურ სამართლებრივ სიკეთეს ეხება. ასეთი საკანონმდებლო პრაქტიკა არ მოქმედებს მხოლოდ ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით. იგი განსაკუთრებულ პოპულარობას პოულობს სამართლის იმ სფეროში, სადაც მიზეზობრიობა რთული დასადგენია. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ საექიმო და პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებულ სფეროებს<sup>231</sup>.

განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა მძიმე კონსტიტუციურსამართლებრივ დარღვევას წარმოადგენს. შესაბამისად, სისხლისსამართ-

<sup>227</sup> *Roxin, Claus*, ebenda, S. 24, §2 Rn. 34.

<sup>228</sup> *Roxin, Claus*, ebenda, S. 24-25, §2 Rn. 35.

<sup>229</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 152.

<sup>230</sup> BVerfGE 90, 145-226 (1994). მითითებულია: *Roxin, Claus*, ebenda, S. 25, §2 Rn. 36.

<sup>231</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 151.

ლებრივი დასჯადობის კონსტიტუციურობისთვის მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რამდენად აკმაყოფილებს დასახელებულ მოთხოვნას.

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნება არის უკიდურესად ბუნდოვანი და განუსაზღვრელი. ამდენად იგი იძლევა მაღალი დოზით განვრცობითი სამოსამართლო განმარტების შესაძლებლობას. ამიტომ ქ. პასედახის თვალსაზრისით, დასჯადობა არ შეესაბამება განსაზღვრულობის კონსტიტუციურ პრინციპს და მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, გასცდეს სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ფარგლებს. მაშინ როცა სისხლისსამართლებრივი დასჯადობა არსებითად და არაგანჭვრეტადად მოსამართლის კონკრეტულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თავისუფლების საგარანტიო ფუნქციას, რომელიც სისხლის სამართალს კონსტიტუციის მიხედვით აქვს, კარგავს. სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში იქცევა მართვის მოქნილ ინსტრუმენტად<sup>232</sup>.

## **9. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც სამართლებრივი სიკეთეთა კუმულაცია**

განვრცობითი სამოსამართლო განმარტებისთვის გარკვეული თვალსაზრისით მაგალითს გვაწვდის „კანაფთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება“, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს ჯანმრთელობას ვინრო გაგების გვერდით, სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როგორცაა საზოგადოების ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური საფუძვლები, ნარკოტიკული დანაშაულებისგან დაცულ სიკეთეთა წრეს მიაკუთვნოს, რითაც „მოსახლეობის ჯანმრთელობისგან“ „ჰიპერ-სიკეთის“ კონსტრუირება მოახდინა. ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავი სამართლებრივი სიკეთის ასეთი მოცულობით ყველა სახელმწიფო ინტერესთან მიმართებით დასაბამი მიეცა შემდგომში სამართლებრივი სიკეთეების განვრცობით ინტერპრეტაციას. ფაქტობრივად, ერთი მხრივ, შესაძლებელია ახალი სიკეთის შემოტანა, ხოლო მეორე მხრივ, სისხლის სამართლის ნორმის მიჩნევა ისეთად, რომელიც სხვადასხვა სიკეთის დაცვას ემსახურება. საკამათო არ არის, რომ დაუმუშავებელია სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაციით, რომლებიც თავისთავად არასაკმარისად მიიჩნევა სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დასასაბუთებლად, სისხლისსამართლებრივი დასჯადობის სფეროების განვრცობა. ასეთ დროს სამართლებრივი სიკეთეები არ ასრულებენ სისხლის სამართლის შემოფარგვლის (შემოსაზღვრის) ამო-

<sup>232</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 152.



ცანას. სამართლებრივი სიკეთის დაცვის პრინციპის ამგვარი უკანონო მოქმედება მოქალაქეთა საზიანოდ ქმნის არსებით სამართლებრივ საფრთხეს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პრევენციული მიზანი შეუძლებელია განხორციელდეს: დაშინება ვერ მიიღწევა, როცა დასჯადი ქმედების ფარგლები დადგენილი არ არის<sup>233</sup>.

## 10. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ როგორც დამოუკიდებელი ცალკეული სიკეთე

ლიტერატურაში საუბარია „მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, როგორც ცალკეულ, არაკუმულაციურ სიკეთეზე, რომელიც არ არის ინდივიდუალური სიკეთე, არამედ იგი არის უნივერსალური სიკეთე, თუმცა არ შედგება სხვადასხვა ინდივიდუალური ინტერესებისგან<sup>234</sup>.

სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეთა კუმულაცია როგორც „ჰიპერ-სამართლებრივი სიკეთე“ არ მიიჩნევა დასაშვებ ბაზისად, რის საფუძველზეც „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ არსებობის გამართლება იქნებოდა დასაშვები. ამდენად ავტორები უშვებენ იმის შესაძლებლობას, რომ „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მიჩნეულ იქნას დამოუკიდებელ „ცალკეულ უნივერსალურ სიკეთედ“. აღნიშნული საკითხი წარმოშობს კითხვას სამართლებრივი სიკეთის მატარებელთან დაკავშირებით. „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მოითხოვს შესაბამის სუბიექტს, რომელიც ჯანმრთელად ან ავად შეიძლება იყოს. მაგრამ როგორ შეიძლება ხალხს ასეთი ფიზიკური თვისება ჰქონდეს? მას არ გააჩნია დამოუკიდებელი სხეული და ორგანიზმი. ამიტომ წარმოიშობა კითხვა, საერთოდ არსებობს თუ არა ზეინდივიდუალური წარმონაქმნი ხალხი. ინდივიდების ერთობაზე დაფუძნებული ასეთი კონსტრუქცია როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს და ხასიათდებოდეს?<sup>235</sup>

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ მეტაფორული თვალსაზრისით უნდა იქნას გაგებული და სახელმწიფოს ფუნქციონირების და მისი სტრუქტურის თანაბრად უნდა იქნას დაყენებული. ხელი უნდა შეეწყოს სახელმწიფოს ფუნქციონირების დაცვას და არ უნდა შეექმნას საფრთხე. მონესრიგებული და მშვიდობიანი საზოგადოებრივი თანაცხოვრება მოითხოვს სოციალურ სტრუქტურას და კომუნიკაციის ველს, რომლებიც ცალკეულ პირთა თავისუფალი განვითარების ძირითად პირობებს მიეკუთვნება.

<sup>233</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 153.

<sup>234</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 153, Fuss. 550.

<sup>235</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 153.

თუმცა, საზოგადოების ფუნქციონირების უნარი ისე როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობა საკუთრივ, არის ბევრად უფრო ბუნდოვანი. გარდა ამისა, ვინ წყვეტს, სახელმწიფოს ფუნქციონირების უნარი რის მიხედვითაა შემოფარგლული და ამდენად „როდისაა ხალხი ავად“? პასუხი ყოველთვის დამოკიდებულია განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე და ამიტომ დიდად არის იდეოლოგიზებული. ამ დასაბუთებით ბევრი ქმედება პენალიზებულია იმის მიხედვით, თუ რამდენად მავნეა (საზიანოა) იგი საზოგადოებრივი თანაცხოვრებისთვის. მოსახლეობის ჯანმრთელობის ინტერპრეტაცია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა საზოგადოებრივი თვალსაზრისის სახელმწიფოს და ადამიანების საქროებებთან დაკავშირებით. ნაციონალ-სოციალისტების დროში „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ ცნება ემსახურებოდა ეუგენური და რასისტული ნარმოდგენების რეალიზებას, რაც გვასწავლის, როგორ პრობლემატურია ამ სამართლებრივ სიკეთეზე დაყრდნობა<sup>236</sup>.

შემოაღნიშნულ იდეოლოგიურ განწყობას აჩვენებს განსაკუთრებით ლეგალურ ნარკოტიკთან, ალკოჰოლთან და ნიკოტინთან დამოკიდებულების შედარება. დასახელებულ ნივთიერებებს შეუძლიათ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების და მათზე დამოკიდებულების გამონვევა და ამიტომ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივად და კულტურულად მეტი აღიარება მოიპოვა, ამგვარად სრული აკრძალვა მათზე არ ვრცელდება<sup>237</sup>.

მეორე მხრივ, სამართლებრივ სიკეთედ ნარკოტიკული საშუალებით გამონვეული აბსტინენციისგან დაცვის გამოცხადებისას განსაზღვრული მორალური ნარმოდგენები საზოგადოდ მოქმედად იქნება განმარტებული. სახელმწიფომ არ შეიძლება განსაზღვრული მორალური ნარმოდგენები გაატაროს, თუ ცხადად არ არსებობს ნამდვილი სამართლებრივი სიკეთე. ამგვარი რამ (იგულისხმება სახელმწიფოს მიერ მორალური ნარმოდგენების გატარება ნამდვილი სიკეთის გარეშე) ლიბერალურ სახელმწიფოში პოლიტიკურად დაუშვებელია<sup>238</sup>.

---

<sup>236</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 154.

<sup>237</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 154.

<sup>238</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 154.

## 11. არარეალური აბსტრაქტულობის დაცვის ობიექტი როგორც სამართლებრივი სიკეთე?

კ. როქსინის თვალსაზრისით, არარეალური აბსტრაქტულობის დაცვის ობიექტი არ არის სამართლებრივი სიკეთე (Schutzobjekte von ungreifbarer Abstraktheit sind keine Rechtsgüter). იგი არალეგიტიმურად თვლის აბსტრაქცია სამართლებრივ სიკეთედ განიმარტოს, როცა სინამდვილეში, რეალურად საქმე ეხება ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებს. ეს პირველ რიგში ეხება „მოსახლეობის ჯანმრთელობას“ როგორც ნარკოტიკული დანაშაულებისგან დასაცავ სიკეთეს. ვინაიდან „ხალხს“ რეალურად სხეული არ გააჩნია, ამდენად „მოსახლეობის ჯანმრთელობა“ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით არ შეიძლება არსებობდეს. ფიქტიური სამართლებრივი სიკეთის დაცვისკენ შეუძლებელია სასჯელის მუქარა იყოს მიმართული. რეალურად შეიძლება იგულისხმებოდეს მოსახლეობას მიკუთვნებული მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობა. მაგრამ იგი შეიძლება დაცულ იქნას მხოლოდ საკუთარი თავისთვის არადასჯადი საფრთხის შექმნის თვალთახედვების გათვალისწინებით. დასჯადობის დამატებითი საფუძველი „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ დაცვიდან არ გამოიყვანება<sup>239</sup>. მსგავს არამკაფიო სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევა „საჯარო მშვიდობა“<sup>240</sup>.

სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მხედველობაში მისაღები ერთადერთი სამართლებრივი სიკეთე შეიძლება იყოს მხოლოდ ინდივიდუალური ჯანმრთელობა, ვინაიდან მოსახლეობის ჯანმრთელობა იკუმშება (ეფუძნება) მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობად და ამიტომ საბოლოო ეფექტი არის უშინაარსო („inhaltlos“). მრავალი ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობის ჯამი არ შეიძლება ერთ უნივერსალურ სიკეთედ გამოცხადდეს, ვინაიდან არ არსებობს ამ სამართლებრივი სიკეთის მატარებელი. სხვაგვარი გაგებით, „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ უნივერსალური სიკეთის დაცვა თვითმიზნად ცხადდება და ამდენად რომელიღაც საზოგადოებრივი მდგომარეობის დაცვა ხდება, რაც ვლინდება იმაში, რომ ნარკოდამოკიდებულება უპირველესად და უმთავრესად აზიანებს მომხმარებელს და აქედან გამომდინარე საზოგადოებაზე ახდენს გავლენას. მოცემულ შემთხვევაში უნივერსალური სამართლებრივი სიკეთის კონსტრუქცია არა მხოლოდ არასააქიროა, არამედ დაუშვებელიც, ვინაიდან უნივერსალური სიკეთის ხელყოფა მაშინაც იქნებოდა სახეზე, როცა ინდივიდუ-

<sup>239</sup> Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006, S. 28, §2 Rn. 46.

<sup>240</sup> Roxin C., ebenda, S. 28, §2 Rn. 47.

ალური სიკეთის ხელყოფა სრულადაც არ არის წარმოდგენილი. ლიბერალური სახელმწიფოს კონცეფციის შესაბამისად, სახელმწიფოს სურს ლეგიტიმაცია პიროვნებისგან დამოუკიდებლად, თუმცა უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე უფლებამოსილებას იძენს, როცა იგი ცალკეულ პირთა არსებობის საჭიროებებისთვის არის სარგებლის მომტანი, მაშასადამე, როცა ინდივიდუალურ სიკეთეებს ემსახურებიან. „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ სამართლებრივ სიკეთეს არ შეუძლია ლეგიტიმური არსებობის მოთხოვნა სახელმწიფოს იმ გაგების მიხედვით, რომლის შესაბამისად, „სახელმწიფო არსებობს ადამიანებისთვის და არა ადამიანები სახელმწიფოსთვის“<sup>241</sup>.

## 12. მარისუანის მოხმარების დასჯადობის შესაბამისობა პროპორციულობის პრინციპთან

პროპორციულობის პრინციპი, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს, 4 ელემენტისგან შედგება. ესენია: ლეგიტიმური მიზანი, გამოსადეგობა, აუცილებლობა და პროპორციულობა<sup>242</sup>. შესაბამისად, როდესაც საუბარია ამა თუ იმ ქმედების დასჯადობის პროპორციულობის პრინციპთან შესაბამისობაზე, უნდა შემოწმდეს ოთხივე კრიტერიუმი ანუ რამდენად შეესაბამება ქმედების აკრძალვა იმ ოთხივე კრიტერიუმს, რომლისგანაც აღნიშნული პრინციპი შედგება.

კანაფთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად შეფასება მოითხოვს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებას: დასახული მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალების ვარგისიანობა და აუცილებლობა, ცალკეულ პირებთან და საზოგადოებასთან მიმართებით არსებული საფრთხის პროგნოზი<sup>243</sup>.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებაში ჩარევის სიმძიმისა და მისი გამამართლებელი მიზეზების აუცილებლობის ერთად შემოწმება უნდა შეფასდეს ადრესატისთვის აკრძალვის აუცილებლობის ზღვრად<sup>244</sup>. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სასჯელის მუქარაა მიმართული პირადი მოხმარებისთვის

<sup>241</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 158.

<sup>242</sup> უფრო ვრცლად იხ. *ცეტიშვილი თ.*, სასჯელის პროპორციულობა, წიგნში: თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016, გვ. 499 და მომდევნო.

<sup>243</sup> BVerfGE 90, 145-146.

<sup>244</sup> BVerfGE 90, 146.

კანაფის პროდუქტების მცირე მოცულობით დამზადებისთვის, რომელიც საფრთხეს არ უქმნის სხვათა სიკეთეს. თუმცა, ამით არ ირღვევა არათანაზომიერი ჩარევის აკრძალვა, ვინაიდან გერმანული კანონმდებლობა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ პირი სასჯელს განარიდოს. აღნიშნულ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება როგორც ინდივიდუალურად უმართლობის, ისე ბრალის მოცულობა<sup>245</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, თანასწორობის პრინციპი არ მოითხოვს, პოტენციურად ერთნაირად საზიანო შედეგების გამომწვევი ნარკოტიკები ერთნაირად იყოს დაშვებული<sup>246</sup>.

როგორც უკვე ითქვა, პროპორციულობის პრინციპის პირველი ელემენტია ლეგიტიმური მიზანი, რაც იმას გულისხმობს, რომ უნდა გაირკვეს აკრძალვა თუ რა მიზანს ემსახურება. ქმედების სამართლებრივი აკრძალვა, როგორც წესი, სამართლებრივი სიკეთის დაცვას ემსახურება, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელი სიკეთის დაცვას ისახავს მიზნად. ვინაიდან ზემოთ აღნიშნა მარიხუანის მოხმარებისგან დასაცავ სიკეთეზე, ამ საკითხზე აქ არ იქნება ვრცელი მსჯელობა.

## 12.1. გამოსადეგობა

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნარკოტიკული საშუალების მოხმარების აკრძალვა მიჩნეულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხოლოდ ვარგის საშუალებად<sup>247</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეფასების მიხედვით, ნარკოტიკების ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების აკრძალვით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას ხელი კი არ შეეშლება, არამედ ხელი შეეწყობა. თუმცა, ის რაც ხელშემწყობია კონკრეტული შედეგის გამოსაწვევად, არ ნიშნავს, რომ აუცილებელიც არის. იმისთვის, რომ კონკრეტული ქმედების აკრძალვა თანაზომიერ საშუალებად ჩაითვალოს, იგი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არა მხოლოდ ვარგისი, არამედ აუცილებელიც უნდა იყოს.

---

<sup>245</sup> BVerfGE 90, 146.

<sup>246</sup> BVerfGE 90, 146.

<sup>247</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 42.

## 12.2. აუცილებლობა

ვინაიდან ქმედების აკრძალვის და დასჯადობის პროპორციულობის შესაფასებლად, აუცილებელია აკრძალვის, სასჯელის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებლობის შემოწმება, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საკითხზეც იმსჯელა. სასამართლომ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დადგენისგან გამიჯნა იმის გარკვევა, იქნებოდა თუ არა საუკეთესო ან უფრო მეტად მიზანშეწონილი კონკრეტული ღონისძიების გამოყენება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად<sup>248</sup>, რაც იმას გულისხმობს, რომ სასამართლოს მოცემული შეფასებით, ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ ნიშნავს მის უფრო მეტად „მიზანშეწონილობას“. სასამართლომ თუ დაადგინა ღონისძიების აუცილებლობა ეს არ უდრის სასამართლოს მიერ იმის დადგენას, რომ ეს ღონისძიება მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. სასამართლოს ასეთი შეფასება საკამათოა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, შეზღუდვა შეიძლება იყოს აუცილებელი, მაგრამ შეფასდეს არათანაზომიერად. თანაზომიერება მოითხოვს არა მხოლოდ შეზღუდვის, არამედ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად შერჩეული საშუალების აუცილებლობასაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთმანეთისგან მიჯნავენ შეზღუდვის აუცილებლობას და გამოყენებული საშუალების აუცილებლობას.<sup>249</sup> თუ პროპორციულობის დადგენა არა მხოლოდ შეზღუდვის, არამედ შერჩეული საშუალების აუცილებლობასაც გულისხმობს, ეს შეიძლება ნიშნავდეს სასამართლოს ვალდებულებას დაადგინოს არის თუ არა კონკრეტული ღონისძიება სხვა ღონისძიებაზე მეტად მიზანშეწონილი.

განსახილველ საკითხზე მეტად საყურადღებოდ მსჯელობს ვ. მენაბდე, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას კრიტიკულად აანალიზებს და აღნიშნავს, რომ თუ ლეგიტიმური საჯარო მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი ინსტრუმენტის არჩევანში სახელმწიფო თავისუფალია და სრული დისკრეცია აქვს გააკეთოს არჩევანი მიზნის მისაღწევად რომელი საშუალებაა „უკეთესი“ ან უფრო „მიზანშეწონილი“, მაშინ „აუცილებლობის“ საფეხურზე შესაფასებელი არაფერი რჩება. იმის შესწავლა, რამდენად არსებობს იმავე მიზნის მიღწევის უფრო მსუბუქი საშუალება, თავისთავად გულისხმობს იმის დადგენა-

<sup>248</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 27.

<sup>249</sup> ზოიძე ბ., ნიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 268.

საც, არის თუ არა კონკრეტული საშუალება „უკეთესი“, უფრო „მიზანშეწონილი“ ანუ აუცილებელი<sup>250</sup>.

ვ. მენაბდე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არათანმიმდევრული მსჯელობის შემდეგ ასპექტებზეც ამახვილებს ყურადღებას: კერძოდ, სასამართლო ერთი მხრივ, საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის ზიანის შემცირების პრევენციულ მექანიზმებს შორის სწორი ბალანსის უზრუნველყოფაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სახელმწიფომ ამ მექანიზმებიდან ის უნდა გამოიყენოს, რომელიც „შედეგზე“, „ზიანის შემცირებაზე“ და „პრაქტიკულ ეფექტზე იქნება ორიენტირებული“, ხოლო მეორე მხრივ, რეპრესიული და ზრუნვაზე ორიენტირებული პილიტიკიდან „უკეთესი“ ან უფრო „მიზანშეწონილი“ მექანიზმის შერჩევა სახელმწიფოს ფუნქციად არ მიიჩნია<sup>251</sup>.

როდესაც საუბარია კონკრეტული ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე, გასათვალისწინებელია, რომ ერთი მხრივ, აუცილებლობა მოითხოვს იმის შემონახვას, თუ რომელი საშუალებით უფრო მეტად მიიღწევა მიზანი, ხოლო მეორე მხრივ, იგი არ მოითხოვს იმას, რომ გამოყენებული საშუალება იყოს აგრეთვე ოპტიმალური<sup>252</sup> და საუკეთესო, რამეთუ პროპორციულობა შეფასების გარკვეულ ფარგლებს და ალტერნატიულ საშუალებებსაც გულისხმობს. თანაზომიერი ალტერნატიული საშუალებების არსებობა კი იმას ნიშნავს, რომ ყველა საშუალება ვერ იქნება ერთნაირად ეფექტური. თუმცა, აქ ნაკლებად მოიაზრება ალტერნატივა დასჯასა და არდასჯას შორის, ვინაიდან დამსჯელ და არასადასჯელო ღონისძიებებს შორის დიდი სხვაობაა და ვერ ჩაითვლებიან თანაზომიერ ალტერნატივებად.

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობასთან დაკავშირებით მსჯელობა ორი მიმართულებით განავითარა: ა) რამდენად აუცილებელია მარიხუანის მოხმარების აკრძალვა საკუთრივ მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებისთვის და, ბ) რამდენად აუცილებელია იგი საზოგადოების ჯანმრთელობის დასაცავად<sup>253</sup>.

<sup>250</sup> მენაბდე ვ., რა მიმართულებებს აძლევს ნარკოპოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე, გვ. 7. ხელმისაწვდომია ელექტრონულად: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/rule\\_of\\_law/marijuana\\_court\\_decision\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/marijuana_court_decision_analyses.pdf)

<sup>251</sup> მენაბდე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 7-8.

<sup>252</sup> Grabitz E., Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Archiv des öffentlichen Rechts, 98. Band, 1973, S. 576.

<sup>253</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 28.

### 12.3. მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესიდან გამომდინარე

საკონსტიტუციო სასამართლო როდესაც მსჯელობს მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობაზე, ერთი მხრივ, უთითებს საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარებისთვის მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე<sup>254</sup>, ხოლო მეორე მხრივ, გაუმართლებლად მიიჩნევს ჩარევას, როდესაც საქმე ეხება საკუთარი თავისთვის ზიანის მიმყენებელი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებას. სასამართლოს პოზიცია გამომდინარეობს ადამიანის ავტონომიურობის, მისი ნებაყოფლობითი არჩევანის, ცხოვრების წესის მიმართ სახელმწიფოს პატივისცემის ვალდებულებიდან<sup>255</sup>.

სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისთვის ხელის შეწყობის და ადამიანთა ავტონომიურობის მიმართ პატივისცემის ვალდებულებები. ის, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას, სახელმწიფოს არ ანიჭებს უფლებას, შეიჭრას ადამიანის ავტონომიურობაში ისე, რომ დასჯადად გამოაცხადოს საკუთარი თავისთვის ზიანის მიმყენებელი ქმედება, როცა იგი არ ქმნის სხვათა უფლებების დარღვევის საფრთხეს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ჯანმრთელობის დაზიანების იმ ხარისხზე, რომელსაც მარიხუანის მოხმარება იწვევს. ვინაიდან მარუხუანის მოხმარება სერიოზულად არ აზიანებს მომხმარებლის ჯანმრთელობას, სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა მარიხუანის აკრძალვით<sup>256</sup>.

საკუთარი თავისთვის ზიანის მიმყენებელი ქმედება რომ აკრძალული იყოს, სახელმწიფოს მოუწევდა თვითმკვლელობის მცდელობის დასჯადად გამოცხადება. სადაც არ ისჯება თვითმკვლელობის მცდელობა ან საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება, ალოგიკურია, ასეთი ქმედება დასჯადად ცხადდებოდეს მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში. მარიხუანის მოხმარებაც ვნებს მომხმარებლის ჯანმრთელობას, მაგრამ თუ ზოგადად თვითდაზიანება არ ისჯება, გაუმართლებელია, მარიხუანით თვითდაზიანება იქნას გამონაკლისად მიჩნეული.

თვითდაზიანება მხოლოდ მაშინ ცხადდება დანაშაულად, როდესაც

---

<sup>254</sup> პუნქტი 29.

<sup>255</sup> პუნქტი 30.

<sup>256</sup> პუნქტი 32.



იგი მიმართულია სხვა სიკეთის წინააღმდეგ, რომლის მატარებელიც მოქმედი პირი არ არის. მაგალითად, თვითდაზიანება სამხედრო ვალდებულებისაგან თავის არიდების მიზნით.

#### **12.4. მარიხუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე**

ზემოთაც იყო აღნიშნული, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მარიხუანის მოხმარება ზრდის მარიხუანაზე მოთხოვნას, რაც ხელს უწყობს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას და ამ გზით ზრდის რისკებს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის. თუმცა, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მარიხუანის მოხმარების ცალკეული შემთხვევიდან მომდინარე საფრთხეზე და თვლის, რომ მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური შემთხვევიდან მომდინარე საფრთხის ხარისხთან შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიმართ გამოყენებული რეაგირების ღონისძიება. მაშასადამე, მარიხუანის მოხმარების აკრძალვის კონსტიტუციურობის შეფასება მოითხოვს მარიხუანის მოხმარების ინდივიდუალური ფაქტიდან გამომდინარე საფრთხის გათვალისწინებას<sup>257</sup>.

მარიხუანის მოხმარებით საზოგადოების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო ერთმანეთს ადარებს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებას, შეძენას, დამზადებას და გასაღებას, იმ საფრთხესაც, რომელსაც დასახელებული ქმედებები ქმნიან. სასამართლოს პოზიციით, მარიხუანის მოხმარება, სხვა ქმედებათაგან განსხვავებით, თეორიულადაც გამორიცხავს სხვათა ჯანმრთელობისთვის რეალური და უშუალო საფრთხის შექმნას. ასეთი საფრთხე ექმნება მხოლოდ მომხმარებელთა (და არა სხვათა) ჯანმრთელობას. ნარკოტიკული საშუალების, კერძოდ, მარიხუანის მოხმარება იმიტომ არ ქმნის უშუალო საფრთხეს სხვა პირთა ჯანმრთელობისთვის, რომ იგი არ წარმოშობს მისი გასაღების ჰიპოთეტურ რისკსაც კი<sup>258</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მარიხუანის მოხმარება სხვათა ჯანმრთელობისთვის საფრთხეს ქმნის მხოლოდ განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარების დროს. მაგალითად, სკოლებში, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში ან მათი თანდასწრებით,

---

<sup>257</sup> პუნქტი 33.

<sup>258</sup> პუნქტი 34.

რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მოზარდზე, გააღვიძოს მასში მარიახუანის მიმართ ინტერესი და მოახდინოს მარიახუანის მოხმარების ერთგვარი პროვოცირება<sup>259</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია მარიახუანის მოხმარებით საზოგადოების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით არ არის თანმიმდევრული, ვინაიდან ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ მარიახუანის მოხმარება მასზე საბაზრო მოთხოვნას ზრდის და ამიტომ მოსახლეობის ჯანმრთელობისთვისაც ქმნის რისკებს<sup>260</sup>, ხოლო მეორე მხრივ, მისივე პოზიციის სანინააღმდეგოდ, გამორიცხავს მარიახუანის მოხმარებით საზოგადოების ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნას<sup>261</sup>. მართალია, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მარიახუანის მოხმარებით სხვისი ჯანმრთელობისთვის უშუალო და რეალური საფრთხის შექმნის შეუძლებლობაზე, მაგრამ ასეთ საფრთხეს არც ნარკოტიკული საშუალების გასაღება ქმნის. მარიახუანით სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება ან მისთვის უშუალო საფრთხის შექმნა შეუძლებელია. გასაღებულმა ნარკოტიკულმა საშუალებამ სხვისი ჯანმრთელობა რომ დააზიანოს ან უშუალო საფრთხე რომ შექმნას, გასაღებული ნარკოტიკული საშუალება მომხმარებელმა თვითონ უნდა მოიხმაროს ან ადგილი უნდა ჰქონდეს სხვის მიმართ იძულების განხორციელებას ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით. ამიტომაც მიიჩნევა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ გასაღება საზოგადოების ჯანმრთელობისთვის აბსტრაქტული საფრთხის შემქმნელ დელიქტად. აღნიშნული ქმედება რომ უშუალო და რეალურ საფრთხეს ქმნიდეს იგი არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ საფრთხის დელიქტად იქნებოდა მიჩნეული.

## **12.5. მარიახუანის მოხმარების აკრძალვის აუცილებლობა დემოკრატიული საზოგადოების საჭიროებებთან მიმართებით**

სასამართლო მარიახუანის მოხმარების ზოგად აკრძალვას ადამიანის პიროვნული ავტონომიით დაცულ სფეროში არაპროპორციულ ჩარევად მიიჩნევს, რომელიც არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად<sup>262</sup>.

სამართლებრივ სახელმწიფოში კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა დასაშვებია, თუ ეს გამომ-

---

<sup>259</sup> პუნქტი 35.

<sup>260</sup> პუნქტი 33.

<sup>261</sup> პუნქტი 34.

<sup>262</sup> პუნქტი 41.

დინარეობს საზოგადოებრივი საქმიანობებიდან, მაგრამ თუ შეზღუდვა არ არის განპირობებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევი საზოგადოებრივი აუცილებლობით, იგი ხდება არათანაზომიერი, შესაბამისად, არაკონსტიტუციური.

## 12.6. მარიხუანის მოხმარების აკრძალვა როგორც სხვა სამართალდარღვევათა პრევენციის გამოსაღვეი და აუცილებელი საშუალება?

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო გამორიცხავს მარიხუანის მოხმარების აკრძალვის მიზანშეწონილობას მომხმარებლის ჯანმრთელობის დასაცავად, მაგრამ ჩნდება კითხვა, ხომ არ არის ასეთი აკრძალვა გამართლებული სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილების ანუ პრევენციის მიზნით? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რამდენად არსებობს უშუალო კავშირი მარიხუანის მოხმარებასა და მომხმარებლის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას შორის?

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარების აკრძალვა არ მიიჩნია სხვა სამართალდარღვევათა, მათ შორის დანაშაულის, პრევენციისთვის აუცილებელ საშუალებად<sup>263</sup>, მიუხედავად იმისა, რომ მარიხუანის მოხმარება ზრდის ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვს. სასამართლოს შეფასებით, ასეთ საფრთხეს მნიშვნელოვნად ზრდის ასევე ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომობილის მართვაც. თუმცა, ამ ქმედების საშიშროება ვერ იქნება გამოყენებული მარიხუანის მოხმარების სამართალდარღვევად გამოცხადების გამამართლებელ გარემოებად<sup>264</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარებასა და ბრუტალურ, საზოგადოებისათვის საზიანო ქცევებს შორის პირდაპირი და გარდაუვალი კავშირის არსებობა გამორიცხა<sup>265</sup>. სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, არ არსებობს მეცნიერულ კვლევებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დამყარებული მტკიცებულება, რაც სასამართლოს მისცემდა დასკვნის შესაძლებლობას, რომ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა ქმნის მომხმარებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მომეტებულ საფრთხეს<sup>266</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსგან განსხვავებულ

<sup>263</sup> პუნქტი 23.

<sup>264</sup> პუნქტი 21.

<sup>265</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 34.

<sup>266</sup> პუნქტი 36.

მოსაზრებას გამოთქვამს ზოგიერთი ავტორი, როცა მიუთითებს, რომ ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია არა მხოლოდ ხელს შეუწყობს ნარკოტიკების მოხმარებელთა რაოდენობის ზრდას, არამედ ნეგატიურად იმოქმედებს ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროზე (საზოგადოებრივი წესრიგი, სატრანსპორტო მოძრაობა, საყოფაცხოვრებო სფერო და სხვა), მოიმატებს ძალადობა, სერიოზული საფრთხე დაემუქრება მოსახლეობის ჯანმრთელობას და სხვა<sup>267</sup>.

საყურადღებოა სასამართლოს პოზიცია მარიხუანის მოხმარების და ალკოჰოლური სასმელით თრობის შედეგების შედარებასთან დაკავშირებით. თრობა შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ალკოჰოლური, ისე ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედებით. მხოლოდ ალკოჰოლური სასმელით თრობა მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარეშე ვერ იქნება სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად მიჩნეული. მართალია, ადმინისტრაციული სამართალი მთვრალ მდგომარეობაში ა/მანქანის მართვას გადაცდომად აკვალიფიცირებს, მაგრამ იმისთვის, რომ ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ა/მანქანის მართვის უსაფრთხოების წესის დარღვევა სატრანსპორტო დანაშაულის სახით სისხლის-სამართლებრივად დაისაჯოს, აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევა, სხვისი ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის სახით. თუ ასეთი შედეგები არ გამოიწვია ალკოჰოლური სასმელით თრობამ, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. მაშინ, როცა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ა/მანქანის მართვა შესაბამისი შედეგის გარეშე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მართვა სისხლის-სამართლებრივად დასჯადია 2018 წლის 30 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რაც წარმოშობს კითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იჩენს კანონმდებელი არათანმიმდევრულ პოლიტიკას და ა/მანქანის მართვა ერთ შემთხვევაში ალკოჰოლური ნივთიერების, ხოლო მეორე შემთხვევაში ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, რატომ კვალიფიცირდება განსხვავებულად.

მარიხუანის მოხმარება და ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა მაშინ მიიჩნევა საფრთხის შემქმნელად საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობისთვის, თუ თრობის ქვეშ მყოფი პირი ა/მანქანის მართვას განახორციელებს. ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თრობის თუ რა შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მთავარია, რომ ა/მანქანის მართვა ხორციელდება არაფხიზელ მდგომარეობაში. აღნიშნუ-

<sup>267</sup> ჯანაშია ჯ., XXI საუკუნის გამოწვევა, თბ., 2002, გვ. 128.

ლი სამართალდარღვევისთვის საკმარისი არ არის, რომ პირი არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფება. აუცილებელია დამატებით კონკრეტული ქმედების განხორციელება დასახელებული პირის მიერ. ეს არის ა/მანქანის მართვა სიმთვრალეში, რაც საზოგადოებას აბსტრაქტულ საფრთხეს უქმნის და აუცილებელი არ არის კონკრეტული პირისთვის რეალური საფრთხის შექმნა ან სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამოწვევა.

## 12.7. მარხუანის მოხმარების აკრძალვის პროპორციულობა ვინრო გაგებით

პროპორციულობის პრინციპის მე-4 ელემენტს წარმოადგენს თანაზომიერება მიზანსა და საშუალებას შორის, რაც მოითხოვს სამართლებრივ სიკეთეთა შეპირისპირებას<sup>268</sup>, იმის დადგენას „კოლიდირებული სიკეთეებიდან რომელი მათგანი პრევალირებს, ის, რომლის დაცვასაც სახელმწიფო ცდილობს, თუ ის, რომელზეც მოსარჩელე აპელირებს“<sup>269</sup>. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ ერთმანეთს უნდა შედარდეს დასაცავი სიკეთე და ის სიკეთე, რომლის შეზღუდვაც ხდება კონკრეტული სიკეთის დასაცავად. სასჯელის გამოყენება და, ზოგადად, აკრძალვა უკავშირდება უფლების შეზღუდვას ანუ სასჯელი, ისევე როგორც ზოგადად, აკრძალვა არის „სიკეთის შეზღუდვისკენ“ მიმართული ღონისძიება. მაგრამ ეს ის სიკეთეა, რომელიც აუცილებლად უნდა შეიზღუდოს იმისთვის, რომ დაცული იქნას სხვათა სიკეთე. რამდენადაც სასჯელი, აკრძალვა კონკრეტული სიკეთის შეზღუდვას იწვევს, იგი უნდა იყოს იმ საფრთხეების პროპორციული, რომელსაც ქმედება ქმნის<sup>270</sup>.

პროპორციულობის პრინციპი უდევს საფუძვლად არა მხოლოდ სანქციის თანაზომიერების შეფასებას, არამედ ქმედების მართლზომიერების დადგენასაც. ამ მხრივ გასათვალისწინებელია მართლზომიერი უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოგერიება, რომელიც კანონმ-

---

<sup>268</sup> ხუბუა გ., ნიგში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 350; იზორია ლ., ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბ., 2002, გვ. 46; შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები, კრებულში: ლეკვეიშვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011, გვ. 122; გაბრიჩიძე გ., თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კრებულში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006, გვ. 72.

<sup>269</sup> მენაბდე ე., დასახ. ნაშრ., გვ. 12.

<sup>270</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 54.

დებლობით არ ითვალისწინებს სამართლებრივ სიკეთეთა რანგირებას, მაგრამ მიზნის და საშუალების თანაფარდობის საკითხი მნიშვნელობას იძენს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების ფარგლების დასაადგენადაც.

რაც შეეხება აკრძალვის პროპორციულობას ვინრო გაგებით, იგი მოითხოვს იმის გათვალისწინებას, თუ რამდენად გამართლებული და გონივრულია ადამიანის (კონკრეტული, განსაზღვრული) უფლების შეზღუდვა იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მომდინარეობს აკრძალული ქმედებიდან. მაგრამ, იმისთვის რომ აკრძალვასა (უფლების შეზღუდვას) და აკრძალვით დასაცავ სიკეთეს შორის თანაფარდობის მიხედვით აკრძალვის პროპორციულობა განისაზღვროს, აუცილებელია თვით ის სიკეთე მიიჩნეოდეს სამართლებრივად დასაცავ სიკეთედ, რომლის დაცვისკენაც არის მიმართული აკრძალვა. ასეთი სიკეთის გარეშე აკრძალვა ნიშნავს აკრძალვას მიზნის გარეშე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, აკრძალვის გამოცხადებას თვითმიზნად. თუ დასაცავ სიკეთეს მარიხუანის მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა არ წარმოადგენს და სამართალი იცავს სხვის სიკეთეს მოქმედი პირის ქმედებისგან, გამოდის, რომ აკრძალვის მიზანი მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა არ არის და ამდენად შეფასების საგანს არ შეიძლება წარმოადგენდეს მარიხუანის მოხმარებით საფრთხის შექმნა თვით მომხმარებლისთვის. თუ მომხმარებლისთვის საფრთხის შექმნის პრევენცია მარიხუანის მოხმარების აკრძალვის უშუალო მიზნად ვერ ჩაითვლება, ეს იმას ნიშნავს, რომ აკრძალვის ლეგიტიმურობის გასამართლებლად იგი ვერ გამოდგება. აკრძალვა მაშინ არის პროპორციული, როცა იგი შესაბამის მიზანს ემსახურება.

მართალია, მარიხუანის მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიჩნეულია ლეგიტიმურ მიზნად<sup>271</sup>, მაგრამ როდესაც საუბარია პროპორციულობაზე ვინრო გაგებით, იგულისხმება არა ისეთი მიზანი, რომელიც უბრალოდ მიღწევის ღირსია, არამედ ისეთი, რომელიც ამართლებს კონკრეტულ ღონისძიებას, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას.

მარიხუანის მოხმარების აკრძალვის გასამართლებლად ვერც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზანი ვერ დასახელდება, თუ დასახელებულ სიკეთეს ისედაც არ უქმნის საფრთხეს მარიხუანის მოხმარება. იქ სადაც აკრძალვის ადეკვატური მიზანი ან მიზნის შესაბამისი საშუალება არ არსებობს, მიზნის და საშუალების თანაზომიერებაზე საუბარიც შეუძლებელი ხდება.

---

<sup>271</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 27.

მარიხუანის მოხმარების აკრძალვის, როგორც საშუალების და ამ საშუალებით მისაღწევ შესაძლო ლეგიტიმურ მიზანს შორის ურთიერთ-მიმართებაზე საყურადღებოდ მსჯელობს ვ. მენაბდე, რომელიც აღნიშნავს, რომ თუ მარიხუანის მოხმარება პიროვნების განვითარების უფლების ფარგლებში მოხმარებლის უფლებად განიხილება, მარიხუანის მოხმარების დროს უფლების შეზღუდვის „ლეგიტიმური საჯარო მიზანი“ არ არსებობს და შესაბამისად, შეცდომაა საშუალების გამოსადეგობაზე მსჯელობა<sup>272</sup>, ვინაიდან საშუალების გამოსადეგობა უნდა დადგინდეს „ლეგიტიმურ საჯარო მიზანთან“ მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, მარიხუანის არათუ პირველადი, არამედ მეორადი მოხმარებაც კი არ ქმნის სხვათა უფლებების დარღვევის მომეტებულ საფრთხეს, რაც მის აკრძალვას და დასჯას გაამართლებდა<sup>273</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლომ ქმედების კრიმინალიზაციის საფუძვლად დაასახელა მისი მომეტებული სოციალური საშიშროება. ასეთად მოიაზრება ისეთი ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებს სხვა პირს ან საზოგადოებრივ, სამართლებრივად დაცულ სიკეთეს<sup>274</sup>. მარიხუანის მოხმარების აკრძალვის მიზანშეწონილობა საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიცილა აღნიშნულ ქმედებაში ასეთი საშიშროების არარსებობის საფუძვლით. სასამართლოს მიერ ქმედების საშიშროებასა და მის ხარისხზე ყურადღების გამახვილება მეტად საყურადღებოა, ვინაიდან ქმედების საშიშროება არის მართლწინააღმდეგობის, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი ნიშნის მატერიალური მხარე, ხოლო მისი ხარისხი ქმედების რეალური საშიშროების და მისი დასჯადობის აუცილებლობის მაჩვენებელი, რაზეც მეტყველებს საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც საუბარია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოიცილებაზე, თუ სახეზე არ არის ქმედების საშიშროების ის ხარისხი, რომელიც საჭიროს ხდის ქმედების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას. სასამართლოს მიერ ქმედების მომეტებულ საშიშროებაზე ხაზგასმაც შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების კონცეფციას ეფუძნება. ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯად აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მაშინ ცხადდება, როცა იგი მომეტებულ სოციალურ საშიშროებას შეიცავს. მართალია, ეს საფრთხე არ არის კონკრეტული, მაგრამ შეიცავს გენერალურ საშიშროებას.

<sup>272</sup> მენაბდე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 10.

<sup>273</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 56.

<sup>274</sup> პუნქტი 46.

### 13. მარისუანა როგორც კარიბჭე უფრო მძიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე გადასასვლელად?

როდესაც საუბარია მარისუანის მოხმარების აკრძალვის მიზანშეწონილობაზე, სხვა კითხვებთან ერთად, ერთ-ერთ კითხვად იბადება, ხომ არ არის ასეთი აკრძალვა გამართლებული იმისთვის, რომ მოხდეს მომხმარებლის მიერ უფრო მძიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე გადასვლის პრევენცია?

საკონსტიტუციო სასამართლო უარყოფს იმ აზრს, რომ მარისუანის მოხმარების დასჯადობით მოხდება უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენცია. მაშასადამე, მარისუანის მოხმარების აკრძალვა არ მიიჩნია უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის გამოსადეგ საშუალებად<sup>275</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს მარისუანის ზოგიერთი მომხმარებლის მიერ შემდგომში უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას, თუმცა აღნიშნულის გამომწვევ მიზეზად არ მიიჩნევს უშუალოდ მარისუანას და მის დამახასიათებელ თვისებებს<sup>276</sup>. იურიდიულ ლიტერატურაშიც არის გამოთქმული თვალსაზრისი, რომ ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების სისტემატური მიღება არ იწვევს ტოლერანტობის ზრდას<sup>277</sup>.

ლიტერატურაში ზემოაღნიშნული შეხედულებებისგან განსხვავებული მოსაზრებაც არის გამოთქმული. ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, „მსუბუქი“ ნარკოტიკული საშუალების მიღება განიხილება „ძლიერ“ ნარკოტიკზე ავტომატურად გადასვლის საფუძვლად. ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი მიუთითებს რომ ნარკოტიკების მომხმარებელთა 90%-მა პროცენტმა ნარკოტიკების მოხმარების კარიერა მარისუანის მოხმარებით დაიწყო<sup>278</sup>, კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკების მიღება ახდენს უფრო ძლიერი ნარკოტიკების მიღებას<sup>279</sup>, მაგრამ როგორც ჩანს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული პოზიცია არ გაიზიარა, მიუხედავად იმისა, რომ „მსუბუქიდან“ „მძიმე“ ნარკოტიკზე გადასვლის შემთხვევები საკონსტიტუციო სასამართლოსაც არ გამოურიცხავს.

„მსუბუქიდან“ „ძლიერ“ ნარკოტიკზე გადასვლის ხელშემწყობ მიზეზებად კრიმინოლოგიაში სახელდება შემდეგი: 1) ძლიერ ნარკოტიკზე გადასვლის ფსიქოლოგიური ბარიერის მოხსნა; 2) შავ ბაზარზე „მძიმე“

<sup>275</sup> პუნქტი 41; ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 26.

<sup>276</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 39.

<sup>277</sup> თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004, გვ. 6.

<sup>278</sup> შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017, გვ. 171-172.

<sup>279</sup> ბეროზაშვილი ზ., ნარკობიზნესის ინდუსტრია, თბ., 2002, 54.



ნარკოტიკის შოვნის გაადვილება გამოცდილებიდან და უკვე არსებული კონტაქტებიდან გამომდინარე; 3) „მსუბუქი“ ნარკოტიკის მოხმარებით „ძლიერი“ ნარკოტიკის მოხმარების სტიმულირება<sup>280</sup>.

#### 14. მარიხუანის მოხმარებით მასზე შიშვევის გამოწვევის რისკის შექმნა

მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებულ მორიგ კითხვას ნარმოადგენს ის, თუ რამდენად ქმნის იგი მარიხუანაზე შეჩვევის და აბსტინენციის ჩამოყალიბების სერიოზულ რისკს? აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, აბსტინენციის მდგომარეობაში მყოფი პირებისგან ნარკოტიკული საშუალების მოპოვების მიზნით დანაშაულის ჩადენის საფრთხე დიდია. ნარკოტიკული შიმშილის დასაკმაყოფილებლად, ხშირად ნარკომომხმარებლები ირჩევენ მართლსაწინააღმდეგო გზას.

საკონსტიტუციო სასამართლოში სპეციალისტებმა და მონმეებმა დაადასტურეს, რომ მარიხუანის ერთჯერადი ან ხანმოკლე დროით მოხმარება მარიხუანაზე შეჩვევას არ იწვევს. შეჩვევა შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი დროის მანძილზე ჭარბი ოდენობით მოხმარებამ. შეჩვევა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ მარიხუანამ, არამედ ალკოჰოლურმა სასმელმაც, თუ ადგილი ექნება ხანგრძლივი პერიოდით და დიდი ოდენობით მოხმარებას. თუმცა, არსებული პრაქტიკა და გამოცდილება იმაზე მეტყველებს, რომ ალკოჰოლური სასმელი ძირითადად კულტურული ან გასართობი მიზნებისთვის გამოიყენება, ხოლო ალკოჰოლზე დამოკიდებულება მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში ვითარდება. ამდენად, როგორც ალკოჰოლის, ისე მარიხუანის შემთხვევაში მისი მოხმარებით აბსტინენციის ჩამოყალიბებაზე დასკვნა ჰიპოთეტურია<sup>281</sup>. ლიტერატურაშიც არის გამოთქმული მოსაზრება, რომ ძლიერი ფსიქოლოგიური დამოკიდებულება შეიძლება გამოიწვიოს კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკების მრავალჯერადმა მიღებამ<sup>282</sup>.

<sup>280</sup> შალიკაშვილი მ., დასახ. ნაშრ., გვ. 172.

<sup>281</sup> პუნქტი 37.

<sup>282</sup> ბეროზაშვილი ზ., ნარკობიზნესის ინდუსტრია, თბ., 2002, 54.

## 15. პატერნალიზმი და მისი საზღვრები

საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, სახელმწიფოს მიერ ადამიანის დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების გამო, წარმოადგენს პატერნალიზმის ისეთ გამოვლინებას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან. სახელმწიფოს მიერ ადამიანებისთვის იმის განსაზღვრა, თუ რისი ჭამა, დაღევა და მოწევა შეიძლება და ამ ქმედებისთვის სასჯელის დანესება, არის პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში ისეთი ჩარევა, რომელიც დასაშვებია მხოლოდ საჯარო (და არა პირადი) ინტერესების დასაცავად. ადამიანის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა მაშინ მიიჩნევა დასაშვებად, როცა მის მიერ განხორციელებული არარაციონალური ქმედება განსაზღვრულ სიმწვავეს აღწევს და სხვებს უქმნის რეალურ და სერიოზულ საფრთხეს<sup>283</sup>.

ადამიანის ავტონომიურობა ღირსების უფლებითაა უზრუნველყოფილი<sup>284</sup>. შესაბამისად, მისი დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს ამოცანაა, რომელიც ადამიანის ძირითადი უფლების კონტექსტში განიხილება.

სოციალური სახელმწიფო, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ხოლო მეორე მხრივ, იცავს ინდივიდუალური თავისუფლების უფლებას, რომელიც პიროვნების თვითგამორკვევის იდეებს ეფუძნება. სოციალურმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პირადი ავტონომიის განვითარებას<sup>285</sup>.

ლიბერალურ და თავისუფალ საზოგადოებაში არ შეიძლება სახელმწიფო განსაზღვრავდეს ადამიანთა ცხოვრების წესს. ამაზე მეტყველებს კონსტიტუციით დაცული არაერთი ძირითადი უფლება. მაგალითად, შრომის თავისუფლება, თავისუფალი განვითარების უფლება და ა. შ. საბჭოთა კავშირის არსებობისას, კომუნისტური წყობილების დროს, ადამიანებს სჯიდნენ უმუშევრობისთვის (ე. წ. მუქთახორობა), მაგრამ თანამედროვე პირობებში აღნიშნული ტიპის უმოქმედობისთვის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა წარმოუდგენელია, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის შრომის თავისუფლებასთან. მართალია, უმუშევრობა ხშირად საფუძველი ხდება არაერთი ნეგატიური მოვლენის, მაგრამ მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ადამიანებს ვერ დააძალებს მუშაობას. ადამიანებმა თვითონ უნდა გადანყვიტონ იმუშავებენ თუ არა. იგივე შეიძლება ითქვას სქესობრივი ცხოვრების თავისუფლებაზე. ადრე ის-

<sup>283</sup> პუნქტი 50; ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 31.

<sup>284</sup> იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2009, გვ. 187.

<sup>285</sup> ხუბუა გ., მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, წიგნში: ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018, გვ. 137.

ჯებოდა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ერთი და იგივე სქესის წარმომადგენლებს შორის, მაგრამ შემდგომ მოხდა ამ ქმედების დეკრიმინალიზაცია. ეს ყოველივე კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორია სახელმწიფოს უფლება ადამიანთა ცხოვრების წესის განსაზღვრაში.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში მიწვეულმა სპეციალისტმა დ. ზედელაშვილმა მარიხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივ დასჯადობასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა. მისი შეფასებით, მარიხუანის მოხმარების სისხლის სამართლის წესით დასჯადობა ეფუძნება მხოლოდ ადამიანის ქმედების ამორალურად შეფასებას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან არ გამომდინარეობს. ზედელაშვილის მოსაზრებით, სახელმწიფოს ეკრძალება საკითხის ეთიკურ განსჯაში შესვლა. მისი შეხედულებით, ადამიანებს უნდა მიეცეთ იმის შესაძლებლობა, იცხოვრონ და იმოქმედონ საკუთარი ნების შესაბამისად, თუ მათი ქმედებით ზიანი არ მიადგება რომელიმე კონსტიტუციურ-სამართლებრივად აღიარებულ სიკეთეს<sup>286</sup>.

პატერნალიზმთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა, სახელმწიფო პატერნალიზმის გამოვლენის გარკვეულ ფორმებს აცხადებს არაკონსტიტუციურად, თუ ზოგადად პატერნალიზმია დაუშვებელი. ვ. მენაბდეც შეფასებით, სასამართლოს არ უთქვამს, რომ სახელმწიფოს ადამიანის საკუთარი თავისგან დაცვის უფლება არ გააჩნია. ვინაიდან სასამართლომ პატერნალიზმის ერთი ფორმა გამოყო, ნიშნავს იმის დაშვებას, რომ პატერნალიზმის სხვა ფორმაზე სხვა შეფასება შეიძლება ჰქონდეს<sup>287</sup>.

## 16. პარალელის გავლება თვითმკვლელობის მცდელობასთან

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადად პატერნალიზმზე ექნებოდა ერთნაირი შეფასება, მართლაც, მას არ მოუწევდა მისი ფორმის გამოყოფა. რაც შეეხება სახელმწიფოს უფლებას ადამიანი დაიცვას საკუთარი თავისგან, ეს საკითხი შეიძლება საკამათოდ ჩაითვალოს. ამ საკითხზე მსჯელობისას, კარგი იქნება განვიხილოთ თვითმკვლელობისთვის ხელის შეშლასთან დაკავშირებით სახელმწიფოს და საზოგადოების წევრთა უფლების თუ ვალდებულების საკითხი.

ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ სიცოცხლისთვის საშიში ნივთიერების გადაცემა წარმოადგენს სუიციდში დახმარების მცდე-

<sup>286</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 20.

<sup>287</sup> მენაბდე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 20-21.

ლობას. ასეთ შემთხვევებში ერთმანეთს უპირისპირდება თვითმკვლელობაზე გადაწყვეტილების თავისუფლება და სოლიდარობის პრინციპი. იმასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, უნდა დაეკისროს თუ არა პირს პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებისთვის (ნარკოტიკული საშუალების გადაცემისთვის), მხედველობაში მიიღება თანხმობის არსებობა იმ პირის მხრიდან, ვისაც გადაეცემა ნარკოტიკი. საქმე უნდა ეხებოდეს პირს, ვისაც თანხმობის გაცემა შეუძლია, რაც რთულია ითქვას ნარკოდამოკიდებულ პირზე<sup>288</sup>.

როდესაც ადამიანი იღებს თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას, მან შეიძლება განახორციელოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეში აგდებს საკუთარ სიცოცხლეს. ჩნდება კითხვა, თუ განხორციელებულ ქმედებას მყისიერად არ მოჰყვება ლეტალური შედეგი და თვითმკვლელობის მიზნით მოქმედი პირი მის მიერ განხორციელებული ქმედებით საშიშ მდგომარეობაში ჩავარდა, ეკისრება თუ არა სხვა პირს განსაცდელში მყოფ პირზე ზრუნვის ვალდებულება? დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემით პასუხი გაეცემა იმ კითხვასაც, აქვს თუ არა სახელმწიფოს ადამიანის საკუთარი თავისგან დაცვის უფლება.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს არაერთგვაროვანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა სხვა პირს განსაცდელში მყოფ პირზე ზრუნვის მოვალეობა, მაშინ როცა განსაცდელში ადამიანი იმყოფება თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად. ერთ-ერთი მოსაზრებით, ასეთ დროს სხვა პირებმა და მათ შორის გარანტორმაც კი პატივი უნდა სცეს განსაცდელში მყოფი პირის გადაწყვეტილებას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით<sup>289</sup>. თუ აღნიშნული პოზიცია იქნა გაზიარებული, გამოდის, რომ არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების წევრებს აქვთ უფლება ან მოვალეობა დაიცვან ადამიანი საკუთარი თავისგან. თუმცა, ამ საკითხზე არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის შესაბამისად, განსაცდელში მყოფ პირზე ზრუნვის ვალდებულებისგან ადამიანები არ თავისუფლდებიან მაშინაც, როცა განსაცდელში ვარდებიან თვითმკვლელობის მცდელობის შედეგად. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ვალდებულება წარმოიშობა განსაცდელში ადამიანის აღმოჩენის შემდეგ<sup>290</sup>.

როდესაც საუბარია პატერნალიზმზე, არ შეიძლება არ აღინიშნოს,

---

<sup>288</sup> *Cavaliere A.*, Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts — aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1743.

<sup>289</sup> *ტურავა მ.*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011, გვ. 239.

<sup>290</sup> *ცეციტივილი თ.*, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 378-379.

რომ საქართველოს მოქმედი სსკ-ი სამართლებრივად დაცულ სიკეთედ აცხადებს საზოგადოებრივ ზნეობას, რაც სწორედ რომ პატერნალიზმის გამოვლინებას წარმოადგენს. თუმცა, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნულ საკითხზე არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს და მიუთითებენ, რომ სსკ-ი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს მსგავსი ნორმებისგან<sup>291</sup>.

სისხლის სამართლის ამოცანას არ წარმოადგენს ამორალობის წინააღმდეგ ბრძოლა. ნებისმიერი დანაშაული ამორალურია, დანაშაულებრივი ქმედება არა მხოლოდ სამართლის, არამედ ამასთან ერთად მორალურ ნორმებსაც ეწინააღმდეგება. თუმცა, ლეგიტიმაცია შეიძლება ჰქონდეს სისხლისსამართლებრივად მხოლოდ იმ ქმედების დასჯას, რომლებიც ისეთი ამორალური ქმედებაა, რომ ხელს უშლის საზოგადოების ნევრთა ნორმალურ, მშვიდობიან თანაცხოვრებას.

## 17. პარალელის გავლება ინცესტთან

მოცემულ პარაგრაფში პარალელი იქნება გავლებული ინცესტის აკრძალვასთან. გერმანულ დოგმატიკაში გაბატონებული მოსაზრებით, ახლო ნათესავეებს შორის სქესობრივი კავშირის დასჯადობა ემსახურება ქორწინების და ოჯახის კონსტიტუციურსამართლებრივ დაცვას. დაცულ სამართლებრივ სიკეთედ მიიჩნევა როგორც სქესობრივი თავისუფლება, ისე ევგენური ზიანის თავიდან აცილება. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ სხვადასხვა მიზნებს (სიკეთეს) „მათ ერთიანობაში“ შეუძლია ზოგადად პირადი თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმაცია<sup>292</sup>, რაც მიუთითებს იმ სირთულეზე, რომელიც ინცესტის აკრძალვის გამართლების მცდელობასთან დაკავშირებით არსებობს. ვინაიდან დასახელებული სამართლებრივი სიკეთეებიდან არცერთს ცალკე აღებულს არ შეუძლია ინცესტის დასჯადობის დაფუძნება<sup>293</sup>.

რაც შეეხება ქორწინებას და ოჯახს, რამდენადაც საქმე ეხება საზოგადოების არსებობის სტრუქტურას, ისინი მოითხოვს სახელმწიფოებრივ დაცვას. თუმცა, ამ სიკეთეებს შეიძლება დაემუქროს ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც არ მიეკუთვნება სისხლისსამართლებრივი დასჯადობის სფეროს. ს. პასედახი როგორც აღნიშნავს, თანამედროვე პერიოდში არსებითად საფრთხის შემქმნელია ქორწინების შეწყვეტა და ჰომოსექსუალობა. თუმცა, ინცესტის მსგავსი ქმედებები ვერ იქნება მოაზრებული

<sup>291</sup> ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013, გვ. 17.

<sup>292</sup> BVerfGE 120, 224 (243). მითითებულია: *Pasedach Ch.*, ebenda, S. 155.

<sup>293</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 155.

ქორწინების და ოჯახის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებად, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია ოჯახის სტრუქტურა დააზიანოს. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დარღვეული საოჯახო ურთიერთობა არის არა შედეგი, არამედ მიზეზი მსგავსი კავშირებისა<sup>294</sup>.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანის და ეუგენური შედეგების თავიდან აცილება არ მიიჩნევა ინცესტის დასჯადობის ლეგიტიმურ მიზნად. არა მხოლოდ იმიტომ, რომ სარწმუნო ემპირიული დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, არამედ იმიტომაც, რომ სხეულის დაზიანების და სიცოცხლის ხელყოფის დელიქტებისგან განსხვავებით, პოტენციური სიცოცხლეც იქნებოდა დაცული. ს. პასედახი სვამს კითხვას, თუ ვის ინტერესში შედის ეუგენური შედეგის თავიდან აცილება. არის თუ არა ეს პოტენციური ბავშვის ინტერესი, თუ ეს მის არარსებობამდე მიდის (არარსებობას გამოიწვევს)? სულიერი და ფიზიკური დაავადების და მასთან დაკავშირებული დისკრიმინაციის არგუმენტი ინცესტის სისხლისსამართლებრივი აკრძალვის გამამართლებლად არ განიხილება, ვინაიდან ეს იქნებოდა იმაზე მითითება, რომ სულიერად დაავადებული სიცოცხლის ღირსი არ არის. ამავე დასაბუთებით „მოსახლეობის ჯანმრთელობის“ საზოგადოებრივი ინტერესი უნდა იქნას გაგებული, როგორც თავისუფლება შეზღუდული შესაძლებლობის პირებისგან, რაც არ არის გასაზიარებელი<sup>295</sup>.

დაბოლოს, მისაღებ არგუმენტად ასევე არ მიიჩნევა ის, რომ ინცესტის დასჯადობა ანომალურ ოჯახურ სტრუქტურაში მოზარდი ბავშვის დისკრიმინაციისგან დაცვას ემსახურება. არ შეიძლება უგულვებელყოფილ იქნას, რომ დისკრიმინაციას უმეტეს წილად სასჯელში გამოვლენილი სოციალურ-ეთიკური უარყოფითი შეფასება იწვევს. სისხლისსამართლებრივი ნორმები და საზოგადოებრივი ტაბუ ინცესტზე საპირისპირო დამოკიდებულებაში არიან. დისკრიმინაციის საფრთხესთან დაკავშირებული არგუმენტით შეიძლება სულიერად ან ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ან სხვადასხვა რასის პარტნიორებს შორის სქესობრივი კავშირის აკრძალვის დასაბუთებაც<sup>296</sup>, რაც პირიქით, არა თუ ემსახურება დისკრიმინაციის საფრთხის აღმოფხვრას, არამედ ასეთი აკრძალვა თვითონ არის დისკრიმინაციული.

გერმანული სსკ-ის მიხედვით ინცესტის ამკრძალავ ნორმას აკლია კონკრეტული დასაცავი სიკეთე. როცა ყოველ ცალკეულ სიკეთეს არ შეუძლია დასჯადობის ლეგიტიმაცია მოახდინოს, ლეგიტიმაციის დეფიციტს ვერ შეავსებს ვერც ამ სიკეთეთა კუმულაცია. ინცესტის აკრ-

<sup>294</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 155.

<sup>295</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 156-157.

<sup>296</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 157.

ძალვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მსგავსად (გვერდით) წარმოადგენს მაგალითს სისხლისსამართლებრივი მუქარის, რომელიც სამართლებრივი სიკეთის დაცვას არ ემსახურება. განსაზღვრულ ქმედებათა დასჯა ხდება არა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამონვევის გამო, არამედ საზოგადოებაში არსებული მორალური წარმოდგენების საფუძველზე. მაგრამ, სამართლებრივი სიკეთის დაცვაზე ორიენტირებული სისხლის სამართალი კრძალავს დასჯას მორალური წარმოდგენების საფუძველზე<sup>297</sup>.

ინცესტის დროს, ნარკოტიკების მოხმარებასთან შედარებით, უფრო მეტად მუღავნდება მორალური წარმოდგენების საფუძველზე დევნა: სასჯელის საფუძველი არის უხსოვარი დროიდან (ოდითგანვე) არსებული საზოგადოებრივი ტაბუ ნათესავებს შორის სქესობრივ კავშირთან დაკავშირებით. მაშინ როცა საქმე ეხება კულტურულ და რელიგიურ ნორმებს, რომლებიც საზოგადოებაში დაცვის ღირსად მიიჩნევა, ჩნდება კითხვა, მხოლოდ საზოგადოებაში გაბატონებული ღირებულებების მიხედვით არის თუ არა დასაშვები ქმედების აკრძალვა სასჯელის ძალით<sup>298</sup>. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით საქმე ეხება განსაზღვრული საზოგადოების უმრავლესობის მიერ გასათვალისწინებლად მიჩნეულ ქცევის წესს და ამით მოსახლეობის უმანკო ნაწილის მიერ დასაცავ მორალურ წარმოდგენებს<sup>299</sup>.

ინცესტი ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება, ვინაიდან მიიჩნევა, რომ აღნიშნულ საკითხს მორალური ნორმები არეგულირებს. დასახელებული ქმედების პრევენციისთვის სისხლისსამართლებრივი დასჯა<sup>300</sup>, შესაბამისად, არათანაზომიერად ითვლება.

## **18. მარიხუანის მოხმარების აკრძალვის შეუსაბამო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან**

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან და შინაარსობრივად მოცულობით უფლებას წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება. ამიტომ, სამართლებრივი ღონისძიების (სანქციის) კონსტიტუციურობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია აღნიშნულ უფლებასთან მისი მიმართების შეფასება. ამ თვალსაზრისით საქართველოს საკონსტიტუციო

<sup>297</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 157.

<sup>298</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 157.

<sup>299</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 158.

<sup>300</sup> *გამყრელიძე ო.*, „ზნეობრივი გაკიცხვა თუ სისხლისსამართლებრივი დასჯა?“, „ცხოვრება და კანონი“, 2007, №2, გვ. 3.

სასამართლოს პრაქტიკა არ არის მდიდარი. თუმცა, მნიშვნელოვანია ის, რომ მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან და ლეგალიზაციასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სწორედ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით იქნა შეტანილი. შესაბამისად, განსახილველ საქმეებში საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანს წარმოადგენდა მარიხუანის მოხმარების დასჯადობის და აკრძალვის კონსტიტუციურობის შემოწმება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარების როგორც სისხლის სამართლის წესით დასჯა, ისე ადმინისტრაციულსამართლებრივი აკრძალვა პიროვნების განვითარების უფლებასთან მიმართებით არაპროპორციულად სცნო<sup>301</sup>.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით მარიხუანის მოხმარების აკრძალვას სასამართლო გაუმართლებლად მიიჩნევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე<sup>302</sup>. ადამიანის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც სხვა უფლებებისგან განსხვავებით, აქცენტს პიროვნულობაზე ამახვილებს. აღნიშნული უფლების კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა ადამიანის პიროვნულობის უზენაესი ღირებულებიდან გამომდინარეობს<sup>303</sup>.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მიიჩნევა საზოგადოების პროგრესის და ადამიანთა ბედნიერების აუცილებელ წინაპირობად, ადამიანის ღირსების უფლების განუყოფელ ნაწილად, რომელიც ადამიანის ღირსების მატერიალურ და შინაარსობრივ მხარეს აყალიბებს, ახდენს ღირსების უფლების კონკრეტიზაციას<sup>304</sup>. საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლება იმდენად ფართოა, რომ იგი სხვა უფლებებსაც მოიცავს, ამიტომ ხშირად კონკრეტული უფლებების აღი-

---

<sup>301</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 57; ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 41.

<sup>302</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 32.

<sup>303</sup> ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013, გვ. 75.

<sup>304</sup> ხუბუა გ., წიგნში: იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 62; გოცირიძე ე., წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, გვ. 88.



არებით და მათი დაცვითაა უზრუნველყოფილი<sup>305</sup>. ამ კონტექსტში შეიძლება იქნას განხილული სასამართლოს მიერ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაცია, ვინაიდან ლეგალიზაცია გულისხმობს აკრძალვის გაუქმებას, ნებართვას კონკრეტულ ქმედებაზე.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ისეთ ასპექტებს, რომელიც აუცილებელია ადამიანის ბედნიერებისთვის, მისი თავისუფალი განვითარებისთვის. აქედან აღსანიშნავია შინაგანი, ავტონომიური, ინდივიდუალური, თვითგამორკვევის სფეროები, რომლებიც უკავშირდება ადამიანს, როგორც დამოუკიდებელ და თავისუფალ მოცემულობას. აღნიშნული უფლება ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად, სხვისი ჩარევის გარეშე განსაზღვროს ცხოვრების წესი და სტილი, სულიერი თუ სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებები. ამდენად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ქცევის თავისუფლებასაც გულისხმობს, რომელიც მართლწინააღმდეგობის მიჯნითაა შემოფარგლული<sup>306</sup>. თუმცა, ქმედების მართლწინააღმდეგობისთვის საკმარისი არ არის ფორმალური მართლწინააღმდეგობა, პოზიტიური სამართლის ნორმებთან ქმედების წინააღმდეგობა. იგი გულისხმობს დაცვის ღირსი სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებასაც. თუ ქმედება ასეთ სიკეთეს არ ხელყოფს იგი ვერ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ მატერიალური გაგებით.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დაკავშირებულია გასართობი თუ რეკრეაციული აქტივობის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობასთანაც. ამიტომ მოსარჩელის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ ერთ-ერთ საქმეში საკითხი ამ მიმართულებითაც იყო დასმული, რაზეც მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება ხორციელდება დასვენების და გართობის მიზნით. დასმულ საკითხზე იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლომაც და დაასკვნა, რომ პირის უფლებაა თავად შეარჩიოს განტვირთვის სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოიხმაროს მარიხუანა, რაც პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს წარმოადგენს<sup>307</sup>.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია „საქმიანობის თავისუფლება“, რომელიც გულისხმობს ყველაფერის უფლებას, რაც არ ვნებს სხვას. მაშასადამე, აკრძალულია ის, რასაც ზიანი მოაქვს სხვებისთვის. ადამიანთა თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევა დაშვებულია შემდეგი მიზნით: თვითდაცვა

<sup>305</sup> გოცირიძე ე., დასახ. ნაშრ., გვ. 89.

<sup>306</sup> გოცირიძე ე., დასახ. ნაშრ., გვ. 90-91.

<sup>307</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 12.

(იგულისხმება სახელმწიფოს ინტერესი, როგორც კოლექტიური სიკეთე) და სხვა პირთათვის (იგულისხმება როგორც ინდივიდი, ისე მთელი საზოგადოება) ზიანის მიყენების პრევენცია. თავისუფლება საზოგადოების წინაშე ინდივიდის პასუხისმგებლობის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ინდივიდი საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელია იმდენად, რამდენადაც მისი მოქმედება ეხება სხვა პირსაც. თუ მოქმედება მხოლოდ მოქმედს ეხება, მისი თავისუფლება შეუზღუდველი უნდა იყოს<sup>308</sup>. სახელმწიფოს ფუნქცია არ არის საკუთარი მოქალაქეების „გაკეთილშობილება“, „უფრო უკეთესად“ ქცევა<sup>309</sup>, მიუხედავად იმისა, რომ მარიხუანის მომხმარებელი (როგორც საკუთარი ჯანმრთელობისთვის, თუნდაც მცირე ზომით, ზიანის მიმყენებელი) ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის შეიძლება არ იმსახურებდეს დადებით შეფასებას.

მარიხუანის მოხმარება მომხმარებლის ჯანმრთელობას ვნებს, ხოლო მოხმარების აკრძალვამ მომხმარებლის ჯანმრთელობა შეიძლება დაიცვას, სახელმწიფო კიდევ ვალდებულია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვას ხელი შეუწყოს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით მოქმედების შესაძლებლობა უნდა შეუნარჩუნდეთ<sup>310</sup>. თუმცა, ასეთი მოქმედების შესაძლებლობა გამოირიცხება მოქმედების ზოგადი აკრძალვის პირობებში, რაც მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციის გამართლების შესაძლებლობას იძლევა.

მარიხუანის მოხმარების აკრძალვასთან თუ ლეგალიზაციასთან დაკავშირებით მოსაზრება არაერთგვაროვანია. მაშინ, როცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის მოხმარების აკრძალვას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების არაპროპორციულ, არაკონსტიტუციურ შეზღუდვად მიიჩნევს, იურიდიულ ლიტერატურაში შემდეგი საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული: „ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ გამომდინარეობს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან. ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების სამართლებრივი აკრძალვები და შეზღუდვები არ არღვევს კონსტიტუციით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას“<sup>311</sup>.

<sup>308</sup> გოცირიძე ე., დასახ. ნაშრ., გვ. 102-103.

<sup>309</sup> ხუბუა გ., წიგნში: იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 65.

<sup>310</sup> ხუბუა გ., დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>311</sup> BVerfGE 96, 145. მითითებულია: ხუბუა გ., დასახ. ნაშრ., გვ. 79.

## 19. თვითგამორკვევა კონსტიტუციურ ღობატიკაში

### 19.1. თვითგამორკვევის უფლების წარმოშობა

ლიბერალური სახელმწიფოს გაგებით სახელმწიფო არის თითოეულისთვის და თითოეულს სოციალური ხელშეკრულების მეშვეობით თავისი ავტონომიის ნაწილი სახელმწიფოსთვის აქვს გადაცემული, რითაც საზოგადოებაში ერთად თანაცხოვრება არის უზრუნველყოფილი. ამასთან ერთად თითოეულს აქვს ავტონომია, რომლის გადაცემაც შეუძლია. როცა სახელმწიფო ცალკეული მოქალაქეებისგან იღებს უფლებამოსილებას, რომელიც სახელმწიფოს აყალიბებს (კონსტიტუირებას ახდენს) და თავის კონტურებს სძენს, თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ავტონომიურობის უნარი, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, მოიქცნენ თავიანთი შეხედულების შესაბამისად<sup>312</sup>.

თითოეული პირის ღირსების შესაბამისი გათვალისწინება იმით არის შესაძლებელი, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა, მოიქცნენ საკუთარი შეხედულების შესაბამისად<sup>313</sup>. თვითგამორკვევის ამ უფლების გამოყენებით ადამიანი აყალიბებს თავის პიროვნულობას. ვინაიდან თვითგამორკვევა გულისხმობს თავისუფლებას: თავისუფლებას, ისე მოიქცე, როგორც ეს შენს ხასიათს შეესაბამება. თავისუფლებას, საკუთარი ტალანტი განავითაროს და იცხოვროს საკუთარი შეხედულების შესაბამისად. თვითგამორკვევა ითვალისწინებს ადამიანთა პირად ღირებულებებს. ის ამავედროულად აფუძნებს მათ ინდივიდუალობას, რომელიც მრავალფეროვნებაზე დამყარებული საზოგადოებისთვის არსებითია<sup>314</sup>.

### 19.2. თვითგამორკვევის თავისუფლება როგორც კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლების ნაწილი

თავისუფლებას, განსაზღვრო საკუთარი ინდივიდუალობა და მოიქცე საკუთარი შეხედულების შესაბამისად, მიეკუთვნება საკუთარი თვითგამორკვევის და ბედისწერის პირადი პასუხისმგებლობით განკარგვის უფლება<sup>315</sup>. იგი მოიცავს უგუნურ ქმედებათა განხორციელებასაც. სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავის მოქალაქეებს მიუთითოს მათთვის როგორი ქცევა უკეთესი იქნებოდა. ძირითადი უფლებების დოგმატიკის მიხედვით, თვითგამორკვევის უფლება არის სულ მცირე კონსტიტუციით

<sup>312</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 168.

<sup>313</sup> BverfGE 5, 85 (204).

<sup>314</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 168-169.

<sup>315</sup> BverfGE 49, 286 (298).

დაცული მოქმედების თავისუფლების შემადგენელი ნაწილი<sup>316</sup>.

## 20. მოქმედების თავისუფლების არაალი

მოქმედების თავისუფლება საკუთარი სიცოცხლის განკარგვასთან დაკავშირებით ზღვარდადებულია. თუ გავითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ კონსტიტუცია უზრუნველყოფს განვითარებას და არა საკუთარი პიროვნულობის დარღვევას<sup>317</sup>, თვითმკვლელობა და თვითდაზიანება ვერ ექცევა კონსტიტუციით დაცულ ინდივიდუალური თვითგამორკვევის სფეროში. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით, პიროვნული თვითგამორკვევის უფლება არ მოიცავს ყველა ადამიანურ ქმედებას, არამედ მხოლოდ ღირებულს, რომელიც ადამიანის გონებრივ და მორალურ განვითარებასთან არის დაკავშირებული<sup>318</sup>. ამასთან დაკავშირებით კონსტიტუციის ამოსავალი წერტილი არ არის ღირებულებებისგან ნეიტრალური თავისუფლების გაგება, როგორც ეს ჯერ კიდევ ვაიმარის იმპერიის კონსტიტუციის დროს იყო, არამედ მას საფუძვლად უდევს განსაზღვრული ტიპი ადამიანისა<sup>319</sup>.

მოსაზრება, რომელსაც კონსტიტუციით დაცული ქმედების თავისუფლების განსაზღვრული ქმედებებით შემოფარგვლა სურს, არ შეესაბამება ადამიანის ზემოთ აღწერილ ტიპს, ვინაიდან ადამიანური ღირსება უმაღლესი კონსტიტუციური სიკეთეა. ადამიანური ღირსება მოიცავს პიროვნულ განვითარებას იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოქმედების თავისუფლების განხორციელებაში არის ნაჩვენები, რომლითაც ცალკეული ადამიანები თავიანთ პირად ცხოვრებას ქმნიან. ადამიანის ნებისმიერი მოქმედების თავისუფლება არის ადამიანური ღირსების გამოხატულება და წინაპირობა<sup>320</sup>. შეუძლებელია განიმარტოს ადამიანის ღირსებასთან რამდენად შესაბამისობაში მოდის ის, რომ ინდივიდუალურ მოქმედებაზე გადაწყვეტილება მიიღოს არა თვითონ მოქმედმა პირმა, არამედ მესამე პირმა. „განვითარებაზე“ საუბარი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეულ პირებს აქვთ ამის ინდივიდუალური შესაძლებლობა. ალოგიკურია ისაუბრო პიროვნულ განვითარებაზე, როცა სახელმწიფო ამას განსაზღვრავს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს არა მხოლოდ გონებრივ-მორალურად ღირებულ ქმედებათა განხორციელების თავისუფლებას, არამედ ისეთს, რომლითაც თავი-

<sup>316</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 169.

<sup>317</sup> BGHSt 19, 325 (331).

<sup>318</sup> *Peters*, in: FS Laun, 669 (673).

<sup>319</sup> *Peters*, in: FS Laun, 669 (670); *Pasedach Ch.*, ebenda, S. 169-170.

<sup>320</sup> *Alexy R.*, *Theorie der Grundrechte*, 2. Auflage, Frankfurt am Main, 1994, S. 321.

სი მსოფლმხედველობა სურს გამოხატოს. ადამიანის ტიპი, რომელსაც კონსტიტუცია აყალიბებს, გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას რომელიც ადამიანთა პიროვნულ განვითარებას უზრუნველყოფს<sup>321</sup>.

## 21. თვითგამორკვევა როგორც პიროვნულობის უფლების უკიდურესი ნაწილი

ჩნდება კითხვა თვითგამორკვევა საკუთარ სხეულთან მიმართებით თუ რა მიმართებაშია პიროვნულობის უფლებასთან. პიროვნულობის უფლების შემთხვევაში საქმე ეხება დამოუკიდებელ ძირითად უფლებას მოქმედების თავისუფლებასთან ერთად, რომელიც ადამიანური ღირსეზიდან გამომდინარეობს. ადამიანის ღირსების მაღალი კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარეობს, ვინრო პიროვნული ცხოვრების სფეროების და ძირითადი პირობების დაცვის უზრუნველყოფა, რომელსაც თავისუფლების ტრადიციული გარანტიები არ მოიცავს, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ადამიანური ღირსება უზრუნველყოფენ თითოეული ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვას, რომელშიც მას თავისი ინდივიდუალობის დაცვა და განვითარება შეუძლია<sup>322</sup>. საქმე ეხება ვინრო პერსონალური ცხოვრების სფეროების დაცვას და აქედან გამომდინარე ინდივიდუალური აუტონომიის ეგზისტენციალურ წინაპირობებს<sup>323</sup>. მაშინ როცა ზოგადად ქმედების თავისუფლება უფრო მეტად პიროვნული განვითარების „აქტიურ“ ელემენტს მოიცავს, ზოგადი პიროვნული უფლება ხაზს უსვამს სოციალური სტატუსის და პიროვნული სფეროს პატივისცემის უფლების დაცვას<sup>324</sup>. ცალკეულ ადამიანებს აქვთ უფლება, თავიანთი ცხოვრება დამოუკიდებლად წარმართონ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ერთმანეთისგან მიჯნავენ ორ სამართლებრივ სიკეთეს: პიროვნულობის უფლებას და საჯარო სივრცეში თვითგამოსახვის უფლებას. პირველი გულისხმობს მშვიდად ყოფნის უფლებას (*das Recht „in Ruhe gelassen zu werden“*) და გარეგანი შევიწროებისგან დაცვას. თავისი პიროვნების თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისთვის თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს „შინაგანი სივრცე“ (*Innenraum*), რომლის განმკარგავიც თვითონაა (*sich selbst besitzt*) და რომელშიც უკან დახევა შეუძლია, რომელშიც მშვიდად დარჩენა და მარტო ყოფნის უფლებით ტკბობა შეუძლია<sup>325</sup>.

<sup>321</sup> *Pasdach Ch.*, ebenda, S. 170.

<sup>322</sup> BverfGE 79, 256 (268); BverfGE 54, 148 (153).

<sup>323</sup> BverfGE 54, 148 (153).

<sup>324</sup> BverfGE 54, 148 (153); *Alexy*, *Theorie der Grundrechte*, S. 333.

<sup>325</sup> BverfGE 27, 1 (6).

საჯარო სივრცეში თვითნარმოსახვის უფლება გულისხმობს თითოეული ადამიანის უფლებას, თვითონ შეძლოს გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ სურს მესამე პირებთან ან საჯაროდ წარდგენა<sup>326</sup>.

ამ სხვადასხვა დაცვის სფეროებში განსხვავდება პიროვნული განვითარების სხვადასხვა დონე. განასხვავებენ შემდეგ დაცვის სფეროებს: საჯარო/სოციალური, კერძო და ინტიმური. კერძო ან საჯარო სფეროში ჩარევა დასაშვებია თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით. შუაგულში დგას პირადი ცხოვრების აბსოლუტურად დაცული, ხელშეუხებელი სფერო (ინტიმური სფერო). გასათვალისწინებელია გარემოება, რომ პიროვნული უფლებების შინაარსი და მოცულობა ადამიანური ღირსების გარანტიითაა განსაზღვრული. ამდენად, პიროვნული განვითარება, რომელიც პირად ცხოვრებასთან განუყოფლადაა დაკავშირებული, მოითხოვს აბსოლუტურ დაცვას სახელმწიფო ხელისუფლების პირისპირ. ასეთ ინტიმურ სფეროში ჩარევის გამართლება შეუძლებელია<sup>327</sup>.

სხვადასხვა დონეებად დაყოფას (ე. წ. სფეროთა თეორია) საფუძვლად უდევს ის, რომ თითოეული ადამიანი არსებობს როგორც ინდივიდი, მაგრამ მეორე მხრივ, ის არის საზოგადოების წევრი და სხვა ადამიანებთან აქვს კონტაქტი. ადამიანები ინდივიდებად მაშინ შეიძლება მოაზრებულ იქნან, როცა მათ თავისუფალი სივრცე აქვთ გარანტირებული, რომელიც მას როგორც ინდივიდს სჭირდება და სადაც მას ფიქრის ან ქმედების გამო საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარება არ მოუწევს. მეორეს მხრივ, ადამიანი არ არის იზოლირებული ინდივიდი, არამედ ხასიათდება საზოგადოებასთან კავშირით. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნული განვითარება ხორციელდება სოციალურ კავშირებში<sup>328</sup>.

## 22. მოქმედების თავისუფლება

საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნისას, რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღებას საფრთხეში საკუთარი თავის ჩაგდებასთან დაკავშირებით, გულისხმობს თითოეული პირის ინდივიდუალურ ავტონომიას: ძირითადი უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლება და ცალკეულ პირთა უფლება საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებით ერთმანეთთან კავშირშია. ისინი ერთმანეთზე ახდენენ ზემოქმედებას. ერთი მხრივ, შეიძლება არსებობდეს რისკის მზაობის აუტონომია, ხოლო მეორე მხრივ, საფრთხის ზონაში შესვლა არის თავი-

<sup>326</sup> BverfGE 63, 131 (142).

<sup>327</sup> BverfGE 6, 32 (41), 389 (432); 27, 1 (6), 344 (350); 32, 373 (378); 34, 238 (245); 54, 143 (146); 65, 1 (44); 80, 367 (373); 90, 145 (171); 109, 279 (313); 120, 224 (239).

<sup>328</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 173-174.

სუფალი განვითარების გამოხატულება. მხოლოდ მაშინ არის ადამიანი თავისუფალი, როცა შეუძლია საფრთხეში თავის ჩაყენება, თავისუფლად განცდა, განვითარება, ისე განვითარება, ყოფნა როგორც არის და მომდევნო განვითარება საკუთარი შეხედულებისამებრ. საფრთხესთან დაკავშირებული თავისუფლება აყალიბებს და იცავს პიროვნულობას იმით, რომ თითოეულ ადამიანს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება<sup>329</sup>.

ამდენად, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა არა მხოლოდ ქმედების თავისუფლების კონტექსტში განიხილება, არამედ წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლების როგორც პიროვნული უფლების შემადგენელი ნაწილის გამოხატულებას<sup>330</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შედეგობრივი თვალსაზრისით, ნარკოტიკების მოხმარებაც ზოგადად პიროვნული უფლების ფარგლებში უნდა იქნას განხილული. ნარკოტიკის მოხმარებაც გამოხატავს პირად შეხედულებას საფრთხეში თავის ჩაყენების თვალსაზრისით. ამასთან ერთად, ნარკოტიკის მოხმარება არის სუბიექტურად „ტკბილ“ და ობიექტურად საფრთხის მატარებელ ცხოვრებაზე ინდივიდუალური შეხედულების გამოხატულება<sup>331</sup>.

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დროს საქმე ეხება არა მხოლოდ ქმედებას, არამედ აგრეთვე საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნასაც<sup>332</sup>.

საკუთარი თავისთვის საფრთხის შემქმნელ ქმედებათა დიფერენცირებაზე უარის თქმის შემთხვევაში მივიდოდით იმ დასკვნამდე, რომ მონევა, ალკოჰოლის მოხმარება, საგზაო მოძრაობაში მონაწილეობა, საფრთხის შემცველი სპორტის შესრულება ან სქესობრივი კავშირი შიდსით ინფიცირებულთან იქნებოდა პიროვნული უფლების დამრღვევი<sup>333</sup>.

ვინრო პერსონალური ცხოვრებისეული სფეროს დაცვა და მისი ძირითადი პირობების ან ინდივიდუალური აუტონომიის შენარჩუნებაზე საუბარი არა მხოლოდ მგზავრობის და მონევის დროს არის შესაძლებელი. შიდსით ინფიცირებულთან სქესობრივი კავშირის დამყარება არ არის შემადგენელი ნაწილი ზოგადად პიროვნული უფლებისა, ვინაიდან, საქმე ეხება შიდსით დაავადებულს, აქედან გამომდინარე იგი წარმოადგენს საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნას, რამდენადაც სქესობრივი კავშირი ინტიმურ სფეროს მიეკუთვნება. თითოეულ დასახელებულ მაგალითში ქმედება მიუთითებს დაზარალებულთან პერსონალურ მიმარ-

<sup>329</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 176-177.

<sup>330</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 177; BverfGE 82, 45 (48).

<sup>331</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 177.

<sup>332</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 177.

<sup>333</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 178.

თებაზე და ამიტომ კონსტიტუციური დაცვა „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების“ მეშვეობით უნდა განხორციელდეს. ცხადია, მესამე პირის შეფასება პიროვნული განვითარების მნიშვნელობაზე ნაკლებმნიშვნელოვანია. ყველა ქმედება არ არის ადამიანის ღირსებასთან კავშირში<sup>334</sup>.

თუ ქმედება მოქმედი პირისთვის საფრთხის შემქმნელი არ არის და არ მიეკუთვნება საკუთარი თავისთვის საფრთხის შემქმნელ ქმედებებს, მაშინ იგი ზოგადად ქმედების თავისუფლების დაცვის ფარგლებში ექცევა, ხოლო თუ საქმე ეხება საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნას, როგორცაა სუიციდი, მაშინ იგი პირადი ცხოვრების ფარგლებში განიხილება<sup>335</sup>.

თავისუფალი განვითარების არსი არის არა დამაზიანებელ ქმედებაში, არამედ პერსონალურ გადანყვეტილებაში საკუთარი არსებობის ან საკუთარი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. თავისუფალი განვითარება არის გაცნობიერებულ გადანყვეტილებაში ხელყოფის დადგომასთან დაკავშირებით, რომელიც მოსდევს პირადად აწონ-დანონვის პროცესს. ამდენად, ხელყოფასთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილება მიეკუთვნება ინდივიდუალური აუტონომიის ეგზისტენციალურ წინაპირობებს. თუმცა, საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნის დროს მსხვერპლს იმავდროულად დაზიანების განზრახვა არ გააჩნია: საკუთარი თავისთვის საფრთხის შემქმნელ ქმედებებს (ხელყოფისგან განსხვავებით) წინ არ უძღვის შინაგანი დანვრილებითი აწონ-დანონვის პროცესი. მსხვერპლი უბრალოდ ახორციელებს ქმედებას და გაცნობიერებული აქვს, რომ ამით საკუთარ თავს საფრთხეს უქმნის. ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებით ქმედება ჩვეულებრივ შემდეგნაირად ხორციელდება: მომხმარებლები მარტო მოიხმარენ, რაც ინვესს ზემოქმედებას. თავისუფალი განვითარების არსი არ მდგომარეობს საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნაში. ის არის მხოლოდ თანამდევნი მოვლენა. ამიტომაც ნარკოტიკის მოხმარება როგორც საკუთარი თავისთვის საფრთხის შემქმნელი ქმედება განეკუთვნება არა ზოგადად პიროვნულობის უფლებას, არამედ მოქმედების თავისუფლებას<sup>336</sup>.

---

<sup>334</sup> *Pasedach Ch., ebenda*, S. 178.

<sup>335</sup> *Pasedach Ch., ebenda*, S. 178.

<sup>336</sup> *Pasedach Ch., ebenda*, S. 179.



## 23. პიროვნულობის უფლება (PERSÖNLICHKEITSRECHT)

პიროვნულობის უფლება დაკავშირებულია სივრცით თვალთახედვებთანაც. ვინრო პირადი ცხოვრების სფერო, როგორცაა კერძო და ინტიმური სფეროები, მოიცავს სივრცით სფეროსაც, რომელშიც თითოეულ ადამიანს შეუძლია იმყოფებოდეს და განიტვიტოს. თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს სივრცე, სადაც ის თავისუფალი იქნება საჯარო დაკვირვებისგან და სადაც იგი მოისვენებს<sup>337</sup>. აღნიშნული კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნა კავშირშია ბინის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებასთან. ეს მოთხოვნა მდგომარეობს ბინის, როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების ბირთვის დაცვაში<sup>338</sup>. ამ თვალსაზრისით, ნარკოტიკების მოხმარებას ადგილი აქვს საკუთარ ოთხ კედელს შორის. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება განიხილება პიროვნული უფლების დაცვის კონტექსტში. თუმცა, სივრცე, სადაც ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ხდება, აუცილებელი არ არის რომ სახლი იყოს, არამედ ის შეიძლება იყოს ნებისმიერი ადგილი, იქნება ეს უბრალოდ ზღვის სანაპირო თუ მიტოვებული პარკის სკამი. იგულისხმება ნებისმიერი სივრცე, სადაც შესაძლებელია დასვენება, სადაც ადამიანი თავისუფალია იძულებითი თვითკონტროლისგან<sup>339</sup>.

სივრცესთან დაკავშირებული ზღვარი იქ არის გადალახული, სადაც ნარკოტიკების მოხმარება საზოგადოებაში მოხმარებას წარმოადგენს, მაგალითად, კაფეში, ქუჩაში, დისკოთეკაში. ასეთ დროს არსებობს მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან, იქნება ეს სხვათა დაზიანების გამო, თუ იქნება ეს მესამე პირისთვის მოხმარების მიზნით ნარკოტიკის გადაცემის საფრთხის გამო<sup>340</sup>.

თვითონ მომხმარებლებისთვის არ არსებობს დაცვის საჭიროება. ამიტომ პიროვნული განვითარების უფლების ფარგლებში განიხილება მწვევლებთან ერთად ნარკოტიკის მოხმარება. მეგობრებთან ერთად ნარკოტიკის მოხმარებას განიხილავენ ერთი ქიქა ღვინის მოხმარების ანალოგიურ შემთხვევადად<sup>341</sup>.

<sup>337</sup> BverfGE 101, 361 (382).

<sup>338</sup> Jarass, in: Jarass/Pieroth, GG, Art. 13 Rn. 1.

<sup>339</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 180.

<sup>340</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 180.

<sup>341</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 180-181.

## 24. ნარკოტიკების მოხმარება, როგორც პირადი ცხოვრების სფეროს ნაწილი?

ზოგადი პიროვნული უფლებებიდან (allgemeine Persönlichkeitsrecht) გამომდინარე ნარკოტიკების მოხმარების უფლებას ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, როქსინი) განიხილავს პირადი ცხოვრების უფლების კონტექსტში, როცა საქმე ეხება საკუთარ ოთხ კედელს შორის ნარკოტიკების პირად მოხმარებას, თუმცა ამ მოსაზრებას ქ. პასედახი არ იზიარებს და მას მიაკუთვნებს ზოგად პიროვნულ უფლებებს. მისი თვალსაზრისით, პირადი ცხოვრების უფლებას განეკუთვნება შინაგანი შეგრძნებების და გრძნობების, აზრის, შეხედულების გამოხატვის შესაძლებლობა<sup>342</sup>.

მარისუანის მოხმარება წარმოადგენს ინდივიდუალური ცხოვრების გამოხატულებას, როცა ეს არ ხდება საზოგადოებრივ სივრცეში. ქ. პასედახის შეხედულებით, პიროვნულ განვითარებასთან მას არ აქვს არანაირი კავშირი<sup>343</sup>.

## 25. სიცოცხლის უფლება და სხეულებრივი ხელშეუხებლობა

ჩნდება კითხვა, თვითგანკარგვისგან, თვითმკვლელობისგან, თვითდაზიანებისგან და საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნისგან დაცვარამდენად შეესაბამება სხეულებრივი ხელშეუხებლობის და სიცოცხლის უფლებას. თითოეული ძირითადი უფლება არ შეიცავს თავისუფლების ნეგატიურ უზრუნველყოფას, როგორცაა თავისუფლება შეწყვიტო საკუთარი სიცოცხლე, არამედ აუცილებელი მოგერიების უფლებასთან ერთად სახელმწიფოსთან მიმართებით ობიექტურად ღირებულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანის სიცოცხლე კონსტიტუციურ წესრიგში უმაღლეს ღირებულებად მიიჩნევა. ეს ღირებულებითი უზრუნველყოფა ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ სიცოცხლის დამცავი კონსტიტუციური ნორმის დაცვითი სფერო შეიზღუდოს და სამართლებრივი სიკეთის მატარებლის მიერ თავისი სხეულის და სიცოცხლის განკარგვის ძალმოსილების უარყოფა შესაძლებელი იყოს. ძირითადი უფლების უზრუნველყოფა თავის თავთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. სიცოცხლის შესახებ კონსტიტუციური ნორმის ობიექტურ ღირებულებას თავისუფლების სუბიექტური უზრუნველყოფა დაამსხვრევდა და ცალკეულ პირთა თვითგამორკვევის უფლების აღიარება,

<sup>342</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 181; BverfGE 109, 279 (313).

<sup>343</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 182.

რომელიც საკუთარი სხეულის განკარგვის უფლებაზეც ვრცელდება, იმთავითვე იქნებოდა უარყოფილი. ამგვარად სიცოცხლის უფლება სიცოცხლის ვალდებულებად იქნებოდა განმარტებული და თავისუფლების უზრუნველყოფა მოქალაქის ვალდებულებაში გადატანილი. ღირებულებათა ობიექტური წესრიგის დაშვება ყველა შემთხვევაში შედეგად იძლევა ძირითადი უფლების როგორც თავდაცვის მოქმედების ძალის გაძლიერებას<sup>344</sup>.

## **26. მარიხუანის მოხმარების დასჯადობის შეუსაბამოა ღირსების ხელშეუხებლობასთან**

მარიხუანის მოხმარების დასჯადობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაში ერთგვარი მითითებაა ასეთი დასჯადობით ღირსების ხელშეუხებლობის დარღვევასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადანყვეტილებაში აღნიშნავს, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმთავითვე მხოლოდ ზოგად პრევენციას ემსახურება, რომ სხვებმაც არ ჩაიღიონ ასოციალური და საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის გამომწვევი ქმედება. სასამართლოს პოზიციით, სხვებისთვის ზიანის მიყენების ჰიპოთეტური საფრთხის შემქმნელი ქმედებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ ზოგად პრევენციას ემსახურება, რაც უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას წარმოადგენს<sup>345</sup>.

მართალია, სასამართლო არ აკონკრეტებს რომელ უფლებაში ჩარევაზეა საუბარი, მაგრამ დიდი ალბათობით, სასამართლო გულისხმობს პირადი განვითარების უფლებაში ჩარევას, ვინაიდან მოსარჩელე სწორედ აღნიშნული უფლების დამრღვევად მიიჩნევდა მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივ დასჯადობას. თუმცა, სასამართლოს მსჯელობა იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ აღნიშნული დასჯადობით ადგილი ჰქონდა ღირსების უფლების დარღვევას, ვინაიდან ადამიანის დასჯა მხოლოდ სხვების დასაშინებლად, მხოლოდ კონკრეტული ქმედების გენერალური პრევენციისთვის, არღვევს ღირსების უფლებას.

ვ. მენაბდე მართებულად აღნიშნავს, რომ საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიმყენებელი ქმედების სისხლისსამართლებრივი დასჯა, მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს

<sup>344</sup> *Pasedach Ch.,ebenda*, S. 182-183.

<sup>345</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 49.

პირის ინსტრუმენტალიზაციას და არღვევს კონსტიტუციით დაცულ ღირსების უფლებას<sup>346</sup>.

მართალია, საკონსტიტუციო სასამართლოს მარიხუანის მოხმარების აკრძალვის და დასჯადობის ღირსების უფლებასთან შეუსაბამობაზე თავის გადანყვეტილებებში არ უმსჯელია და ამ თვალსაზრისით დასახელებულ გადანყვეტილებებში მხოლოდ მინიშნებები გვხვდება, მაგრამ სხვის დასაშინებლად, მხოლოდ გენერალურპრევენციული მიზნით ადამიანის დასჯა ღირსების უფლებას რომ არღვევს, საკამათოდ არ მიიჩნევა როგორც თეორიაში, ისე კონსტიტუციურ მართლმსაჯულებაში.

მარიხუანის მოხმარების დასჯადობა თუ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებაში არაპროპორციულ ჩარევას წარმოადგენს, სასჯელი თავისთავად არაპროპორციულია. არაპროპორციული სასჯელი რომ ღირსების უფლებას არღვევს, საკონსტიტუციო სასამართლოს მკაფიოდ აქვს გამოხატული თავის სხვა გადანყვეტილებებში<sup>347</sup>.

ვინაიდან მარიხუანის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოში პირადი განვითარების უფლებასთან მიმართებით იყო დასმული, საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირ ვალდებულებას არც წარმოადგენდა იმაზე მსჯელობა, ირღვეოდა თუ არა ღირსების უფლება მარიხუანის მოხმარების აკრძალვით ან დასჯადობით.

## **27. მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირების საჭიროება**

ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ სხვათა ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელად მიიჩნია მარიხუანის მოხმარება განსაზღვრულ ადგილას, დაადგინა მარიხუანის მოხმარების შეზღუდვის აუცილებლობა სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიაში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად. სასამართლომ მარიხუანის მოხმარების შეზღუდვის დაწესებისას აუცილებლად მიიჩნია იმ შეზღუდვების გათვალისწინება, რომელიც არსებობს ალკოჰოლურ სასმელებთან

<sup>346</sup> მენაბდე ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 13-14.

<sup>347</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, 24-ე პუნქტი.

და თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებით<sup>348</sup>, რაც ლოგიკურია. თუ არსებობს ალკოჰოლურ სასმელებთან და თამბაქოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულირება, მით უფრო უნდა არსებობდეს მარიხუანასთან მიმართებით, ვინაიდან იგი, მოხმარების ადგილის და გარემოებების გათვალისწინებით, მოზარდი თაობისთვის და საზოგადოებისთვის იწვევს არანაკლები სიმწვავის შედეგებს.

სასამართლოს პოზიციით, სპეციალურ რეგულირებას შეიძლება დაექვემდებაროს მარიხუანის პროდუქციის რეკლამირება, არასრულწლოვანთა მიერ აღნიშნულ პროდუქტზე ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ინფორმირება მარიხუანის მოხმარებით გამონვეულ შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვა<sup>349</sup>.

## **28. ქმედების განხორციელების ადგილის მნიშვნელობა ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობისთვის გარემანული სამართლის მიხედვით**

როდესაც საუბარია ნარკოტიკული დანაშაულის დასჯადობაზე, ჩნდება კითხვა, აქვს თუ არა მნიშვნელობა ქმედების განხორციელების ადგილს? აღნიშნულ კითხვას წარმოშობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ერთი მხრივ, მოხდა მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, იმავე გადაწყვეტილებაში საუბარია განსაზღვრულ ადგილებში მარიხუანის მოხმარების შეზღუდვაზე.

თუ ვიმსჯელებთ გერმანული სამართლითაც, მივალთ დასკვნამდე, რომ ქმედების განხორციელების ადგილი გასათვალისწინებელია, რომლის შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალებით ვაჭრობისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული ქმედების განხორციელება სკოლასთან, საბავშვო ბაღთან, სათამაშო მოედნებთან ახლოს ან ისეთ დაწესებულებებსა და ადგილებში, რომელიც ახალგაზრდების (მოზარდების) დაცვას და ჯანმრთელობას ემსახურება (მაგალითად, სპორტული კლუბი, დისკოთეკა, საავადმყოფო, თერაპიული დაწესებულებები)<sup>350</sup>.

---

<sup>348</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 35.

<sup>349</sup> პუნქტი 36.

<sup>350</sup> *Körner/Patzak/Volkmer*, *Betäubungsmittelgesetz*, 9. Auflage, München, 2019, S. 812, §29, Teil 27, Rn. 50.

## 29. საერთაშორისო ტენდენციების გავლენა მარიხუანის ლეგალიზაციის პროცესზე

საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციაზე მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთ საფუძვლად უთითებს თანამედროვე სამედიცინო კვლევებს, შეფასებებს და საერთაშორისო ტენდენციებს, რაც მარიხუანის დეკრიმინალიზაციას და ლეგალიზაციას უკავშირდება. სასამართლოს განმარტებით, მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებით ადრე არსებული წარმოდგენები იყო მცდარი და სტერეოტიპული, რაც არ არის გასაზიარებელი. აღნიშნული წარმოდგენები, სასამართლოს თვალსაზრისით, უკავშირდება მარიხუანის მოხმარების საზიანო ეფექტს ადამიანის ჯანმრთელობისთვის. სასამართლოს შეფასებით, მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას (იგულისხმება სხვა ქვეყნები) არ მოჰყოლია ნეგატიური შედეგები საზოგადოების ჯანმრთელობასა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან მიმართებით<sup>351</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს ადამიანის უფლებების განმარტებასთან დაკავშირებით მიმდინარე დინამიურ პროცესზე, რაც კულტურის ამაღლებით და განვითარებით არის გამოწვეული. სასამართლოს პოზიციით, ადამიანის უფლებების კონსტიტუციური დებულებები უნდა განიმარტოს არა სტატიკურად, არამედ დინამიურად, რომელიც დროის მოთხოვნების შესატყვისი იქნება. სასამართლოს შეფასებით, სასამართლომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული დებულებების განმარტებისას უნდა ასახოს კულტურული რეალიები. უფლების ესა თუ ის რეგულირება, რაც წლების წინ არ მიიჩნეოდა კონსტიტუციური უფლების დარღვევად, დროთა განმავლობაში შეიძლება ასეთად იქნას განხილული<sup>352</sup>.

სამართალი და ადამიანის უფლებებთან თუ ღირებულებებთან დაკავშირებული გაგება, ალქმა ცვალებადია, არ არის მარადიული, რაც იწვევს პოზიტიური სამართლის და მისი გამომხატველი კანონმდებლობის ცვლილებასაც. ღირებულებები, რომლებიც სამართალს საფუძვლად უდევს, როგორც პრინციპები, უცვლელი და მარადიულია, მაგრამ ცვალებადია მისი გაგება, რაც კულტურულ ცვლილებებსაც უკავშირდება.

ერთ-ერთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, 2001 წელს პორტუგალიაში მოხდა მცირე ოდენობით ნებისმიერი ნარკოტიკის შექენის, შენახვისა და მოხმარების დეკრიმინა-

<sup>351</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 38.

<sup>352</sup> პუნქტი 40.

ლიზება. აღნიშნული ქმედებებისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაცვლად, დაწესდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მაგრამ ლიბერალიზაციის პოლიტიკას, სკეპტიკური შეხედულებების მიუხედავად, ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა და ნარკოტიკური შიშის გააქტიურება არ მოჰყოლია<sup>353</sup>. ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არ მიიჩნევა ადეკვატურ და სამართლიან ნაბიჯად, ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა ასეთი პირებისთვის უფრო მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. თავისუფლების აღკვეთა სასარგებლოზე მეტად საზიანოდ მიიჩნევა იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი. ხანგრძლივადიანი პატიმრობის პირობებში იქმნება იმის ალბათობა, რომ მსჯავრდებულმა ციხის სუბკულტურაში სოციალიზაცია განიცადოს. აშშ-ში ჩატარებული კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ ციხეში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სასჯელის მოხდის შემდეგ ყოფილი მსჯავრდებულები უფრო ხშირად უბრუნდებიან ნარკოტიკების მოხმარებას, ვიდრე პირობით მსჯავრდებულები<sup>354</sup>. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნარკოტიკული დანაშაულის გამო მსჯავრდება საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზებას უკავშირდება, რაც ხელს უშლის ყოფილ მსჯავრდებულებს იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი. მკაცრი ნარკოპოლიტიკა ხელს უწყობს ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა სტიგმატიზებას და საზოგადოებისგან გარიყვას<sup>355</sup>. მკაცრი კანონმდებლობის პირობებში, სადაც მსჯავრდებულ პირთა გამოსწორების ნაცვლად ადგილი აქვს მათ მარგინალიზებას და სოციუმის არასრულფასოვან წევრებად აღქმას, რომლებზეც სახელმწიფო და საზოგადოება ნაკლებად ზრუნავს, დამნაშავის რესოციალიზაცია განუხორციელებელი რჩება<sup>356</sup>.

### **30. გერმანულ დოგმატიკაში გამოთქმული შეხედულება ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შედეგზე**

საკუთარი თავისგან სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა დაცვის დაუშვებლობა განაპირობებს იმას, რომ პირადი პასუხისმგებლობით ნარკოტიკების მოხმარება არ შეიძლება აკრძალული იყოს. ქ. პასედახის თვალსაზრისით, ეს უნდა ეხებოდეს ფლობას და შექმნასაც. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ძირითადი უფლების კონტექსტში ვერ იქნება

<sup>353</sup> გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, თბ., 2014, გვ. 22-23.

<sup>354</sup> გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., დასახ. ნაშრ., გვ. 22.

<sup>355</sup> გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>356</sup> გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., დასახ. ნაშრ., გვ. 15.

განხილული, თუ მოხმარება არ არის პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებული. ასეთ დროს გამართლებულია სახელმწიფოს მხრიდან დაცვითი ზომების მიღება მოხმარების აკრძალვის გზით. ეს ეხება პირველ რიგში ბავშვებს და მოზარდებს. ასაკიდან და შეზღუდული განჭვრეტის უნარიდან გამომდინარე მათ ეკრძალებათ მოხმარება და მოხმარებასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება. იგივე ეხება მძიმე ნარკოტიკებს, რომელიც ინვეს ფიზიკურ დამოკიდებულებას<sup>357</sup>. UNODC (United Nations Office for Drugs and Crime) ნარკოტიკებზე დამოკიდებულებას, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებითაა გამოწვეული, განმარტავს, როგორც ჯანმრთელობის დარღვევას<sup>358</sup>.

ნარკოტიკულ საშუალებებს მიკუთვნებული ნივთიერებები მათი საშიშროების ხარისხით განსხვავდებიან, რაც მძიმე და მსუბუქ ნარკოტიკებად მათი დაყოფის საჭიროებას ქმნის. მძიმე ნარკოტიკი იმთავითვე არ ინვეს პირადი პასუხისმგებლობის შეზღუდვას. ისეთი საშიში სუბსტანციის ნარკოტიკის პირველადი მიღება, როგორც ჰეროინია, პირადი პასუხისმგებლობით ხორციელდება. პრევენციული თვალსაზრისით, მძიმე ნარკოტიკის იმანენტური რისკი იმაში მდგომარეობს, რომ თვით „წინდახედულ“ მომხმარებელსაც კი არ შეუძლია წინასწარ შეაფასოს, ნარკოტიკული ნივთიერება მის ორგანიზმზე თუ როგორ გავლენას მოახდენს, რაც ქმნის იმის საჭიროებას, რომ ასეთ ნივთიერებათა მოხმარება ზოგადად აიკრძალოს. შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ფიზიკური და ფსიქიკური კონსტიტუციიდან გამომდინარე თუ რომელი მომხმარებელი არ დაზარალდება. თითოეული მოხმარება ქმნის მომხმარებლის დაზიანების კონკრეტულ საფრთხეს. ამიტომაც მძიმე ნარკოტიკის მოხმარება დასჯადია, განსხვავებით მსუბუქი ნარკოტიკისგან<sup>359</sup>.

### **31. ნარკოტიკული საშუალების დასჯადი და არადასჯადი მოხმარების გამიჯვნა გერმანული სამართლის მიხედვით**

არადასჯადი მოხმარება სახეზეა, როცა მომხმარებელი ნარკოტიკულ საშუალებას მოხმარებისთვის შესაბამის ოდენობას დაუყოვნებლივი მოხმარებისთვის ადგილზე მიიღებს. ნარკოტიკულ საშუალებაზე ბატონობის შესაძლებლობა იურიდიული თვალსაზრისით იმ პირს რჩება, ვინც ნარკოტიკულ საშუალებას ამზადებს. მომხმარებელი კი იღებს გადაწყვეტილებას ნარკოტიკული საშუალების მიღებაზე ან არმიღებაზე.

<sup>357</sup> Pasedach Ch., Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Berlin, 2012, S. 219-220.

<sup>358</sup> გვეგლია თ., იმნაძე გ., დავითური გ., არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, თბ., 2014, გვ. 22.

<sup>359</sup> Pasedach Ch., ebenda, S. 220-221.



ეს იმას ნიშნავს, რომ ნარკოტიკული საშუალების ფლობას ადგილი არ აქვს, თუ მომხმარებელმა შეძლო იმის დამტკიცება, რომ მან ეს მოიხმარა. დამნაშავეს შეიძლება ნარკოტიკული საშუალება უშუალოდ მოხმარებისთვის თვითონ ჰქონოდა ან მესამე პირს გადაეცა. ორივე შემთხვევაში მომხმარებელი დასჯის გარეშე რჩება<sup>360</sup>, ვინაიდან მოხმარება განიხილება როგორც საკუთარი თავისთვის საფრთხის შექმნა<sup>361</sup>, რაც თანამედროვე სისხლის სამართლით დასჯადი არ არის. სხვაგვარად არის საქმე მაშინ, როცა ადგილი აქვს ნარკოტიკული საშუალების შენახვას, როცა შარვლის ჯიბეში ინახავენ ან მოშორდება ნარკოტიკული საშუალების გადაცემის ადგილს, რათა მოგვიანებით მოიხმაროს<sup>362</sup>.

მცირე მოცულობით მსუბუქი ნარკოტიკის პირადი მოხმარების შემთხვევები ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართალში პასუხისმგებლობის სფეროში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების ოდენობის შეზღუდვას აქვს მტკიცებულებითსამართლებრივი მნიშვნელობაც. გარდა ამისა, მსუბუქი ნარკოტიკის კრიტერიუმი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ როგორც წესი, სახეზე არ არის პირადი პასუხისმგებლობის შემზღუდავი მდგომარეობა. ძირითადი უფლებებიდან გამომდინარე, მოხმარების ზოგადი დასჯადობა ვერ იქნება კონსტიტუციური. გერმანული კანონმდებლობით მცირე ოდენობის მსუბუქი ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ ისჯება, ხოლო ფლობა სასჯელისაგან განრიდების შესაძლებლობას იძლევა, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა ნარკოტიკული საშუალების მცირე მოცულობით პირად მოხმარებას და მასთან დაკავშირებით მომხმარებლის დასჯადობის შედეგებს ძირითადი უფლებების პოზიციიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა<sup>363</sup>. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც კანაფთან დაკავშირებით მიღებულ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კანაფის მცირე მოცულობით პირადად მოხმარებისას სამართლებრივი სიკეთისთვის საფრთხის შექმნა იმდენად მცირე შეიძლება იყოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნულ შემთხვევაში პირი სასჯელისაგან განარიდონ<sup>364</sup>. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება იურიდიულ ლიტერატურაში იქნა გაკრიტიკებული განსაზღვრულობის მოთხოვნის თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც,

---

<sup>360</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 54, Rn. 95.

<sup>361</sup> Kotz, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013, S. 1015, §29 BtMG, Rn. 1170.

<sup>362</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 55, Rn. 97.

<sup>363</sup> Pasedach Ch., Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Berlin, 2012, S. 227.

<sup>364</sup> BverfGE 90, 145 (187).

ნორმის ადრესატისთვის დასჯადობის წინაპირობები ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს. გარდა ამისა, მიზანშეწონილად თვლის საკითხის მატერიალურ-სისხლისსამართლებრივ დარეგულირებას. ავტორის აზრით, კანონმდებლის ამოცანაა სასჯელის, როგორც გაკიცხვითი უმკაცრესი სამართლებრივი რეაქციის, წინაპირობების დადგენა. არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოზე იყოს მინდობილი ცალკეულ შემთხვევაში სასჯელის განრიდება. კანონმდებლის მოვალეობას დასჯადი სფეროების დადგენასთან დაკავშირებით განეკუთვნება აგრეთვე დასჯად და არადასჯად ქმედებებს შორის ზღვარის გავლენა<sup>365</sup>.

გერმანული სამართლით მსუბუქი ნარკოტიკის მცირე ოდენობით პირადი მოხმარება კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებების ფარგლებში განიხილება და არ ისჯება, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობით მოქმედ პირებს. თუმცა, ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებენ, რომ მოხმარებლის სასჯელისაგან გათავისუფლება მხოლოდ თეორიულად ხდება მოქმედი სამართლის მიხედვით, ვინაიდან დასჯადია დამზადება, შექმნა, ფლობა. ამდენად, ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ძირითადი უფლებების დასაცავად სამართლიანი იქნებოდა, თუ ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან უშუალოდ დაკავშირებულ ქმედებათა დასჯადობა გაუქმდებოდა<sup>366</sup>.

## **32. ნარკოტიკული საშუალების დატოვება (დათმობა) და მისი კვალიფიკაცია გერმანული სამართლით**

უშუალო მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების დათმობას/დატოვებას ადგილი აქვს, როცა ერთი ადამიანი მეორეს მოხმარებისთვის განკუთვნილ ნარკოტიკული საშუალების დოზას ადგილზე ხელში გადასცემს, ისე, რომ მეორე ადამიანი ფაქტობრივ მფლობელობას იძენს. მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების დატოვება არ არის ნებადართული, თუ ნარკოტიკის დათმობას კანონმდებლობით ამის უფლება არ ჰქონდა. აღნიშნული უფლება მხოლოდ ექიმებს აქვთ<sup>367</sup>.

ნარკოტიკული საშუალების დატოვება განსხვავდება ნარკოტიკული საშუალების გაკეთებისგან, რომელიც გულისხმობს მოხმარებლის სხეულში, ვენაში ინექციის გზით ნარკოტიკული საშუალების (მაგალითად, ჰეროინი) შეყვანას. აღნიშნული ქმედებაც მოითხოვს შესაბამის ნებართვას<sup>368</sup>.

<sup>365</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 228.

<sup>366</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 228-229.

<sup>367</sup> *Patzak/Bohnen*, ebenda, S. 56, Rn. 102.

<sup>368</sup> *Patzak/Bohnen*, ebenda, S. 56, Rn. 103.

### **33. კანაფის მომხმარებელთა წრეში მონაწილეობისთვის დასჯადობა გარემანული სამართლის მიხედვით**

სამართლებრივი შეფასების თვალსაზრისით პრობლემატურად მიიჩნევა შემთხვევა, როცა ჰაშიშს ან მარიხუანას ფლობს ერთი ადამიანი და მას ერთად მოიხმარს კიდევ სხვა რამოდენიმე ადამიანი (ე. წ. მომხმარებლები). ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება იმას, მომხმარებელთა წრე შედგება ორი თუ მეტი ადამიანისგან<sup>369</sup>:

#### **33.1. ორი თანამონაწილე**

თუ მწევლები შედგება ორი ადამიანისგან, ადამიანისგან, რომელიც არის ნარკოტიკული საშუალების მფლობელი, და ასევე თანამწევლისგან, დაისჯება მხოლოდ ის, ვინც არის ნარკოტიკული საშუალების მფლობელი<sup>370</sup>.

#### **33.2. ორი ან მეტი თანამონაწილე**

თუ მწეველთა ჯგუფი ორზე მეტი ადამიანისგან შედგება, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თითოეულს ეკისრება. საკითხი ასე გადანყდება მაშინაც, როცა მწეველთა წრეში ერთ-ერთი მომხმარებელი სხვა მომხმარებლებს გადასცემს ნარკოტიკს და ადგილი არ აქვს ნარკოტიკული საშუალების მფლობელის მხრიდან ყოველჯერ დამატებას<sup>371</sup>.

### **34. ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის შპრიცის ერთად გამოყენება**

რამოდენიმე პირმა, მომხმარებელმა არა მხოლოდ კანაფი, არამედ ისეთი ნარკოტიკული საშუალებაც შეიძლება მოიხმარონ ერთად, რომელიც ნარკოტიკული საშუალების ინექციურ მოხმარებას გულისხმობს. მომხმარებელთა წრეში შპრიცის გადაცემა სხვების მიერ მისი გამოყენების მიზნით, მაშასადამე, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის მიერ ან საკუთარი ხელით ან თანაამსრულებლობის სახით მოხმარებისთვის დათმობა დასჯადია<sup>372</sup>. მაგრამ აქ იგულისხმება ისეთი შპრიცის გადაცე-

<sup>369</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 56, Rn. 104.

<sup>370</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 57, Rn. 105.

<sup>371</sup> NStZ-RR 1998, S. 149; Patzak/Bohnen, ebenda, S. 57, Rn. 106.

<sup>372</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 58, Rn. 108.

მა, რომელშიც ნარკოტიკული საშუალებაა მოთავსებული. თუ საქმე ეხება მხოლოდ შპრიცის გადაცემას ნარკოტიკული საშუალების გარეშე, ეს ვერ გახდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

### **35. ნარკოტიკული საშუალების ერთად მოხმარება ჰეფრქვევის ფორმით**

არსებობს როგორც მოსაწევი და შპრიცის სახით გასაკეთებელი, ისე შეფრქვევის ფორმით მისაღები ნარკოტიკული საშუალება (მაგალითად, კოკაინი, ამფეტამინი), რომელიც მაგიდაზე დევს და საიდანაც ყველას შეუძლია მიღება. თუ იგი ნარკოტიკის მომხმარებელთა წრეში გადაეცემა თითოეულ მომხმარებელს რიგრიგობით, საკითხი ისევე გადაწყდება, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში. თუ ნარკოტიკის მომხმარებელთა წრის თითოეული მონაწილე ნარკოტიკის მოსახმარად საკუთარ მოწყობილობას გამოიყენებს, სახეზე არ იქნება სხვების მიერ მოხმარებაში აქტიური თანამონაწილეობა. მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება თანამომხმარებელთა პირადად ან ერთად მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების დათმობის დასჯადობა. ამ შემთხვევაში სახეზეა მოხმარებისთვის უნებართვო დათმობა იმ პირის მხრიდან, რომლის განკარგულებაშიც არის ნარკოტიკული საშუალება<sup>373</sup>.

### **36. ნარკოტიკების მოხმარების თავისუფლების შეზღუდვა გერმანული სამართლის მიხედვით. სოციალური კავშირების გავლენა**

ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება განპირობებული იყოს სოციალური პირობებით (Sozialbezug). იგი ლეგიტიმურია მხოლოდ არამწვეველთა და სატრანსპორტო მოძრაობის დაცვის მიზნით. ამ შემთხვევებში ნარკოტიკების მომხმარებლის კონსტიტუციით დაცული პირადი პასუხისმგებლობით საკუთარ დაზიანებაზე მითითება დაუშვებელია, ვინაიდან მისი ქმედება იმავდროულად სხვისთვის საფრთხის შექმნას/დაზიანებას ნიშნავს. ჩნდება კითხვა, სახელმწიფოს აქვს თუ არა უფლება ამ მიზნით აბსტრაქტული ქცევის წესებით მომხმარებლებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება აუკრძალოს. არამწვეველთა და სატრანსპორტო მოძრაობის დაცვა არის ეჭვმუყუვალე ლეგიტიმური სურვილი კანონმდებლისა. მხოლოდ ამ მიზნით მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედებათა ფართო შეზღუდვა

<sup>373</sup> Patzak/Bohnen, ebenda, S. 58, Rn. 109.

წინააღმდეგობაში მოდის თანაზომიერების პრინციპთან, კონკრეტულად კი უფრო მსუბუქი საშუალების არსებობის საჭიროება. კანონმდებლის სურვილი შეიძლება სხვა სპეციალური, სიტუაციასთან დაკავშირებული რეგულაციებით საკმარისად იქნას გათვალისწინებული<sup>374</sup>.

ნარკოტიკების მოხმარების სრული ამკრძალავი ნორმა იქნებოდა არა-თანაზომიერი: ვინაიდან მხოლოდ ცხოვრების განსაზღვრული სფეროები უნდა იყოს თავისუფალი ნარკოტიკების გავლენისგან, არ შეიძლება მოხმარება ზოგადად აიკრძალოს. მხოლოდ ეს ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საკმარისად კონკრეტულ საფრთხეს ცხოვრების სფეროებისთვის. გენერალურ აკრძალვას სავსებით არ შეუძლია წარმოშვას ეჭვი, რომ მოხმარებლებს საგზაო მოძრაობაში მონაწილეობისას ან არამწვევლებს საფრთხე შეიძლება შეექმნათ. ასეთი კონცეფცია არღვევს ქმედების სისხლის სამართლის იდეას. მაშასადამე, თანაზომიერია ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ნაწილობრივი აკრძალვა<sup>375</sup>. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ სულისკვეთებას გამოხატავს ქართული სსკ-იც, როცა დასჯადად აცხადებს ნარკოტიკული საშუალების ზეგავლენის ქვეშ ა/მანქანის მართვას (სსკ-ის 276-ე მუხ. 1-ლი ნაწილი).

### **37. ნარკოტიკული საშუალების უნებართვო მოხმარებისთვის შესაძლებლობის მიცემის გამო მშობელთა და მასწავლებელთა დასჯალობა გერმანული სამართლის მიხედვით**

გერმანული სამართლის მიხედვით, მშობლების და მასწავლებლების უმოქმედობა დასჯადია, თუ ისინი თავიანთი უმოქმედობით თავიანთ შვილებს და მოსწავლეებს ბინაში ან სკოლაში ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესაძლებლობას აძლევენ. მშობელთა და მასწავლებელთა თმენა, უმოქმედობა შვილების და მონაფეების მიერ ბინაში ან სკოლაში ნარკოტიკის მოხმარების დროს, მიიჩნევა მათთვის ნარკოტიკების მოხმარების შესაძლებლობის მიცემად. აღნიშნულ შემთხვევებში ხშირად ოპორტუნიტეტის პრინციპის გათვალისწინებაზეც მიუთითებენ<sup>376</sup>. მშობელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა ემყარება იმას, რომ ისინი თავიანთი შვილების და მონაფეების მიმართ გარანტორებად მიიჩნევიან<sup>377</sup>.

<sup>374</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 221.

<sup>375</sup> *Pasedach Ch.*, ebenda, S. 221-222.

<sup>376</sup> *Patzak/Bohnen*, ebenda, S. 59, Rn. 111.

<sup>377</sup> *Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetze, 66. Auflage, München 2019, S. 98, §13 Rn. 14.

### 38. მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაცია და ლეგალიზაცია, როგორც სამართლის ჰუმანიზაციის გამოსატულაბა

სასჯელი არ შეიძლება ჰუმანურობასთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს<sup>378</sup>. ჰუმანურობა სამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. იმისთვის რომ სამართალმა დასახულ მიზანს მიაღწიოს, ჰუმანურობის პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს. სამართლის ჰუმანურობა სისხლის სამართალში სასჯელში და მისი გამოყენების საფუძველში ვლინდება. თუ რამდენად ჰუმანურია სისხლის სამართალი, ეს კარგად ჩანს სასჯელების საკანონმდებლო რეგულირებაში და ქმედების შემაღვენლობებში, რომელთანაც არის დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი სანქცია. თუ სასჯელის სიმკაცრე საზოგადოებამ არ გაიზიარა, იგი არ იქნება მიზნის მისაღწევი ვარგისი საშუალება. სისხლის სამართლის ჰუმანურობაზე საუბარი შეუძლებელია, თუ ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნია ქმედების სისხლისსამართლებრივ დასჯადობას.

საკონსტიტუციო სასამართლო მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციას სამართლის ჰუმანურობის ფუნქციასაც უკავშირებს. მისი მოსაზრებით, სამართლის ჰუმანურობა ხელს უწყობს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას, რომლის უგულვებლყოფაც დაუშვებელია. სასამართლოს პოზიციით, სამართლის ჰუმანურობა ხელს უწყობს მის განვითარებას, რისი უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ვალდებულებაა. სამართლის ჰუმანიზაციის გზით სამართლის განვითარებაზე ზრუნვა კი მუდმივი მიზანია<sup>379</sup>. აღნიშნული მიზნის განხორციელებაზე ზრუნვა სახელმწიფოს მუდმივი ვალდებულებაა იქამდე, სანამ იგი არ დაუპირისპირდება სამართლის და კანონის სხვა მიზნებს და ფუნქციებს<sup>380</sup>.

სამართალს რეგულაციური ფუნქცია გააჩნია, რაც რეპრესიულ ფუნქციასაც უკავშირდება. სამართალი რეაგირებს სამართალდარღვევაზე, რითაც იცავს საზოგადოებას და ასრულებს რეპრესიულ ფუნქციას<sup>381</sup>. სამართლის დარგებიდან სისხლის სამართალი სამართლის ყველაზე რეპრესიული დარგია, ბასრი ინსტრუმენტია სახელმწიფოს ხელში, მაგრამ რეპრესია სისხლის სამართლისთვის და ზოგადად, სამართლისთვის თვითმიზანი არ არის.

ლაიცისტურმა, სოციალურმა სახელმწიფომ, რომლისთვისაც ლიბე-

<sup>378</sup> *Cavaliere A.*, Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts – aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1747.

<sup>379</sup> ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 39.

<sup>380</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 15.

<sup>381</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004, გვ. 45-46.

რალური კომპონენტია დამახასიათებელი, ფართოდ უნდა გაუღოს კარი საკუთარ ჯანმრთელობაზე თვითგამორკვევას. აღნიშნული ტიპის სახელმწიფოში დასჯადობის საკითხი არ შეიძლება მხოლოდ ეთიკური პერპექტივიდან გადაწყდეს<sup>382</sup>.

### **39. მარიხუანის მცირე ოდენობით პირადი მოხმარებისთვის დამზადების, შექენის და შენახვის დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა**

მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ლეგალიზაციის შემდეგ ჩნდება კითხვა მცირე ოდენობით მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის დამზადების, შექენის და შენახვის დეკრიმინალიზაციის პერსპექტივაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საუბარია იმაზე, რომ „ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს 1988 წლის კონვენცია მოითხოვს ნარკოტიკული საშუალებების დამზადების, შექენის და შენახვის დასჯადობას ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის თავიდან ასაცილებლად<sup>383</sup>, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი ეხება თუ არა ეს ნარკოტიკული საშუალების დამზადება- შექენა – შენახვას ნებისმიერი მიზნით.

მარიხუანის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მარიხუანის მოხმარება არ ნარმობს მისი გასაღების საფრთხეს. იგი უშუალოდ მომხმარებლისკენ არის მიმართული<sup>384</sup> და ეს მიიჩნევა მარიხუანის დეკრიმინალიზაციის საფუძვლად. თუმცა, სასამართლო იგივეს არ ამბობს მარიხუანის დამზადებაზე, შექენაზე და შენახვაზე. უფრო მეტიც, დასახელებულ ქმედებებს გამოყოფს მარიხუანის მოხმარებისგან, რითაც იმაზე მიუთითებს, რომ მარიხუანის დამზადება, შექენა და შენახვა მისი გასაღების საფრთხეს ქმნის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სასამართლო თავის აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მარიხუანის გასაღების საფრთხის შემქმნელ ქმედებებთან დაკავშირებით მარიხუანის ოდენობაზე ყურადღებას არ ამახვილებს, რაც იმ ვარაუდის საფუძველს ქმნის, რომ ოდენობას არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. მაგრამ, საკონსტიტუციო სასამართლო თავის სხვა გადაწყვეტილებაში, რომელიც ნიქარიშვილის საქმის სახელ-

<sup>382</sup> *Cavaliere A.*, *Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts – aus einer italienischen Perspektive*, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011, S. 1748.

<sup>383</sup> გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პ. 20-21.

<sup>384</sup> პუნქტი 53.

ნოდებითაა ცნობილი, სხვა პოზიციას გამოხატავს და გასაღების საფრთხეს გამორიცხავს 70 გრამამდე მარიხუანის შემთხვევაში<sup>385</sup>. აღნიშნული ქმნის იმის პერსპექტივას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დაისვას მარიხუანის მცირე ოდენობით დამზადების, შექენის და შენახვის დასჯადობის კონსტიტუციურობის საკითხი, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზება უკვე მოახდინა.

#### **40. სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციის პერსპექტივა**

მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციის შემდეგ ჩნდება კითხვა თუ რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასჯადობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება შეეხება მხოლოდ მარიხუანის მოხმარების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციას. თუ სახელმწიფოს ვალდებულებას და უფლებას არ წარმოადგენს მარიხუანის მოხმარებლის დაცვა საკუთარი ქმედებისგან, იგივე კითხვა შეიძლება დაისვას სხვა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზეც. თუმცა, გასათვალისწინებელია ის, რომ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებაა მარიხუანის მოხმარებით მოხმარებლის ჯანმრთელობის დაზიანების გამონვევის ნაკლებ სიმძიმეზე და მოხმარებისგან მომდინარე საფრთხეზე, რომელიც სასამართლოს მიერ არ არის შეფასებული არსებითი სიმძიმის მქონედ. სხვა ნარკოტიკული საშუალების მოხმარების შესაძლო დეკრიმინალიზაცია ან ლეგალიზაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა სახელმწიფო ვალდებული ადამიანი საკუთარი თავისგან დაიცვას. თუ ამ ვალდებულებისგან სრულად არ არის თავისუფალი სახელმწიფო, მაშინ სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დეკრიმინალიზაციას და ლეგალიზაციას ლეგიტიმაციის საფუძველი ეცლება.

---

<sup>385</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადანყვეტილება, პ. 95.



## ბიბლიოგრაფია

### ქართული წყაროები

ბეროზაშვილი ზ., ნარკობიზნესის ინდუსტრია, თბ., 2002;

გაბიანი ა., ნარკოტიკული ქვესკნელი და მისი ბინადრები, თბ., 2012;

გაბრიჩიძე გ., თანაზომიერების პრინციპი ევროპის გაერთიანების სამართლის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში, კრებულში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბ., 2006;

გამყრელიძე ო., ზნეობრივი გაკიცხვა თუ სისხლისსამართლებრივი დასჯა?, „ცხოვრება და კანონი“, 2007, №2;

გეგელია თ., იმნაძე გ., დავითური გ., არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, თბ., 2014;

გოთუა ზ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, სასჯელი, თბ., 2001;

გოცირიძე ე., წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;

ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, თბ., 2018;

ზოიძე ბ., წიგნში: ტურავა პ. (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;

თოდუა ნ., წიგნში: ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მეხუთე გამოცემა, თბ., 2017;

თოდუა ნ., გოგშელიძე რ., ნარკოტიკული დანაშაული, თბ., 2004;

იზორია ლ., ადამიანის უფლებათა შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია კ., (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბ., 2002;

იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბ., 2009;

კრისტი ნ., ტკივილის საზღვრები, სასჯელის როლი სასჯელალსრულების პოლიტიკაში, პირველი ქართული გამოცემა, ქართულ-ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, თბ., 2017;

კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, იურიდიული სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2014;

ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია, როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, ნიგნში: თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016;

მენაბდე ვ., რა მიმართულებებს აძლევს ნარკოპოლიტიკას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე. ხელმისაწვდომია ელექტრონულად: [https://idfi.ge/public/upload/IDFI\\_Photos\\_2017/rule\\_of\\_law/marijuana\\_court\\_decision\\_analyses.pdf](https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2017/rule_of_law/marijuana_court_decision_analyses.pdf)

მიქანაძე გ., პატიმრის პირობით ვადამდე განთავისუფლების უფლება – ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეალობა, ნიგნში: კორკელია კ. (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამონწვევები, სტატიათა კრებული, თბ., 2012;

ნაჭყებია გ., სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრებისა და თავისუფლების უვადოდ აღკვეთის მიმართების პრობლემა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, “მართლმსაჯულება და კანონი“, 2013, №2;

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., 2011;

ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბ., 2013;

ტუღუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკა, თბ., 2013;

შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბ., 2017;

შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების სახეები, კრებულში: ლეკვეიშ-

ვილი მ., შალიკაშვილი მ., (რედ.), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბ., 2011;

შვაბე ი., გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბ., 2011;

ცქიტიშვილი თ., სამართლებრივი სიკეთის დაცვა, როგორც საფრთხის შემქმნელი დელიქტების დასჯადობის ლეგიტიმაციის საფუძველი, „სამართლის ჟურნალი“, 2014, №1;

ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015;

ცქიტიშვილი თ., სასჯელის პროპორციულობა, ნიგნში: თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბ., 2016;

ცქიტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხისათვის, ნიგნში: გურამ ნაჭყებია – 75, საიუბილეო კრებული, თბ., 2016;

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004;

ხუბუა გ., ნიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005;

ხუბუა გ., მართვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, ნიგნში: ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედ.), ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018;

ჯანაშია ჯ., XXI საუკუნის გამოწვევა, თბ., 2002.

### გერმანულენოვანი წყაროები

*Albrecht P-A.*, Spezialprävention angesichts neuer Tätergruppen, ZStW 1985;

*Alexy R.*, Theorie der Grundrechte, 2. Auflage, Frankfurt am Main, 1994;

*Beulke/Schröder*, Abgabe von Rauschgift und bewußte Selbstgefährdung, NStZ 1991;

*Böllinger L.*, Grenzenloses symbolisches Strafrecht, Zum Cannabis-Beschluß des Bundesverfassungsgerichts, KJ 1994;

*Cavaliere A.*, Ansätze zur Kritik des Drogenstrafrechts — aus einer italienischen Perspektive, Roxin-FS, zum 80. Geburtstag, Band 2., 2011;

*Fischer Th.*, Strafgesetzbuch mit Nebengesetze, 66. Auflage, München 2019;

*Frister H.*, Strafrecht, AT, 5. Aufl., München, 2011;

*Grabitz E.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit in der Rechtsprechung des Bundesverfassungsgerichts, Archiv des öffentlichen Rechts, 98. Band, 1973;

*Gutmann Th.*, Recht als Kultur?, Baden-Baden, 2015;

*Hörnle T.*, Tatproportionale Strafzumessung, Berlin, 1999;

*Jarass*, in: Jarass/Pieroth, Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland Kommentar, 11. Auflage, München 2011;

*Jescheck H.-H., Weigend Th.*, Lehrbuch des Strafrechts Allgemeiner Teil, 5. Aufl., Berlin, 1996;

*Kargl W.*, Friede durch Vergeltung, Über den Zusammenhang von Sache und Zweck im Strafbegriff, GA 1998;

*Köhler M.*, Freiheitliches Rechtsprinzip und Betäubungsmittelstrafrecht, ZStW 1992;

*Körner/Patzak/Volkmer*, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München, 2019;

*Kotz*, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013;

*Malek K.*, Betäubungsmittelstrafrecht, 4. Auflage, München 2014;

*Meier B.-D.*, Strafrechtliche Sanktionen, 4. Aufl., Berlin, Heidelberg, 2015;

Monatschrift für Deutsches Recht (MDR), 1978;

NStZ 1992;

NStZ 1997;

NStZ-RR 1998;

- Pasedach Ch.*, Verantwortungsbereiche wider Volksgesundheit, Berlin, 2012;
- Patzak/Bohnen*, Betäubungsmittelrecht, 3. Auflage, München, 2015;
- Patzak*, in: Körner/Patzak/Volkmer, Betäubungsmittelgesetz, 9. Auflage, München 2019;
- Pawlik M.*, Person, Subjekt, Bürger, Zur Legitimation von Strafe, Berlin, 2004;
- Rahlf*, in: Münchener Kommentar, Strafgesetzbuch, Band 6, 2. Auflage, München 2013;
- Peters H.*, Die freie Entfaltung der Persönlichkeit als Verfassungsziel, in: FS für Rudolf Laun, Hamburg 1953;
- Rigopoulou M.*, Grenzen des Paternalismus im Strafrecht, Berlin, 2013;
- Roxin, Claus*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, 4. Auflage, München, 2006;  
StV 1986;
- Weber K.*, BtMG, Kommentar, 5. Auflage, München, 2017;
- Weigend Th.*, Der Grundsatz der Verhältnismäßigkeit als Grenze staatlicher Strafgewalt, Hirsch-FS, Berlin. New York, 1999;
- Welzel H.*, Studien zum System des Strafrechts, ZStW 1939;

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებაზე;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის გიორგი კვერენჩილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილებაზე;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება (ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ);

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს  
გადაწყვეტილებები

BverfGE 5;

BverfGE 6;

BGHSt 19;

BverfGE 27;

BverfGE 32;

BverfGE 34;

BverfGE 49;

BverfGE 54;

BverfGE 63;

BverfGE 65;

BverfGE 79;

BverfGE 80;

BVerfGE 90;

BVerfGE 96;

BverfGE 101;

BverfGE 109;

BVerfGE 120.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი**

**თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა  
და სამართლის ინსტიტუტი**

**თემურ ცჰიტიშვილი**

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ  
ნარკოტიკულ სამართალდარღვევათა დანჯაღოგაზე  
მიღებულ გადაწყვეტილებათა ანალიზი**

თბილისი 2019